

652  
1968/2



სიტყოთობაზომლი

კულტ

1968 5

କାନ୍ତିମାର୍ଗାଚାରୀଜାନନ୍ଦ

ଶର୍ମିଷ୍ଠାନ



10.835

ମହାକାଵ୍ୟାଳୁ - ମହାକାଵ୍ୟାଳୁ


ଲାଭଗ୍ରହିତାରେ-ମୋହନୀୟଙ୍କ  
କାଳିକାରେ-ମୋହନୀୟଙ୍କ

ସାଧନାରେ-ମୋହନୀୟଙ୍କ  
କାଳିକାରେ-ମୋହନୀୟଙ୍କ



ՀՅԱՅ ՎԵՐԱԿՐՈՅԱ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ  
ՅԵՐԱԿՐՈՅԱ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ  
ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ  
ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ ՁՅԱՅ  
1837.

ԵՐԱԿՐՈՅԱ



ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და  
უკვდავისათვის არც რაიმე ქვეუნიერებაზე გვია-  
ნია, არც რაიმე ადრე.

...რა დასადარია სელთუმნილი ძეგლი,  
თუნდ დიდფასიანი, იმ სელთუმნელ ძეგლთან,  
რომელიც მისმა დიდბუნებოვნებამ ჩვენ გულ-  
მი აღავო.



ଶ୍ରୀମତୀ  
କଣ୍ଠବିଜ୍ଞାନାମି

ମୁଦ୍ରଣ ୧୯୩୯୪, ପ୍ରକାଶକ.

୬. ଦାର୍ଶନିକମୂଳରେ ଅନୁଷ୍ଠାନିକ

## კ ა რ ი მ ე ო რ ე

ნაწყვეტი

მორბის არაგვი არაგვიანი,  
 თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,  
 და შეუპოვრად მოუთამაშებს  
 გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს,  
 ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო.  
 მობიბინენო, შვებით მომზირნო,  
 ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს.  
 ოდეს შვენება თქვენი იხილოს,  
 რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,  
 რაც უნდა გზასა ეშურებოდეს,  
 როგორ იქნება არ განისვენოს?  
 სამჯერ ხომ მაინც გადაპერავს ღვინოს,  
 ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,  
 გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,  
 ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს,  
 არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს,  
 და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,  
 იგი იმისთვის ალარ დალონდეს!  
 მზე დამავალი მოპფენს სიამეს  
 მთიულეთისა ხეობის არეს,  
 და ამ მშვენიერ არაგვის პირებს  
 ძველი ჩარდახი ზედ გადმოპყურებს.  
 მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი,  
 მოწყენის თვალით გარდმომზირალი;  
 დაფიქრებული, თვისთა ზრახვათა  
 გაცაართობდა ქარვის მარცვალთა.

տան աելլա մեռյես տացու մեսաշուլո,  
Ենքու զետոլու սեցած մորժմշուլո.  
ցու արա ցաեսոցտ սոլոմոն իշելո,  
մեռյու Շոնացմա, ցմատ սապարելո!  
Տաղլա արօնա աֆ ցսյ կապնօ,  
Հռոմ ար ցալենենց տատծուրնո մատնո?  
Ըոլուս սպարեթլա մեռյ մըսմարել;  
արացու Շպալու, մընենտա միշեյտարել;  
Ցոլու մաեցրալման սերման մեսաշուլս:  
,,Շեն օվնոծ յարցած, սոլոմոն, հյոմ ցուլս,  
Շեն սպայու յարտու օֆ ցուտարեծա,  
մուս օֆ սալա, պոտա, պեռզրեծա;  
Ցեցրչեր հիշեանո Շեննո, ցուտ Շպալուլս,  
մեսալծունեծուան մյ Շե՛՛սեծուլս;  
օֆ հյոմ սյուլու քաջուրտս, հյոմ ցուլու Շագուլս,  
Շեն ցացմուրավենցա, ցուտ սապարել Շզուլս!  
ար մուտցուսեծու յարտցելու ցուլո,  
Հռոմ ցուպազ մատո մեռյ ցուլո;  
հյոմ մեռյոծա Ցյ դազասրուլու,  
Հռոմ մլուց ոցոնո ցացուրտցուլո!  
Ըա աելլա, ոճյու հյոմ ելմթուգուծա  
ցանշումթաճյեծու սամ-կետոլուծա,  
աս մուս նացուլած հաս մոմապորյէ  
մյ հյոմտա մյուտա Ըա ցոն անարյէ!..  
ամուրուցան ցայեթյեծուլո  
մաշմած-եանուսա մոսուսելու ցուլո  
ար դացցա՛յնարյէս սումապուտա:  
մաս ցամո Շես՛՛ցու պոցլու լունուտա;  
յս եմա լոյյուցա օցցուցապոյյէս;  
ումալու մեռլուգ քրու Շեմուշուրյէս,  
Ըա մբերնո մլույր մամոն մոցցա՛յուլնեն,  
հռու ցմանո հյոմնո սրտույրտս ծմարցեն!  
մյ ուռմու կուլցա ցէցրմնոծ սյուլու սոմթյուլու,  
ցարնա լունենո Շելու Շարմութացու,  
Շենո որայլու ու ալարա ցար,  
Տաթարա յանած հռու ցոնաենցար!  
օսա հռմելս Շզուլս ցեցազ լուրսեցուլս,

რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?..  
ჰო, ღმერთო, ღმერთო ამაზედ მეტად  
ნულარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად!  
აბა რას მიჩჩევ, ჩემო მსაჯულო?...  
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო:  
აში განთქმულია რუსთა სახელი,  
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,  
დიდი ხანია გვაქვს ჩეენ ერთობა,  
მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება, —  
მას მინდა მივცე მემკვიდრეობა,  
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!“.



# ბარათაშვილის საფლავთან

პოი, საქართველოვ, მგლოვიარევ, ნუგეში შენდა!  
 ვაუკაცის სახე რად მიეცი აებედით სევდას.,  
 ბოეტის ფერფლი თვალებს ცრემლით ისევ გისველებს?!

ძველი ტკივილი განგიახლა? შეგძრა ისევე?!

თუ მისი ღრმა და ასე ბნელი სამარის კარი  
 შენი ობოლი სულისათვის საშიში არის?

ფერფლს მარხავ, დიახ, ფერფლს და არა თავად მგოსანსა!

კინც უკვდავების შარავანდით ასე გმოსავდა —

არ იმარხება, არა კვდება, არ იბინდება,  
 აწ და მარადის ცოცხალია მისი ღიღება,  
 აწ და მარადის ის იქნება შენი მჯურნალი.

რომ მკერდს ჭრილობა მოგიშუშოს ჯერაც მხურვალი.  
 და შენც, მგოსანო, ღალადებავ ერის ბაგეთა,  
 ტანჯული გული სიღუხჭირის ბნელში დაგენთქა,  
 მოხვედ მშვიდობით სამარიდან სამარემდისა:  
 სასუფეველი დაგემკვიდროს სამარაღისო!..

სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარშა

ეს ლექსი ოვანეს თუმანიანმა წარმოთქვა ნ. ბარათაშვილის  
 ნეშტის ღიღების ეკლესიის გალავანში დაკრძალვის ღლეს,  
 1893 წლის 25 აპრილს).



# ციტყვა აკაპი წერეთლისა



მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი,  
განთიადისა მორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ  
ტყეთა ფრინველნი და ვარდნი.  
მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი  
ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო.  
სალამოს მისთვის შთავიდე,  
რომ დილა უფრო ვაცხოვლო...

ეს ინატრა ახალგაზრდა მგოსანმა ამ ნახევარი საუკუნის წინეთ და  
ეს ნატვრა წინასწარმეტყველებად გადაეჭა, გახდა წინამორბედად ჩვენი  
ახალი ცხოვრების განთიადისა და იქ, შორს, სამშობლოდან უცხო მხარეს,  
შეხსავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყი-  
ნებულიყო. ამას ვხედავთ და დღევანდელი ჩვენი მიგებება გლოვა და ზა-  
რი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა. დიალ, არავის გეგონოთ აქ ეს  
ნამდვილი სამარე და კუბონ ბარათაშვილისა, იმისი კუბონ ყველა ქართვე-  
ლის გული და ისე ხშირი, როგორც მგოსნის მთელ საქართველოსადმი სი-  
ყვარულით ავსებული გულისძგერა. ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სა-  
დაც ამიერიდან უნდა დაესვენოს ჩვენი მნათობი, რომ მთელ საქართვე-  
ლოს სხივი ჰფინოს და მართლაც, რომ უკეთეს ადგილს ვერ გამოვძებ-  
ნიდით.

მართალია, ყოველი კუთხე საქართველოსი წმინდაა, მაგრამ ეს ადგი-  
ლი, ეს დიდუბე წმინდა-წმინდათაა. აქ დაიდგა პირველად ძლევის გვირგვი-  
ნი უპირველესმა ჩვენმა საისტორიო მნათობმა თამარ მეფემ. მართალია,  
დღეს დიდუბეს ის ფერი აღარ ადევს, აღარც ის ტაძარი, აღარც ის სასახ-  
ლე, აღარც ის წალკოტია. უამთა მსვლელობამ, დროთა ვითარებამ ის გადა-  
ასხვაფერა, მაგრამ დიდებული ხატი-კი მაშინდელი შეუცვლელად და-  
რჩა საქართველოს ხსოვნაში. აქამომდე ჩვენ წარმოვიდგენდით თამარს  
თავზე ძლევამოსილ გვირგვინით, რომელსაც გვერდით უდგა ძლიერის ჩა-  
ნგით საკადრისი მისი მწერალი რუსთაველი. დღეიდან უფრო დასრულე-  
ბული იქნება ეს ხატი, მეორე გვერდით ედგომება ბარათაშვილი; როგორც  
ამ შვიდასი წლის წინათ დასავლეთ საქართველოდან, ესე იგი იმერეთიდან,

მოვიდა ხალხი, რომ თაყვანი ეცა დიდებულ თამარისათვის და საზოგადო  
საერთო ლიტანიაში მონაწილეობა შეიღო, დღესაც მოქსულვართ იმართ-  
თით, რომ ნიშნად სამარადისო ძმობისა და განუყრელი ერთობისა დავად-  
გათ გვირგვინი ბარათაშვილის კუბოს, გვირგვინი შექონილი პურის თავ-  
თავისაგან, საგულისხმოდ იმისა, რომ მგოსანი იყო უპირველესი მთელს ვე-  
ლი გონებრივის ნაყოფისა, არა მარტო ერთი კუთხისა, — მთელი საქარ-  
თველოსი, ნაყოფიერი იყოს ეს ხორბალი, როგორც დღემდე, ამიერიდა-  
ნაც, რომელთანაც ერთად დაუვიწყარი იქნება სახსენებელი ნიკოლოზ  
ბარათაშვილისა.



## გონჩარა-პეგუმის სიმღერა

„აქ... ერთი ახალი ლექსია, თვრამე-  
ტი წლის ქალის ნააშბობი... ამ ქალს  
გონჩარებეგუმ ქვეინ, ხანის ქალია ძალი-  
ან ლამაზი და მარილანი... საცოდავი  
დამწვარია თავისი ქმრისაგან... ძალით  
გაუთხოვებათ. ამათი ამბავი რომ იც-  
ოდეთ, ერთი კარგი რამანია...“  
ბარათაშვილის წერილიდან.

თათრის ქალი გონჩარებეგუმ  
თავის წარსულს მიამბობს თუ მიგალობს:  
ვინ წამართვა ხომლის ხონჩა,  
რად გამთელე შენ, საწუთროს გრიგალო.  
დამაშორეს მიჯნურს ცირა,  
გამათხოვეს, ცრემლი დაშრა უმანკო.  
ქმარმა ჯავრით დამამცირა,  
ჩემი ცრემლი და გულისთქმა უარყო.  
ცისფერთვალა, ზღვის იერით,  
ასე მღერის ხმა ნაღველში ნალესი.  
ღვთისნიერი, ცისიერი,  
ბაგე ვარდი და სიცოცხლის ალერი.  
თმა, ვით კვარი სანუკარი,  
ეშხითა და ლოცვით შემოგარსული.  
ბაღჩა უხმობს საკუთარი  
და ბაღს იჭვით ეტყვის თათრის ასული:  
ჩრდილს მიფენდი, ჩემო ბაღჩავ,  
მექახოდა ცველა შენი კუნჭული.  
ჭადრის ჩრდილი შენთან დამრჩა,  
მინდა მოსვლა და ჭადართან ჩურჩული.  
მსურს შევალო წიფლის კარი,  
მოვიძებნო ცაცხვი, ფუტკრის მთაფლავი,  
მაგრამ თუ იქ დამხვდა ქმარი,  
შენ გახდები, ბაღჩავ, ჩემი საფლავი.  
მწუხრში გალობს გონჩარებეგუმ,  
დააღუმა საამო ხმით ყორანი,  
ცხოვრების რთველს ადრე მორჩა,  
ვერ განახლდა მაინც სიყრმის რომანი.  
დასეტყვილი აგრე გალობს,  
მწუხრში მოჩანს, როგორც ვარდი მწირველი...  
ფრთამომტყდარო თათრის ქალო,  
ვაგფრენია სიყვარულის ფრინველი.

## გადიდებს შენი სამშობლო

ნეტავ კვლავ წამოგახედა, ორჯერ მკვდრეთიდან ამდგარო,  
ათასგვარ ტანჯვით ნაგვემო, მაგრამ მაინც არ გამტყდარო,  
გენიის ცეცხლით მოსილო, ნაზო ბულბულო, სოსანო,  
დაუჭქნობელო ყვავილო, ჩვენო ძვირფასო მგოსანო,  
გადიდებს შენი სამშობლო, განახლებული, დიადი,  
შემოიფანტა მთაწმინდამ თვალშეუდგამი წყვდიალი.  
ბნელშიაც გაუქრობელო, ელვარე სხივო, ნათელო!  
ქარიშხლის ფრთით და გრიგალით ბევრჯერ

მკერდგანათებულო,  
შრიალა ვერხვო, ჩინარო, ცამდე აწვდილო, მაღალო,  
მრავალშტოვანო, გაშლილო, მუდამ ნორჩო და ახალო!  
მარად ხარობდეს, ჰყვაოდეს სამშობლო ფერშეუცვლელი,  
რომ შრიალებდეს მარადუამს უკვდავი წიგნის ფურცელი.



## მთაწმინდის ღილა

ნიკოლოზ ბარათაშვილს

კენტი ვარსკვლავი მოწყდება კრებულს,  
 ღამის მნათობს რომ ამალად ახლავს,  
 ძირს დაეშვება  
 და ჩაფიქრებულს  
 ნახავს, პოეტის მესამე საფლავს...  
 ბარათაშვილი აიშვებს წამსვე  
 წამოუქროლებს ჩაუქრობ გულებს,  
 ჩვენთვის რომ ძგერდნენ  
 და წმინდა მთაზე  
 სამარადჟამოდ დაისადგურეს...  
 და როცა სიო თბილისის ზღვიდან  
 ყვავილზე დაყრის მარგალიტს მძივად,  
 ილია იტყვის, —  
 თუ როგორ ზრდიდა  
 ქართველი დედა ქართველებს წინათ.  
 ღიდი აკაკი აღმართავს ჩონგურს,  
 სულიერს ხმაზე სიმღერად გაშლის  
 და გოგო იტყვის, —  
 რა წვავდა ჩვენს გულს —  
 რა დარღი ჩაჰკლა იმ ჯიხვის რქაში, —.  
 მაშინ ცისკარი გაიხსნის ღილებს,  
 ცას დამშვენდება სილურჯე კალთის,  
 დედაქალაქი მზეს გაუღიმებს  
 როგორც ღიდუბე ახალი ქართლის,  
 კოჭრის ნიავი ნაზად შეარხევს  
 მზეში დალეულ მთაწმინდის მთვარეს,  
 ტატო წარმოთქვამს ერეკლეს სახელს  
 და გორის ციხეს მიაპყრობს ოვალებს!



## ଶେଷ, ଫିଲିଏବୁଲା!

୬. ଶାରୀତାଶ୍ଵିଲକ

ଶେନ ରହି ଗାତ୍ରେନାହି,  
ସାଜାରତବେଲାରେ କମାବ ଫିଲେବୁଲା,  
ମାଶିନ ଏହାରା  
ଶାବ ଯନ୍ତ୍ରନେବିତ ରାଲାମ୍ବେବୁଲା,  
ଫାରତଲ୍ଲ ମହ୍ୟବେତିଲା,  
ସିଲ୍ଲଦାଲବରିଲା, କମାଗାମ୍ବେଲାଲା,  
ମେବେ-କଲାରଖତାନ ଏହତାଳ  
ତୁମ୍ଭେବନ୍ଦାଶି ଗାମନ୍ଦେବୁଲା,  
ରାମ୍ଭନ୍ଦଜେବୁଲା ରା ମିଥ୍ଯାଥୀ ଯୁରଲାଲେବୁଲା  
ଉଦ୍ଦେଶ ନାଦିଖି, —  
ମାମ୍ଭଲିଙ୍କାନ ଏଲାଲା ମାଶିଲା,  
ସାର ଯୁଗ ମେଲାଲା, —  
ମତ୍ତମ୍ଭେଲା ସିଦରନ୍ଦିଲା ରା ସିମାରତଲିଲା.  
ରାଦିନଦ୍ୱାରାଯା ଉଦ୍ଦେବନ୍ଦିତ  
ଦେଇଲା ଫାରତଲିଲା.  
ମାଶିନ ସିନାତଲ୍ଲେତ  
ମନ୍ତ୍ରବ୍ଲାନ୍ତ ଶେନ ଅମା ସନ୍ତ୍ରେଲା,  
ଶେନ ମେରାନି ଜାରାଫ୍ଯେବନ୍ତୀ ଲାଲେଲା ଭଲମନ୍ତ୍ରବ୍ୟକ୍ତିଲା,  
ରହି ରାତରିବିନା ର୍ଯ୍ୟାଦାମିଥିଲା ସିଗରକ୍ଷେ-ଗାନ୍ଧେଲା.  
ଶେନ କି ଚକ୍ରବର୍ତ୍ତନାଦ  
ବାହିନୀରାନ ନାହି ମାନ୍ତ୍ରିତିତ.  
ରହି ଏହି ଗେର୍ଭେରା  
ଶେନ ସାଜୁତାର ମାଲାଲ ଆନ୍ତର୍ବ୍ୟକ୍ତି,  
ଲେଖିଲା ସିତ୍ୟବେଦିଲା ଗାଲାମନ୍ତର୍ଭେରେଲା,  
ଅମାଲ ଗାନ୍ଧେବନ୍ଦନ୍ତ.  
ଶେନ ରହି ଗାତ୍ରେନାହି,  
ସାଜାରତବେଲାରେ କମାବ ଫିଲେବୁଲା,  
ସାତ୍ୟତରିଲା ମତ୍ତମ୍ଭେଲା,  
ସିତ୍ୟବନ୍ତୀ ଉପବିଷ୍ଟାକିଲେବୁଲା,  
ମାଶିନ ହେମ ମହାରେ

მხარზე ისევ აწვა წყვდიადი,  
 მისი ტკივილიც  
 ალბათ გულით გაიწილადე.  
 მტკვრის პირას მჯდარი  
 შენ ჭოროხის ბეღზე ფიქრობდი.  
 მტევანს გვიჰქნობდნენ  
 და ტაძრებში სანთლებს გვიქრობდნენ.  
 დღესაც ბევრს ვიცნობ,  
 პოეტო შენს უზიარებელ  
 ქართველს გადაღმელს,  
 რომ ვერ ირჩენს გულზე იარებს,  
 ქართულ ლექსს ეტყვი,  
 უმაღ ათასს გაუზიარებს  
 და სტრიქონს ჩვენსას  
 გადაუშვებს სულში მდინარედ.  
 ისიც აქ მყავდეს,  
 ვიმღერებდი უფრო ხმიერად.  
 ხომ მისიცა ლექსი ჩვენი,  
 სიტყვა ხნიერი.  
 მინდა ორივემ მოგეფეროთ,  
 ბეღო ქებულო,  
 ბარათაშვილო,  
 საქართველოს ხმავ დიდებულო!

## ც ა თ ა რ !

ბარათაშვილი ბეგრძერ დამტებარა ორთაჭალის ბაღში  
სათარას სიმღერებით.

ორთაჭალა, თარი კვნესის მწარედ  
და ჩინარი მტკვარში ჩრდილებს ართავს.  
ცვრიან ვარდებს ურუანტელი უვლის,  
რახანია ღოქში ღვინოც გათბა!  
ისეც იწვის სიყვრულით გული,  
შენი ცეცხლი რაღად უნდა, სათარ!  
ბარათაშვილს არ ეყოფა სევდა?!  
შენი ბოლმა რაღად უნდა, სათარ...  
რად გააღე სულის ოთხი კარი,  
ამ ღელვაში ვინ გაბედავს მოსვლას,  
ვერ უყურებ, ანკარაა მტკვარი,  
შენ კი გული აუმღვრიე მგოსანს.  
უპატრიონდ ჩაიფერთვლა მოვარეც,  
უკანასკნელ სამანებთან ჰვილებს,  
მტკვრის ტალღები, თუ ეგ შენი თარი  
ატივტივებს ტირიფების ტოტებს...  
აუხდინე დაკოდილ გულს რაც სურს,  
ამბობდნენ და რა ყოფილხარ მართლაც!  
ეს მზეა თუ ჭავჭავაძის ასულს  
ბედდამწვარი შეახვედრე, სათარ!  
ზვავი მოდის თუ გრევინვაა ზეცის,  
სიტყვის გრიგალს რამდენ იგავს ატან.  
ისევ ტრფობის გაღმოშალე ცეცხლი...  
სხვა რამ გეთქვა ახლა მაინც, სათარ!  
რაა თუ გულს ნაწილ-ნაწილ დაშლი,  
გაღვივებულ ნაკვერჩხალზე დადებ —  
რა გინდოდა ორთაჭალის ბაღში,  
სევდის ბაღში რად ისროლე ბადე!

10. 835

# ლ ტ ე რ უ კ უ ლ მ ი ...

სულ რაღაც ორი წლის წინათ ქართული კულტურის დიდ ზეიმზე შოთა რუსთაველი მასპინძლობდა მრავალრიცხოვან სტუმრებს.

დღეს საქართველო ისევ ფართოდ უღებს კარს ქართული კულტურის მეგობრებსა და დამფასებლებს და მასპინძელი ბარათაშვილია.

სიცოცხლეში ბედდაწყევლილსა და სამშობლოსაგან შორს, უსახელოდ დაღუპულ პოეტს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ დაადგეს გვირგვინი საქართველოს უბირველესი ლირიკოსისა და მას შემდეგ ქართული მწერლობის არც ერთ თობას ჩვენი დიდი წინაპრების ეს ერთსულოვანი აღიარება ეჭვევეშ არ დაუყენებია.

თავი რომ დავანებოთ „მერანს“, რომელიც ქართველი კაცისათვის მუდამ დარჩება მსოფლიო პოეზიის საგანძურის ერთ-ერთ უბრწყინვალეს თვალად; ბარათაშვილი არის ავტორი „ცისა ფერის“, „ჩემი ლოცვის“, „ვპოვე ტაძარის“, „სულონ ბოროტონის“ და სხვა შედევრებისა, რომლებსაც არავითარი შეღავათი არ სჭირდებათ მსოფლიო ლირიკის საუკეთესო მიღწევების გვერდით დასაყენებლად.

ბარათაშვილმა მე-19 საუკუნის დასაწყისში, გურამიშვილისაგან დამოუკიდებლად აღადგინა რუსთაველთან გაწყვეტილი პირდაპირი ხაზი ქართული პოეზიის განვითარებისა.

თუ რუსთაველის პოეზია თავისი სრულქმნილობით, უნაპირობითა და მზიური სიმშვიდით ოქეანეს გვაგონებს, ბარათაშვილი მთის გამჭვირვალე მდინარესა გაეს, რომელსაც უბნელესი ლრმა მორევები აქვს და ისეთი საშინელი მოვარდნა იცის, რომლის დაოკება მხოლოდ გიუურ ქროლვას, არყოფნის ზღვასთან შეერთებას შეუძლია.

ბარათაშვილის პოეზია დაუამებელი ტკივილების, აღმიანის სულის განუკურნებელი ტკივილების პოეზიაა და როგორც აღამიანი ვერ იცოცხლებს ტკივილის გრძნობის განუცდელად, ისე ქართული პოეზიაც წარმოზღვენელი იქნება იმ შავი ფიქრებისა და სასოწარმკვეთი ტკივილების გა-

რეშე, რომლითაც ბარათაშვილმა აავსო ჩვენი სული, სამყაროსთან ჩვენი გვერდი დამოკიდებულების განცდა.

როცა ბარათაშვილის წინამორბედ ქართულ პოეზიას ვიხილავთ, ჩვენ როგორ იქნებ კიდევ ვაჭარბებთ ბარათაშვილის რეფორმატორული როლის შეფასებისას, ბევრი რამ, რასაც ჩვენ ბარათაშვილის დამსახურებად ვთვლით, ნაწილობრივ და სხვა სახით გვხვდება გურამიშვილთან და ზოგიერთ მის თანამედროვე პოეტთან, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ ამცირებს ბარათაშვილის ღვაწლის მნიშვნელობას. ბარათაშვილი არ იცნობდა გურამიშვილს და მან ბევრი რამ „დავითიანის“ ავტორისაგან დამუკიდებლად აღმოაჩინა ქართული პოეზიისათვის. ამასთან, ისიც საგულისხმოა, რომ ბარათაშვილი სრულიად განსხვავდება გურამიშვილისაგან საწუთროსთან (ბარათაშვილთან — ბედისწერა) დამოკიდებულებაში. გურამიშვილი ხედავს და მძაფრად განიცდის სოფლის ამაოებასა და საწუთროს ვაუტანლობას, მაგრამ იგი როდი ებრძვის მას, როდი ცდილობს მისგან დაღებული საზღვრების გადალახვას. იგი ქრისტიანული შერიგების გზას ადგება და იმის უფლებასაც იტოვებს, რომ მწარედ დასცინოს სიკვდილსა და არყოფნის ძლევამოსილებას.

იგი ხედავს ცხოვრების უაზრობასა და უიმედობას, მაგრამ გამოსავალს გურამიშვილის მსგავსად რელიგიურ მორჩილებაში, ან პასიურ ირონიაში კი არ პოულობს, არამედ ბედისწერის წინააღმდეგობაში, ხედროთან პირისპირ შეხლაში და უკომპრომისო შებრძოლებაში ცდილობს ბედის საზღვრის გადალახვასა და სიცოცხლის აზრის გამართლების პოვნას.

ბარათაშვილის პოეზია მარტო იმით კი არ არის ახალი სიტყვა, რომ მან გატებილებულ აღმოსავლურ ვარდბულბულიანს აქცია ზურგი. მის ლექსებში პირველად გაისმა დასავლური პოეზიის ის მოტივები ადამიანის ბედისა და ყოფნა-არყოფნის, გარესამყაროსთან მისი დამოკიდებულებისა და სიცოცხლის აზრის ძებნისა, რომელიც ასე განსხვავებს ევროპულ პოეზიას აღმოსავლურისაგან.

არა ულონო მოთქმა სოფლის სამდურავისა, არა ღვინოში ჩახშობა საწუთროს გაუტანლობით აღძრული სასოწარკვეთილებისა, არა მისტიკური ექსტაზით ღვთაებასთან შეერთებით მიღწეული თავდავიწყება. და ცხოვრებისაგან გამოთქვა, არამედ პროტესტი და შებრძოლება, დაგმობა და უარყოფა ბედის განახენისა, ადამიანისათვის დადებული საზღვრის დაძლევისა და გადალახვისათვის თავგამეტებული ბრძოლა.

აი ის მოტივები, რომლებიც ასე აშორებენ ბარათაშვილს აღმოსავლური გავლენებისაგან და რომლებიც ასევე ახლოებენ მას მისი თანამედროვე ევროპული პოეზიის იდეებთან.

ბარათაშვილთან ჩვენ გვხიბლავს შექსპირისებური განცდა ტრაგიზმისა, ადამიანის სულის სიღრმეების წვდომა და უხილავის ხილვის დაუმ-

ცხრალი სწრაფვა. ამ მხრივ იგი შორეულად ფრანგ „დაწყევლილ პოეტის ბრძანებული ბსაც“ ეხმაურება, რომელთაც თავისი უბედური ხვედრითა და უძღვეს ცხოვრებითაც გავს.


ნიკოლოზ ბარათაშვილმა არა მარტო დიდ საკაცობრიო იდეებს აზიარი ქართული პოეზია, იგი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი, ცხოვრობდა თავისი ერის ცხოვრებით, მწვავედ განიცდიდა სამშობლოს ბედს და ეს განცდა ხშირად აჰყავდა ზოგადეკაცობრიულ ხარისხში.

ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ არის ის ნაწარმოები, რომელიც საეტაპოდ იქცა ქართული პატრიოტული ეპოსის განვითარებაში და რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ილიას, აკაკისა და ვაჟას პატრიოტულ პოემებზე.

ამ პოემაში ერთხელ კიდევ დგება ტრაგიკული პრობლემა პატარა ერისა: განაგრძოს რიცხობრივად ჭარბ მტერთან უთანასწორო ბრძოლა და ამით სასწორზე შეაგდოს თავისი არსებობა, თუ უარი თქვას საკუთარ თავისუფლებაზე, დაემორჩილოს უძლიერესს და ამით შეინარჩუნოს არსებობა. სოლომონ მსაჯულის დიალოგში მის მეულლესთან, აგრეთვე, ერეკლე შეფესთან, ხელახლა ცოცხლდება ძველი კოლხეთის ტყეში შეფარებულ პატრიოტთა კრებაზე გამართული ცხარე კამათი აიეტისა და ფარტაძისა, ორი უკიდურესობისაგან, შედარებით უკეთესის არჩევის თაობაზე, კამათი, რომელიც მეექვსე საუკუნის შემდეგაც არაერთხელ განახლებულა ქართველთა თაობების ცხოვრებაშიც.

ნ. ბარათაშვილს სიყვდილამდე აწვალებდა ქართლის ბედი, იგი არა ერთხელ უბრუნდებოდა ამ პოემაში დასმულ პრობლემებს. ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ბარათაშვილმა თითქოს შეაჯამა თავისი ხანგრძლივი ფიქრისა და განსხის შედეგი და მიიღო, როგორც ისტორიულად გამართლებული ნაბიჭი, ერეკლე მეფის მიერ განხორციელებული აქტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. საქართველოს უკანასკნელი მეფისა და სახალხო გმირის ამ „ქველ ანდერძნამაგში“ პოეტმა დაინახა საქართველოს ფიზიკური გადარჩენისა და განათლების გზაზე დადგომის პერსპექტივა და, როგორც ისტორიულმა განვითარებამ ცხადყო, შორსმჭვრეტელი პოეტისა და მამულიშვილის ეს გულწრფელი მსჯავრი სწორი იყო.

ბარათაშვილის პოეზია მარად ცოცხალი პოეზია. იგი, როგორც ყოველი მარადიული ღირებულება, ყველა დროისა და თაობისათვის ძვირფასია. ეს პოეზია დღესაც, ჩვენთვისაც უაღრესად თანამედროვეა, რადგან პოეტის მაღალჟუმანურ იდეებს, მის ოცნებას კაცობრიობისა და სამშობლოს ნათელ მომავალზე, ადამიანის უკეთეს ბედზე სწორედ ჩვენს დროში ეძლევა აზრი და ესხმება ხორცი.





## რეზონ ჩაჩა

### ეროვნული კულტურის დღის ტაქარი

უნივერსიტეტი, ყველა ქართველის, ცოდნის წმინდა კერა.

უნივერსიტეტი, დიდი და ლამაზი ოცნების აღგილია, რომელსაც  
უველა ახალგაზრდა ცხოვრების დიდ შარაზე გაჰყავს და ანიჭებს გამბედაო-  
ბას დამოუკიდებელი შრომისა და გამარჯვების მოსაპოვებლად.

უნივერსიტეტი ძვირფასია, რადგან აქ პოულობს საზრდოს გული.  
გონიერ და სული ახალგაზრდისა; იგი ძვირფასია, რადგან აქ რჩება და  
მასში ეგულვის მუდამ მისი ლალი და უდარდელი ყმაშვილობა.

უსაზღვროდ გვიხარია, რომ მის ფართო კედლებში აღიზარდა უამრა-  
ვი მამულიშვილი, გვიხარია რომ ნახევარსაუკუნოვანი სახელოვანი გზა  
განვლო და ახლა დიდ ნამოლვაწარს აჯამებს.

დღეგრძელი იყავ, მეცნიერების წმინდა ტაძარო!

თუ დღემდე ვისმეს რამ კარგი გაუკეთებია, ან მომავალში გააკეთებს  
— ყველაფერი გეკუთვნის შენ, — ეს ჩემი პირველი ნარქვევიც, რომელიც  
შენი აღზრდილის, უნგრელი მეცნიერის მარტონ იშტვანოვიჩის შესანიშნა-  
ვი ბიოგრაფიის პატარა ნაშილია.

# გარტონ იშტვანოვიჩი

(ნარკვევი)

1936 წელს მარტონ იშტვანოვიჩის ოჯახი უნგრეთის პატარა სოფელ ტოპონარიდან ბუდაპეშტში გადასახლდა. 6 წლის იყო მაშინ მარტონი.

ბუდაპეშტში დავაჭარდა იგი და იქ დაიწყო მისი ნამდვილი ცხოვრება.

ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლობდა მარტონ იშტვანოვიჩი, როცა ვიკარის თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხა.

ამ წიგნს დედის ნამბობით იცნობდა, საქართველოზედაც ბევრი რამ უთქვდმს დედას, მაგრამ წაიკითხული სულ სხვა ყოფილა.

...ბუდაპეშტში უნგრერსიტეტში სწავლის დროს საქართველოს შესახებ ყველაფერი გადაიკითხა, რაც კი უნგრულ ენაზე მოიპოვებოდა, — ყაზბეგი, ილია, სულხან-საბა ორბელიანი და კიდევ უფრო გაუძლიერდა საქართველოს ნახვის სურვილი.

...უნგრეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში თითქოს განებ მარტონს კავასიური მასალების შესწავლა დაავალეს.

სიყვარულით და ხალასით შეუდგა ამ მეტად ძნელსა და საპასუხისმგებლო საქმეს ახალგაზრდა მეცნიერი.

იგი კითხულობდა უამრავ მასალას და იხსენებდა დედის ნამბობს, — საოცარი ზოაპრების ქვეყანას...

მუშაობისას მასალებში მან მრავალი საინტერესო რამ დადგინაა: ცთევზის, ხეხილისა თუ ზოგიერთი სხვა სახელწოდება კავკასიურ და უნგრულ ენას თითქმის საერთო ჰქონიათ.

გარდა ამისა მარტონის ყურადღება მიიპყრო ყურძნენმა, რომელიც უნგრეთში კავკასიიდან უნდა იყოს შეტანილი ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ადრეულ საუკუნეებში უნგრელები კავკასიის მახლობლად ურალში ცხოვრობდნენ.

და დაიწყო მარტონმა კავკასიისა და უნგრეთის ურთიერთობის ისტორიული ფესვების გულდასმით შესწავლა.

მხცოვან პროფესორებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ ახალგაზრდა მკვლევარის მეცნიერული ალლო.

უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, უნივერსიტეტის რექტორმა არტურმა დიულამ თავისთან იხმო.

მარტონს სიხარულისაგან ენა დაება...

...არა, ეს არ იყო სიზმარი. მის წინ იდგა თმაშევერცხლილი მეცნიერი და ღიმილით ულოცავდა გზას საქართველოსაკენ.

\* \* \*

— ეს ჩვენი სტუდენტებია, — აუხსნა შავგვრემანმა ჭაბუკმა ჭოლა თევზაძემ.

მარტონ იშტვანოვიჩმა თვალი შეავლო ლამაზად ჩამწერივებულ, გრძელ-გრძელ კორპუსებს და ახალ მეგობარს გაულიმა.

ახალგაზრდა ასპირანტს — ჭოლა თევზაძეს აქ ერთი პატარა ოთახი ეცირა, ჯიბეში გასაღები მოძებნა და ოთახის კარი სტუმარს ფართოდ შეულო.

— მობრძანდით, ძმაო, მეგობრულად ვიცხოვროთ!

მარტონმა მაშინ მადლობა დამტვრეული რუსულით გადაუხადა.

მარტონი გულმოდგრძელ ეცნობოდა საქართველოსა და მის მდიდარ კულტურას; მასი შესწავლის მთავარი მიზანი ქართული ზღაპრის ბუნება იყო, კერძოდ ამ ზღაპრებში მას სქესის მეტამორფოზის ანუ გარდექმნის საკითხი აინტერესებდა. აგრეთვე ქართული ზღაპრების ამგვარი ვარიანტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ვარიანტისათვის უნდა შეედარებინა და ამის საფუძველზე ქართული ლოკალური ზღაპრის წარმოშობის პრობლემა გადაეწყვიტა.

ამ რთული ამოცანის წინაშე იდგა რა, პირველ რიგში ქართული ენის ცოდნა იყო საჭირო.

და როცა ჭოლა თევზაძემ პირველმა შესთავაზა მეგობრული დახმარება, მარტონს სახე საოცრად ვაუბრუნებინდა და დაუყოვნებლივ შეუდგა ქართული ენის შესწავლას.

გაირბინა ორმა წელმა. მისმა დაბეჭითებულმა შრომამ ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო. ისე კარგად შეისწავლა ქართული ენა, რომ პირველი ქართულ-უნგრული ლექსიკონი მან შეადგინა.

ნიჭიერი უნგრელი ახალგაზრდა ახლა ქართული ზღაპრების თარგმნას შეუდგა:

ამ რამდენიმე წლის წინ უნგრეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ევროპა“ დაბეჭდა მარტონ იშტვანოვიჩს მიერ უნგრულ ენაზე პირველად, თარგმნილი ქართული ზღაპრები, რომელიც უნგრელმა მკითხველებმა გამოსვლისთანავე დაიტაცეს.

— უნგრეთში რომ ჩავედი, ჩემი წიგნის შოვნა მე თვითონ გამიჭირდა. — ხუმრიბდა შემდეგ მარტონი.

მარტონი უნგრეთის უურნალ-გაზეთებშიაც ხშირად აქვეყნებდა სტატიებსა და ნარკვევებს საქართველოზე, ქართველ მწერლებსა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებზე.

სამი წელი სწავლობდა მარტონი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე. მან მრავალი მეგობარი შეიძინა. ის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

როგორც მარტონი ლაპარაკობს, მას არასოდეს უგრძნია, რომ უცხო



მხარეში და უცხო ხალხში იმყოფებოდა, მუდამ ეხვია ქართველი მეგობრები.

სწრაფად გაირბინა სამმა წელმა. დისერტაციის დაცვის ღღეც და დგა:

მოვიდნენ ნაცნობები, ამხანაგები, მეგობრები...

მარტონი ღელაფდა, — საჯაროდ უნდა ელაპარაკა ქართულად.

საპროფესოროში შევიდა... არავინ იყო. მშვიდად ამოისუნთქა და სავარძელში ჩაეშვა. მალე მოვიდნენ ოპონენტები დოცენტი ელენე ვიზოსალაძე, ცნობილი ფოლკლორისტი, პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი, სახელოვანი ქართველი მეცნიერი აკაკი შანიძე...

— იციდე, არ აღელდე, მთვარია სიმშვიდე, — მამაშვილურც არიგებს აკაკი შანიძე.

— ნუ გეშინია, მარტონ, ყველაფერი კარგად ჩაიგლის! — ამხნევებს პროფესორი ქსენია სიხარულიძე.

ღია ფანჯარაში ნიავი იჭრება.

დისერტაციის დაცვა დიწყო.

დაბალი, ტკბილი ხმითა და ლამაზი ქართულით საუბრობს მარტონი.

ყველანი სულგანაბული უსმენენ და როცა იგი კათედრიდან აღელვებული ჩამოდის, დიდი მოწონების ნიშნად მქუხარე ტაშით აჯილდოვებენ.

მარტონს სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს ბედნიერი დღე, რომელიც მისი ბავშვური ღამეების დასასრული იყო...

ახლა იგი თოთქოს მშობლიურ სოფელ ტობონარშია. ექვსი წლის შავგვრემანი ბიჭუნა წევს დედის გვერდით. პატარა ბიჭი გატაცებით უსმენს უნგრულ, რუსულ და ქართულ ზღაპრებს, რომელსაც დედა მოუთხრობს.

ფანჯრიდან კი მოსჩანს თუ როგორ შრიალებენ ვაშლის ტოტები, დედა დგება და შუქს აქრობს, დავიძინოთ, ეუბნება, მაგრამ არ აძინებენ ზღაპრები. მერე ამოდის მთვარე და ვაშლის ტოტებში იხლართება..

უცემ ერკვევა ახალგაზრდა დისერტანტი:

აკადემიკოსი აკაკი შანიძე მარტონს ლიმილით ულოცავს დისერტაციის პრეზინაციები დაცვას.

— ჩვენთან რომ ჩამოდი, მარტონ, არც ქართული იცოდი და არც რუსული, — ეუბნება პროფესორი ვარლამ თოფურია — ახლა კი ქართულად დისერტაცია დაიცავი; სადისერტაციო თემა საერთაშორისო მნიშვნელობისაა. შენ ეს მშვენივრად შესძელი. მშვენივრად შეისწავლე ქართული ზღაპრების ტიპები და შეუდარე იგი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ვარიანტებს... შენი აქ ჩამოსვლა უნგრელი და საბჭოთა ხალხის მეგობრობის მშვენიერი დადასტურებაა. გილოცავ, გამარჯვებას!

— ოქვენ მექითხებით: როგორ მოგწონს საქართველო? როგორც ხედავთ 4 წელი ვიყავი აქ. ამ ხნის მანძილზე მაკრთობდა ფიქრი მესამე, რომ ერთ მშვენიერ დღეს უნდა დავშორებოდი აქაურობას. — ღიმილით ამბობს მარტონი, თან სვანურ ქუდს ისწორებს. — თბილისის ზოგიერთა ადგილი ჩემს ბუდაპეშტს მაგონებს. ჩემი ქალაქიც ასევე მშვენიერია. ამიტომ მიყვარს თბილისი, ხოლო მისი ერთ-ერთი ლამაზი კუთხე, — სტუდენტთა ქალაქი, ჩემი მეორე მშობლიური ოჯახია. რა დამავიწყებს ქართველ ხალხს, უნივერსიტეტს, მის დიდსა და ფასდაულებელ ამაგს!

\* \* \*

პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ ამ რამდენიმე წლის წინათ გააცილა მარტონი მშობლიურ ბუდაპეშტში...

„მე არ მინდა ყველა ბარათი მაღლობით დავიწყო, მაგრამ რა ვქნა, თუ თქვენმა ზრუნვამ, თქვენმა სულგრძელობამ საზღვარი არ იცის?“

ას იწყება მარტონ იშტვანვიჩის ბარათი. ვერ წარმოუდგენია, სხვა-საირად მიწეროს ადამიანს, რომელმაც ამდენი ამაგი დასდო მას.

საქართველოდან წასვლის შემდეგ მარტონმა მშობლიური ბუდაპეშტის უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა. მან შექმნა ქართული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი ჯგუფი, რომელსაც ქართული კერა უწოდეს. ჯგუფის წევრებს მარტონ იშტვანვიჩი ასწავლის ქართულ ენას, ფოლკლორს, ქართულ ენაზე უკითხევს ლექციებს...

მარტონი არის უნგრეთის საეთნოგრაფიო საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი; საყოველთაო აღიარება პპოვა მის მიერ უნგრულ ენაზე თარგმნილმა ქართული ხალხური ზღაპრების კრებულმა. უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანო უურნალ „აქტა ეთნოგრაფიკის“ მეცნენობერში ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა გაბრიელ კისის რეცენზია, სადაც ნათქვამია, რომ ეს პირველი წიგნია უშუალოდ ქართული ორიგინალიდან თარგმნილი. ის დაწერილია კარგი უნგრული ენით. ქართველ მეცნიერს ხელო აქვს ამ უურნალიდან ამონაბეჭდი ფურცლები. იქ მადლიერების გრძნობით იხსენიებენ მარტონს. ეს ამონაბეჭდი გამომცემლობა „ვეროპას“ დირექტორის მოადგილებ და მთავრება რედაქტორმა შარა გარივა გამოუგზავნა. შარა გარივი საქართველოში იყო სტუმრად და ქსენიას ჩამოუტანა მარტონის მიერ ქართული ხალხური ზღაპრების კრებულის ერთ-ერთი ზღაპრის — სასწაულმოქმედი პერანგის ილუსტრაციის ორიგინალიც. ის დიდი ვემოვნებით შეუსრულებია მხატვარ ლილო ლორენტე პეტერნის. ეს წიგნი მოხსენებულია მსოფლიო ხალხთა ზღაპრების სერიების ბიბლიოგრაფიაშიც. უურნალ „აქტა ეთნოგრაფიკაში“ დაიბეჭდა მარტონ იშტვანვიჩის სადისერტაციო შრომის ნაწილი. პელსინკში გერმანულ ენაზე დასაბეჭდად მიიღეს მარტონის 600-გვერდიანი ეს სადისერტაციო შრომა.

დიდი მოვლენაა 30-ათასსიტყვიანი ქართულ-უნგრული ლექსიკონი. ეს  
ხომ ქსენია სიხარულიძის ოვალშინ მისი უშუალო დახმარებით შეადგინა  
მარტონმა.

მარტონ იშტვანოვიჩი უნგრეთის უურნალ-გაზეთებში ხშირად ბეჭ-  
დავს ქართული ლიტერატურისა და ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების, —  
კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და სხვათა შე-  
სახებ.

მარტონმა თარგმნა ქართული ხალხური ზღაპრების მეორე კრებული  
და დასაბეჭდად წარადგინა ბერლინში.

იგი თარგმნის აგრეთვე ქართველი კლასიკოსების —ილიასა და აკაკის  
ნაწარმოებებს. გამოსაცემად ამზადებს თანამედროვე ქართველი პეტე-  
ბის — გალაკტიონ ტაბიძის; გიორგი ლეონიძისა და სხვათა ლექსების  
კრებულსაც.

ბოლო წერილში მარტონ იშტვანოვიჩი ქსენია სიხარულიძეს ატყო-  
ბინებდა: „მინდა ჩამოვიდე და ვნახო ჩემი საყვარელი უნივერსიტეტი!  
ჩემს პატარა ქალიშვილებსაც ძალიან უნდათ საქართველოში წამოსვლა.  
ალბათ ჰგონიათ, ახლოს არის დედამიწის ეს ულამაზესი კუთხე, თუმცა  
მეგობრობამ და სიყვარულმა როდი იცის საზღვრები!“





1918  
1968

## ჩენა საჩიშვილი

საქართველოს ალკა ავარიის ხაოლქა  
კომიტეტის პირველი მდიგარი

# დისადი ოქტომბერი და საბჭოთა პშერის ახალგაზრდობა

— „საჭიროა ახალგაზრდა ძალები... საჭიროა მხოლოდ უფრო ფართოდ და გაბედულად, უფრო გაბედულად და ფართოდ, ერთხელ კიდევ ფართოდ და გაბედულად მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, არ შეგვეშინდეს მისი, ომიანობის დროა, ახლა ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს.“.

ახალგაზრდობისადმი ღრმა რწმენის მკაფიო დადასტურებაა ბოლშევიკური პარტიის ბელადის — დიდი ლენინის ეს სიტყვები, ახალგაზრდობაში ბრძოლის სურვილი სწრაფად ძლიერდებოდა და მძაფრად ღვივდებოდა რევოლუციური განწყობილება, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ამიტომ მისცა ასეთი შეფასება ახალგაზრდობის ძალისა და ენერგიის პოტენციალს. დადგა საკითხი რევოლუციურ მოძრაობაში ახალგაზრდობის ჩაბმისა და პარტიის იდეური ხელმძღვანელობით ახალგაზრდობის დამოუკიდებელი კომუნისტური ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობაზე. ლენინის მითითების საფუძველზე, ბოლშევიკური კომიტეტებში ხელმძღვანელობით ზედიზედ იქმნებოდა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზა-



ციები რუსეთის სამრეწველო ცენტრებში, უკრაინაში, ამიერკავკასიაში და მთელ რიგ ოლქებში.

ეს იყო ის შემტევი ძალა, რომელმაც მხარი აუბა უსამართლობის წინააღმდეგ ამდგარ ხალხს ქვეყნად სიკეთის დასამეცვიღრებლად. მას ჰქონდა გასაოცარი ძალა და დაუკეტელი სწრაფვა გამარჯვებისაკენ. შეიცნო რა საკუთარი ძალა, მტკიცედ ჩადგა უკეთესი მომავლისათვის მებრძოლთა რიგებში. ამ გმირულ შემართებას ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ხელმძღვანელობდა.

ასეთ ვითარებაში 1918 წლის 29 ოქტომბერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ იქნა რუსეთის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კავშირების პირველი ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს — კომკავშირს, რომლის საშუალებითაც პარტია წარმართავდა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას.

რუსეთის ახალგაზრდობის რევოლუციურ აღმაფრენას მხარს უჭერდნენ საქართველოს მოწინავე კაბუკები და ქალიშვილები.

საქართველოს ახალგაზრდობა მოწიწებით ინახავს საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის შესანიშნავი ბოლშევიკის — ბორის ძელაძის სახელს.

ჭარის ახალგაზრდობამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ ჩამორჩენილსა და დრომოქმულს. მათ იერიში მიიტანეს სოფლის ცხოვრების სინამდვილეში გამეფებულ ისლამურ წესებზე. სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს რელიგიას და მის მედრესებს. ახალგაზრდობა შეუპოვრად უტევდა და ამარცებდა სიძნელებს. — ისინი იყვნენ სოფლად პარტიის ხაზის გამტარებლები, კოლექტივიზაციისათვის აქტიური მებრძოლები, სოციალისტური შეჯიბრების წამომწყებნი.

ჩვენმა მასამ აამაღლა მისი მატერიალური და სულიერი კულტურა, მაგრამ გერმანელმა ფაშისტებმა შემოქმედებით შრომაში გართულ ხალხს თავს მოახვია ომი. უფროს თაობასთან ერთად ახალგაზრდობაც აღდგა სამშობლოს დასაცავად.

კველასათვის ცნობილია თუ რა გაუკონარი გმირობის მაგალითებით ასახელეს საქართველო და უკვდავი სახელით ჩაეწერნენ სამამულო ომის შატიინებში ქართველი მეომრები, ლენინურმა კომკავშირმა გამოაწრთო ისინი და ჩაუნერგა მათ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული.

კანონიერ სიამაყეს იწვევს იმის აღნიშვნა, რომ 134 ქართველ მეობარს მინიჭებული აქცის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ახალგაზრდობის სისხლსავსე ცხოვრება ომისაგან მიყენებული მატერიალური ზარალის აღდგენისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო გამოვლინდა.

საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები დაუღალვად შრომობენ.

ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტად ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი შექმნილი მოქმედებითი შრომის ფართოდ გაშლისათვის.

ჩვენი დღესასწაული ახალგაზრდობის შრომის, სწავლის მაღალ შედეგების დემონსტრირებაა. ძას აჭარის ახალგაზრდა მენავთობები, მანქანათმშენებლები, მეჩაიერები, მეციტრუსეები, პატრიოტული საქმეებით ეგებებიან.

აჭარის კომკავშირელები აქტიურად მონაწილეობენ წარმოების დაგეზმვის და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემასთან დაკავშირებულ სამუშაოებში. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვის აღსანიშნავად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩამოულია ოლქის 60-მდე ახალგაზრდული ბრიგადა. 2.000 კომკავშირელი იბრძების კომუნისტური შრომის დაკვრელის საპატიო წოდების მოსაპოვებლად.

წელს ბათუმში საწარმო-დაწესებულებათა კომკავშირელები ხუთწლედის მესამე წლის დავალებებს 19 დეკემბერს შეასრულებენ. ელექტროტექნიკური მრეწველობის დარგში დასაქმებული ახალგაზრდები თავიანთი ძალებით გამოუშვებენ 35 ათას ტრანსფორმატორს, 400 ცალ სარეცხ მანქანას, გამოშვებული იქნება 25 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, ასობით ტონა ნავთობპროდუქტი, 50 მილიონი ცალი პაპიროსი, სახელმწიფო მილებს 25 ათას მანეთ ეკონომიას.

ნაყოფიერად შრომის სოფლის ახალგაზრდობაც. განსაკუთრებით საამაყოა მეჩაიერა მიღწევები. წელს ისინა 25 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთლისათვის იბრძოდნენ. ჭაბუკები მარჯვედ ტრიალებენ ზვრებში, ბალებსა და პლანტაციებში, საკოლმეურნეო ფერმებში. მიცეც სამშობლის 15 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი — ახეთია ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მეციტრუსეთა საიუბილეო ვალდებულება.

ტექნიკის წინსვლა, სახალხო მეურნეობის უმაგალითო განვითარება ახალგაზრდობას ავალებს უფრო ღრმად დაეუფლოს მეცნიერების საფუძვლებს. ყველგან — ქარხნებსა და ფაბრიკებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, პლანტაციებში სამეცნიერო-დაწესებულებებსა და კვლევითს ლაბორატორიებში ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები ეწაფებიან. სწავლას.

წელს წარმატებით განხორციელდა ღონისძიებები შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისათვის. საწარმოებში შექმნილმა ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოებმა, ახალგაზრდა სპეციალისტთა ასოციაციალიზატორულმა წინადადებებმა ათიათასობით მანეთის მოგება მისცეს ქარხანა „ელექტრონელსაწყოს“, ელექტრომექანიკურ, მანქანათმშენებელ, ნავთობგადასამუშავებელ და სხვა ქარხნებს.

დიდი ამოცანების წინაშე დააყენა სამრეწველო საწარმოების პრეზენტაციას რევლადი კომკავშირული ორგანიზაციები ხუთდღიან სამუშაო გაფრინვების გადასვლამ. ერთორიად გაიზარდა თითოეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის გართობისა და კულტურული დასკვნების ორგანიზაციისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებსა და სოფლის ახალგაზრდობას შეემატენენ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჭაბუკები, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩვენი ახალგაზრდების სახეს წარმოადგენენ. მათ მაღლა უჭირავთ საბჭოთა ახალგაზრდობის საპატიო სახელი და თვალისწინევით უფროთხილდებიან. ისინი კომკავშირის 50 წლისთავს ახალი წარმატებებით შეხვდნენ.

საბჭოთა ახალგაზრდობის საიუბილეო დღეებში კომკავშირელების ერთი ჯგუფი პირველ კომკავშირელებთან ერთად ეწვივნენ ჩოხატაურს, საღაც დაიბადა საქართველოს კომკავშირის დამაარსებელი ბორის ძელაძე. აქ კომკავშირულ აქტივთან ერთად გაიმართა მიტინგი. ბათუმელმა და ჩოხატაურელმა პიონერებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს ძნელაძის ძეგლი.

ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს გიეძღვნა ვიქტორინა-კონკურსი. კონკურსის თემა იყო, — „რა იცი შენ, ბლაგოევგრადის ოლქის შესახებ“ და „რა იცი შენ, აჭარის შესახებ“. ამ ღონისძიებას დიდი ინტერესით გამოეხმაურა როგორც ბლაგოევგრადის, ისე აჭარის ახალგაზრდობა.

ქობულეთელ ახალგაზრდებს დიდხანს ემახსოვრებათ კუნძულ ტექსელის აჯანყების მონაწილე ქართველ მეომრებთან შეხვედრა. ჰოლანდიის სანაპირო ზოლში მდებარე კუნძული ტექსელი სამამულო ომში გმირულად დაცემულ ქართველ მეომართა სავანედ იქცა. ამ გმირული ბრძოლების მონაწილენი იყვნენ აჭარის მკვიდრნი: ასლან წილოსანი, აკაკი ბოლქვაძე, შოთა ფუტკარაძე, რომლებმაც ამაღლელებლად მოუთხრეს შექრძილ ახალგაზრდებს ტექსელის ლეგენდარულ გმირებზე, ქართველ მამულიშვილთა შემართებასა და მამაცობაზე.

ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის სოციალისტური შეკიბრება — ქალაქის საუკეთესო ახალგაზრდა ხარატის, მღარავის, ზეინკლისა და ელექტროშემდუღებლის სახელის მოპოვებისათვის.

შესანიშნავი შრომითი საჩუქრით შეეგება დღესასწაულს ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამ-

შენებლო რაზმი. მათ საზაფხულო არდალეგების პერიოდში ლაგოლეზას რაიონში სკოლა და საცხოვრებელი სახლი ააშენეს.

საიუბილეო დღეებში აჭარის კომკავშირული ორგანიზაციები კიდევ უფრო მაღალი და პასუხსავები ამოცანების წინაშე დგანან. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენურზე ვ. პ. მუსავანაძემ ახალგაზრდებს მოუწოდა: — „გავამდიღროთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი და ფორმები, ახალგაზრდა თაობას ჩავუნერგოთ და განვუმტკიცოთ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, კლასობრივი მიდგომა ცხოვრების ყველა მოვლენისადმი, მაღალი დეური ჩ.წმენა, კომუნისტური პარტიის საქმის ერთგულება; აღმზარდოთ ქალიშვილები და ჭაბუქები საბჭოთა ხალხის რევოლუციურ საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე“.

ამიტომაც ახალგაზრდობის კომუნისტური აღმზრდისათვის გაწეული მუშაობა გამსჭვალული უნდა იყოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგარი გამოვლინებისადმი შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით. საჭიროა დამაჯერებლად ვაჩვენოთ სოციალისტური წყობის უპირატესობა, კაპიტალიზმის იდეოლოგიის მეშჩანურ არს დავუპირისპიროთ კომუნიზმის მორალური ფასეულობანი — შემოქმედებითი შრომა, კოლექტივიზმი და დემოკრატია.

სკკპ პროგრამაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი: „პარტიას ახალგაზრდობა მიაჩნია აღმაშენებელ, შემოქმედებით ძალად საბჭოთა ხალხის ბრძოლაში კომუნიზმისათვის“. აჭარის კომკავშირელები შეეცდებიან გაცემონ ყველაფერი, რომ გაამართლონ ეს დიდი კეთილშობილი ნდობა.

აჭარის ახალგაზრდობა დიდ იუბილეს ახალი წარმატებებით შეეგებნენ. ფაბრიკა-ქარხნებსა თუ ჩაის პლანტაციებში საოქტომბრო ვახტზე იღგა ახალგაზრდობა, მათ წარმატებებს დოვლათი და ბარაქა მოაქვს.

საბჭოთა ქვეყანა ისტორიული პროგრესის ავანგარდია. მომავლისაკენ მისი წინსვლა ტოლს არ უდებს მე-20 საუკუნის კოსმოსურად სწრაფ რიტმს. მაშ, ვიაროთ წინ უფრო მხრებგაშლილად, გაბედულად ვესწრაფოთ მომავალ დღეებს, როგორც ეს შეშვენის რევოლუციური დიდების მემკვიდრეებს, გმირი მამების შვილებს, კომუნიზმის დიადი იდეებისათვის მებრძოლებს!



# ზურბული

ეპვენება პომავავის 50 წლისთავი

არცი ჯრავილი

## ტურქოსკოვი პურალი

წვიმდა, ციოდა. საღარაჭოზე გვარდიელი იდგა. ხანდახან შეინაცვლებდა ფეხს და ტალახიდან დახეულ ჩექმას ამოაძრობდა. იგი სრულიად ყმა-წვილი იყო. საულვაშეზე სიშავე დაჟკრავდა.

ბნელ ფიცრულში წვიმა ჩამოდიოდა, ბიჭს სურვილი — მკაცრ მამაკაცს ჰგვანებოდა, სასაცილო იერს აძლევდა. თუმცა არ იყო დიდი, მაგრამ ბევრი გამოსცადა. მისი ყურებგაცვეთილი თბილი ქუდი პატარა გოგოს ეხურა, გოგოს ტუჩები გალურჯებოდა, ეტყობოდა ძალიან სციოდა. ბიჭს ვოგოსათვის ფარავის მოხურვა სურდა, მაგრამ ვერ გაეძედა, ბოლოს ცოტა უხეშად მიახურა და შესცინა.

გოგომ ენა ამოიდგა:

— რატომ ომბოთ?

— იმიტომ, რომ მოვსპოთ ბურუუაზია, მოვსპოთ მეფე და ჩვენ განვაგოთ ქვეყანა ლენინის მეთაურობით! — უპასუხა ბიჭმა ამაყად და მსხვილი ქამრის ქვეშ ხალათი გაისწორა.

— მერე მეფე ვინ იქნება, ლენინი?

— სულელო, რას როშავ! — აფეთქდა ჭარისკაცი და დიდი ხელი ბა-  
ტია ტუჩებს მაგრად მიადო.

— მეორეჯერ არ გაბედო ასეთი სისულელის გაფიქრებაც! იგი მეფე-  
ებს ებრძვის გესმისა?!

გოგო, რომელიც მოცერებას ელოდა, ტუჩებს იკვნეტდა და შიშისა-  
გან ტირილის დაწყებას აპირებდა.

უხერხული სიჩუმე ჩიმოვარდა, გოგო მიხვდა სისულელე დასცდა.

— ღენინი ბელადია! — აუხსნა გვარდიელმა, — ჩვენი ბელადი, ბო-  
ლშევიკების ბელადი!

— შენ ბოლშევიკი ხარ?

— ჯერ არა, მალე გავხდები!

— არ გეშინია?

— რისი უნდა მეშინოდეს?

— აი, რომ კლავ, ომობ!

ჭარისკაცმა გააქნია თავი, — ჩვენ ვიბრძიოთ! — უცებ აფეთქდა ვა-  
კი, — აგრე წუ ლაპარაკობ! — ჩვენ უნდა ავაშენოთ დიდი, ძალიან დიდი  
რაღაც, აი, შენ ნახავ, ახლა ვერ მიხვდები...

თუმცა გვარდიელიც ვერ გარკვეულიყო ხეირიანად მეთაურები კრე-  
ბებზე კი ამბობდნენ უბრალოდ და გასაგებად, რომ ისინი მუშებისა და  
გლეხებისათვის იბრძოდნენ, ქარხნებსა და მიწას გადასცემდნენ მშრომე-  
ლებს და ააშენებდნენ სოციალიზმს...

ჭარისკაცს სიტყვები არ ყოფნიდა უბრალოდ აეხსნა გოგოსათვის, რომ  
მტრის მოსპობა რევოლუცია იყო, ხოლო სოციალიზმის აშენება კი წარ-  
მოედგინა რაღაც უზარმაზარ, უკიდო შენობად, რომელიც ბეჭ-  
ნიერებას მოუტანდა.

— კარგი და როდის მორჩებით ამ ბრძოლას, რომ ყოველდღე გნახო?!

— ყოველდღე მნახო? — გაიკირვა ჭარისკაცმა. ამის გაფიქრებამაც  
ბიჭი შეაძრწუნა. განა დასაშვებია, დაიკარგოს დრო გოგოსთან ხშირად  
შეხვედრისათვის, როცა ამოდენა ამბები ხდება?! მაგრამ გოგო მეტად ლა-  
მაზი და მოსიყვარულე რომა?!

— მერეც სულ გვარდიელი იქნები? — მოწყენით ჰკითხა გოგომ.

— არა, წავართმევთ მტრებს ქარხნებს და მიწებს და გადავცემთ მუ-  
შებს და გლეხებს, — გაზიარებულად თქვა ჭარისკაცმა.

— მერე?

— მერე, ავაშენებთ სოციალიზმს!

— როგორია სოციალიზმი?

— როგორ ვერ გაიგე! — გაბრაზდა ჭარისკაცი, — ამაზე ამდენი ლა-  
პარაკი არ შეიძლება!

— შენ სულ ასეთი იქნები, ასე მკაცრი?!

გვარდიელი შექრთა, მეტი ხომ არ მოუვიდა?! თუ ჯობს ახერობის შესახებ  
შერე გოგოს ალერსით შეხედა. ქარმა წაუქროლა და სველი ფოთოლი  
გოგოს სახეზე მიაკრა. როცა ჭარისკაცმა ფრთხილად მოაცილა, თბილ  
ლოყაზე ხელი ოდნავ შეაყოვნა...

— სიყვარული ხომ შეიძლება? — შიშით იკითხა გოგომ — აი, რომ  
ააშენებთ, მერე...

გვარდიელი დაიბნა...

— შენ მარტო ამაზე ფიქრობ! — მიახალა ბიჭმა.

გოგო გაწითლდა — განა ამიტომ? — მაინტერესებდა როგორ იცხოვ-  
რებს მერე ხალხი.

— ბეღლიერად! — მოკლედ მოუჭრა გვარდიელმა.

— მაინც, როგორ? — არ მოეშვე გოგო, — პური იქნება? სკო-  
ლა, თეატრი.

ჭარისკაცი დაფიქრდა.

დიდი შენობის კონტურები ნელ-ნელა იკვეთებოდა...

იდგნენ და ჩუმად ფიქრობდნენ.

ქარი ღამის ფანარს აქანავებდა. სახლის კედლებზე ჩრდილები ირსე-  
ოდნენ. გოგოს სახეზე წვიმის წვეთები ჩამოსდიოდა. სინათლის სხივი  
ათასტრად ირეკლებოდა წვეთებში.

ვაჟმა სახე ახლოს მიუტანა და სველ ტუჩებზე ღააკვირდა, — იქაც  
თამაშობდა სხივი, რომელიც სამკუთხედებად, მრავალკუთხედებად, წრეე-  
ბად იყოფოდა და შემდეგ ერთდებოდა.

საოცრად მოუნდა ეს წრეები თუ სამკუთხედები უფრო ახლოს ენახა.  
ბიჭი მეტად დაიხარა მისკენ და...

...როცა გოგომ თვალები გააჩილა, ძლივს მოაცილა ტუჩები... და ჩურ-  
ჩულით ჰეითხა.

— მაშ, იმ კვირამდე ვეღარ გნახავ?

ჭარისკაცმა მხრები შეარხია სამინლად დაეზარა ხმის ამოღება, —  
ბეღნიერების წუთებს გაეყუჩებინა.

— მითხარი რა?! — შეეხვეწა გოგო.

ბიჭმა ტუჩებზე ხელი მიაფარა, ახლა სიჩუმე ერჩივნა. გოგომ სველ  
ხალათზე თავი მიაღო...

— რამე რომ მოგივიდეს? — შიშით სთქვა.

— მერე რა, — უცებ გამოფხიზლდა გვარდიელი. — მთავარია ის, რომ  
იცი რატომ იბრძევი და რისთვის კვდები! მე ერთხელ დავიჭერი კიდეც, იცი?

— მძიმელ დაიჭერი? — გოგომ მსუბუქად შეჭერივლა.

— რა თქმა უნდა... — ბიჭი ჩაფიქრდა — „ანახოს თუ არა ჭრილო-  
ბა?“ მერე გადაიფიქრა.

— აწი წადი. — უთხრა ბიჭმა ცოტა უხეშად, — ნუ გავიწყდება, გვარებული  
რდიელი ვარ!

გოგომ ქუღი მოიხადა, — წვიმა უსველებდა ჩალისფერ თმას. იდგა  
ჯიუტად .. მერე გალუმპულ ბელურასავით თავი შეაქანა, ქუღი და ფარავა  
სელში შეაჩეხა ჭარისკაცს და გაიქცა.

ჰაბუქს ბავშვურად შემოაწვა ნაღველი გულზე.

უცებ გოგო შემობრუნდა, უბიდან პატარა ქალალდის ნაკეცი ამოილო,  
სწრაფად მიიჩნია, ბიჭს ფარავის ჯიბეში ჩაუდო და გაპქრა.

აქეთ-იქით მოქანავე ნათურა მიმავალ გოგოს ჩრდილს ბან ერთ კე-  
დელს ახლიდა და ხან მეორეს.

გათენებისას წითლების საგუშავოს თეთრგვარდიელები ვერაგულად  
დაესხნენ და პატარა გვარდიელი ხმისამოულებლად მოჰკლეს...

დახოცილებს ჯიბეები დაუქექეს. ბიჭს ჯიბეში თუთუნის მაგივრად  
ლარატინა ნაკეცი ქალალდი უპოვნეს. თეთრგვარდიელმა ქისილან თუთუნი  
ამოილო, პატარა გოგოს წაუკითხავი ბარათის ნახევში გაახვია და ცეცხლი  
შოუკიდა.



## სიმღერის გელლი

წამოქმნილი შრიალა ყანა, —  
 ლურჯოვალა ზეცა თუ მოვარე ბაღრი, —  
 ოღზევებული ჩემი ქვეყანა,  
 ავსებულია სიმღერის მაღლით.  
 მივყვები ღროთა ფერისცვალებას,  
 ჩემია მიწა სულ ერთი ადლი,  
 მიტომ გადვურჩით ამდენ წვალებას,  
 რომ ჩვენში იყო სიმღერის მაღლი.  
 ყველგან გავიდგით მწვანე ფესვები,  
 დასაბამიდან ლალ ირემს ვგავდით,  
 რადგანაც გვზრდიდა ქართველი დედა  
 სიცოცხლის მაღლით,  
 სიმღერის მაღლით!  
 ჟუჟუნა წვიმა იღვრება ციდან,  
 თუ ზამთარია და უხვად ბარდნის.  
 თუმც შიშველ ხეებს უღმერთოდ სცივათ,  
 მაინც ცოცხლობენ სიმღერის მაღლით!  
 ხელაბყრობილნი ლოცავენ ცისქარს, —  
 მიწას აფენენ მაღლიან მანძილს...  
 და მთიდან მთაზე წავა ქუხილად  
 მარად უკვდავი სიმღერის მაღლი!

## პონტრესტები

ჩინარებში ამღერება ქარის,  
 ქარაფებზე — ჩანჩქერების მსხვრევა, —  
 აკვენება ფანდურის და ქნარის  
 ალვისტანა გოგონების რხევა, —  
 აფეთქება ალუბლის და ნუშის.  
 ღრუბლებს შორის მოქნეული ელვა, —  
 ყველაფერი თითქოს იყო გუშინ,  
 თითქოს გუშინ იყო გულის ღელვაც...  
 აღმართებზე — დაკიდული გზები,

გზისპირებზე გოლიათი მთები,  
 მთების თავზე — ისევ ნისლის მთები.  
 ფერდობებზე გაფანტული ფარი. —  
 ეჭ., რამდენი დაკარგულა ფიქრი.  
 მოლანდებებს დროის ფარდა ფარავს...  
 ჭაბუკი თმებში მომიმრავლდა ფიფქი —  
 ნაძვნარებში მოჩურჩულე ქარი.  
 თავდახრილა იასამნის ტოტი,  
 ჰოდა, საღლაც... ჰოდა, საღლაც იცი?  
 მეორდება მოძახილი ნოტის, —  
 გაზაფხულზე ენძელების ფეთქვა,  
 ღამე — იის სურნელებით მთვრალი,  
 რუისპირას მოშრიალე ძელქვა, —  
 მკრთალი შუქი ციდან მცხრალი მთვარის. —  
 შვიდმაისის მოყუუნე წვიმა... —  
 მოჩხრიალე მლვრიე ჩქერი ტალლის,  
 აკვნის ძირას მითვლემილი დედა  
 და ტირილი ძილგამკრთალი ბალლის.  
 ...ჰოდა ახლა... ჰოდა ახლა, იცი?  
 მე კვლავ მესმის მოძახილი ნოტის, —  
 ჩინარებში დაჭერილმა გოგომ  
 ვაანედლა ჩემი ყრმობის ტოტი.



## აკაზია თეგები

### ჩემი სამშობლო

მამული არის —  
 სიცოცხლეს ჩემსას აზრი რომ მისცა, —  
 მისი მადლია  
 ყაყაჩოთა ცხელი ხანძარიც.  
 მან შემაყვარა  
 ვარსკვლავები,  
 წყალი და მიწა,  
 და ცის სილურჯე ქვეყნად რაც არი...  
 თუ ახლა ჩემი ძარღვები ფეთქვს,  
 თუ ოდნავ მაინც  
 ჯაჭვაწყვეტილ ამირანს ვგავარ, —  
 მისი მადლია,  
 როცა იგი მეგულვის ჩემთან,  
 მწამს ერთი მოსმით  
 ღვართქაფიან მდინარეს გავალ!

\* \* \*

პაწია ფრთების აუშვა აფრა  
 და სულ უბრალოდ,  
 და სულ მარტივად, —  
 ტოროლამ ტატნობს ნისკარტი გაჰქრა  
 და ააფრინა დილა ბარტყივით.

## ქადაგებულებები ვარ

ვარ საოცრება,  
 შემომყურებენ — თეთნულდი, ხვამლი...  
 ჩავითქვი გულში, —  
 სურვილს ვესწრაფვი  
 მიწას ღავულიდი...  
 ლაუვარდებიდან  
 გადავრეკე ღრუბლების კვამლი,  
 ახლა მზადა ვარ  
 დავიჭირო მთვარე ყანწივით...  
 მთების არწივი  
 დამზევებულ თაღებს მოვები  
 ფართოდ გაშლილი,  
 მძლავრი ფრთების იალქანებით,  
 მიუვალი უსაზღვროების  
 მივაპობ ტალღებს,  
 მძაფრი ქარებით  
 მივექანები!!!"



# კარი ტურმანი

არ ეძინება მზიას, — თვალებს რული გაუკრთა...

16 წლისაა მზია, პოდა, განა მარტო ეს არ არის საქმარისი უძილო დამები დაუდგეს?

ყოველთვის მშვიდად ეძინა გოგოს, მხოლოდ სწავლაზე ფიქრობდა.

საშუალო როგორც კი დაამთავრა, ინსტიტუტში მოეწყო. სხვა საფიქრალი არაფერი ჰქონდა თითქოს. ახლა კი? — ერთი კვირაა უძილობა აწაშებს.

მაინც რა ეშმაკური თვალები აქვს იმ ახალ მძღოლს, შეგხედავს და... იმ ეშმაკური თვალებით გულს ისე უჩვეულოდ აგიჩქროლებს, რომ....

ოთარი,

ოთარი...

ფიქრში დაუსრულებლივ მეორდება მისი სახელი და არ ასვენებს მზიას.

\* \* \*

ადრე დილით. ოთარი თავის მანქანას კოლმეურნეობის კანტორასთან აჩერებს. გოგოების გამოჯავრება უყვარს, — თალიყოს ააცეცხლებს, თეოს აწივლებს. სეტყვასავით დაუშენენ წყევლა-კრულვას გოგოები, მერე ჩაის საჭრეფ კალათებს ხმაურით შეყრიან და თვითონაც გაჭირვებით აფოფ-ხდებიან მანქანაზე.

მზია მაშინ ენაჩარდნილია...

\* \* \*

ოთარი ჩამოსვამს თუ არა გოგოებს, მანქანას გიუური სისტრატით გააქროლებს. მზია დილხანს შეჰყურებს გზაზე ავარდნილ მტვერს და მის ბოლქვებში გახვეულ ბიჭს.

მაშინ გოგოები ეშმაკური ღიმილით თვალს აპარებენ მზიასაკენ. და გამომწვევ კისკისს იწყებენ.

მზია გატაცებით გასცერის მტვრიან შარას, — არაფერი ესმის, ვე  
რაფერს ხედავს...

\* \* \*

ერთ დღეს სოფელში ფილარმონიის მსახიობები ჩამოვიდნენ. მათ  
ღლუზიონისტიც ახლდათ.

სოფლის კლუბს ხალხი მიაწყდა.

მზიაც მოვიდა. თვალები ბიჭების ჯგუფისაკენ გაურბის. იქ კი მარტო  
ოთარს ხედავს...

ხალხს მოუთმენლად აინტერესებს გულთმისანის გამოსვლა და აი-  
ისიც... მის მიერ ამოხსნილ საიდუმლოებას ყველა აღფრთოვანებაში მოჰ-  
ყავს. დაუჭერებელი სინაძლვილე გაოცებას იწვევს, — ოთარს, სიგარეტის  
ღერში დამალული ნემსი სკამის ქვეშ აპოვნინა და მთლად გადარია ხალხი.

მალე გულთმისანი კეთილი ღიმილით მზიას სცენაზე იწვევს.

იგი მაჯაში ავლებს ხელს და სთხოვს, იფიქრო.

— რა? — გაოცებით იკითხა გოგომ.

— ის, რომ რამდენი წლისა ხარ?

— თექვსმეტის. — წამოსცდა მზიას.

ილუზიონისტს გაელიმა:

— ნუ მეუბნებით, თქვენთვის იფიქრეთ, რა ჰქვია თქვენს დედას? ამა-  
ზე იფიქრეთ, იფიქრეთ...

და მზია ფიქრობს... რამდენიმე წამის შემდეგ „გულთმისანი“ მზიან  
დედის სახელს აცხადებს. დარბაზი კვლავ აღტაცებულია.

— აბა, ახლა იფიქრეთ, რა ჰქვია თქვენს შეყვარებულს? — გულთმი-  
სანი თვალებში აჩერდება მზიას.

დარბაზი გაინაბა.

ოთარი წითლდება... „რა კარგი ყოფილა მზია“ — ფიქრობს გულში.  
„რა ლამაზი ყოფილა მზია“ — უცინის ბიჭს თვალები.

გულთმისანი კი აჩერდება მზიას თვალებში და უმეორებს: — იფიქ-  
რეთ, იფიქრეთ, იფიქრეთ...

და უცებ გულთმისანი ხმამაღლა აცხადებს:

— ქალიშვილო, თქვენი შეყვარებულის სახელია... — მერე იხრება  
და ჩუმად ყურში უჩურჩულებს.

ლოუებანთებული გოგონა სცენიდან სწრაფად ძირს ხტება და დაბნე-  
ული ჯდება.




## მეძლების, მიხმობს ჩვენი თაობა!

ქარი, მზე, წვიმა, —  
 წვიმა, მზე, ოოვლი...  
 სიტყბო, ნუგეში, —  
 მარად უსაზღვროდ, ჩამდგარა თრთოლვით  
 სულში და გულში,  
 თვალის გუგებში,  
 და სიჭაბუკე ჭიხვინებს სისხლში,  
 მჩეულარ ძარლვებში გააქვს ზანზარი,  
 მეძაბის,  
 მიხმობს  
 და მომიწოდებს,  
 რომ სინამდვილეს დავცე თავზარი!  
 ქუჩს და ხაზს უსვამს ჩემს ვინაობას  
 და გატაცების ფიქრებს მღელვარეს.  
 მომესმის ხმები ჩემი თაობის,  
 რომელიც იპყრობს მაღალ მწვერვალებს.  
 ერთდება მთები და მწვერვალები,  
 მე მათში ვეძებ საკუთარ სახეს,  
 მე ჩემი დროის გმირობით ვტკბები,  
 მაღლდება ჭერი,  
 იზრდება ჩემი ღობე და ყორე,  
 ეზო და კარი,  
 საყანე,  
 ზვარი,  
 კარგია! — ვიღაც მეძახის შორით,  
 როგორც მეგობარს, ძმას და საყვარელს

ამ ცას, ამ მიწას, ბევრი შენატრის,  
ჩემი წინაპრის ხმა რომ ისმოდა.  
და მეც ავცილდი მიწის ზედაპირს  
და შევუერთდი მარადისობას...  
ვიარე, გზები ოცნებად მექცა, —  
ასე ივლიან ჩვენი ბავშვებიც!  
ასე ივლიან, ვიდრე ეს მიწა  
მშვიდად იძრუნებს ღერძის გარშემო!





(მინიატურა)

ტოტებზე სკდებიან კვირტები... ლარნაკში წყნეთის იები განაბულან, — ახალი ვარდფურცლობა! — ჩიტებმა გვახარეს!..

ფანჯრის წინ კოპტია ალუბალზე, სითბოს კვირტთა თვალგახელის უწესრიგო რია-რია უტეხია... .

საამო აპრილს ქუჩაში სიო აბორიალებს, — გიხმობს, გეხახის, შინ არ გაჩერებს... ტოვებ ყოველივეს და კიბეზე ფაცი-ფუცით ჩაძორბიხარ, მერე ქუჩის ურიამულს მიჰყვები — გაზაფხულთან, მზესთან, სიხა-რულთან...

მიდიხარ და გეწიწება შენი წილი სიყვარულის ფარული თრთოლვა.

მერე გოგოებთან უმიზეზო კისკისი. დაუსრულებლივ გიხარია, გიხა-რია, გიხარია, რაღაც...

ნუ მსაყვედურობ, დედა!

თვრამეტი წლისა შენი თამარი და თუ რამე არ მოგწონს მისი, თვრა-მეტი წლის ბრალია, თვრამეტი წლისა!!!

— სად იყავი, გოგო? — მესმის შენი ალელვებული ხმა. გვიანი ღამეა, ლოგინში ხელებს მიფათურებ, ნუ გეშინია, აქა ვარ, ჩემი მოუსვენარი თვრამეტი წლით.

ჩემი წილი ახალგაზრდობა არ მაჩერებს შინ. გარეთ გაზაფხულის შრველი მზე და უხილავი სიხარულია.

ჰო, ვიცი, როგორ არ ვიცი, უკეთესი იყვნენ ისინი — ჩემი ტოლები! ჭაბუბლოს საღარაჯოზე იდგნენ... გატაცებით უყვარდათ ერთი პეშვი მი-

წა თავისი სამშობლოსი და მისი გულისათვის სახრჩობელაზე აღიოდნენ — ზოია კოსმოდემიანსკაიასა და ზოია რუხაძის ლანდები ახლობლებია ჩვენთვის, — ნიავთან ერთად რომ ბორიალებენ ამ გაზაფხულზე.

მეც დავდებ თავს, მეც ავალ სახრჩობელაზე, დედი! თუ გაუჭირდა, — ნარიყალაზე მდგარ ქართლის დედას, შენ, ჩვენს პატარა ზაზასა და ჩემს, საფიცარ მიწაზე ამოსულ იებს...

...მაგრამ ახლა ისეთი უღრუბლო ცაა, ისეთი გაზაფხულია!!!

ჩემი წილი ახალგაზრდობა მეძახის, მაკისკისებს, მახარებს, არ მა-  
ჩერებს შინ!

## Ն Ո Ֆ Ա Ծ Մ Ճ Ե

Դոյջրտա Շահազանքեցս մռևացս առսօ,  
 Հա Սպանալուրագ Ոռպէլքլցեծիան Հուս կամարցի!?  
 Օղեծա պաշտա Վուշրուս կարցի!!!  
 Աხալցա շէրճոծիա մռմոխմոծի նաձոչու,  
 ՍՇորտա հոցեթշո մռմպացի հութմուլագ,  
 Այլզարցեցուլ ծալ՛շո ցագովուրու,  
 Ոյ յիշո պաշուլո ցարոնցուլա...  
 Չ, ոս պաշուլո, —  
 Տուրութլուս պաշտացի ծալ՛շո,  
 Մտարուս նոյանեցիս նահագ հոմ Շոլուցա.  
 Հարցեցնուլագ հանս օցս պարցեծագ,  
 Տշլուտ յո Շոշոտացս,  
 Ըս ոմ Շոշոտցամո օծացեծա Տոփածույզ,  
 Ախալ Երշըսա Ֆաշուս, Տուրութլուս յաշրացուս,  
 Եղեծա Վեռցրցիս ախալ մեծութց —  
 Ժիուս Տեսչու Տիշրացո.

## ՏԵԶԵՑԵՑԵՄՈՒԼՈ

Քեցուս Տեսչունուս յալու հիւնուս,  
 Տշլուս ռյուստոյեր ծալուտ մոմարեցւս  
 Օմ առմուս Մոռտուս ցանահինուս, —  
 Լուլուսոյեր կարտունուս, თաշչու հոմ մաեցցուս...  
 Մուշարկ կարտունուս ուրուսուալունուս,  
 Այլզարցիս մատու գորեսկեցիս.  
 Կանչուս լուլունուս դաշմալունուս,  
 Ըս ցուլուս ցուեսչու ցալամեսկանուս,

თავდავიწყება დამაფრენს ყველგან,  
 უსასრულოა ხილვა გრძნეულის...  
 ამ უცხო ფერმა გულზე დამფინა,  
 საგაზაფხულო მზის განძეული.

## ღრონი მეფობენ

ჩემს ეზოში ქარიშხალი დაძრწის, —  
 გააშიშვლა აწოწილი ხენი,  
 მზის ნაკადი ყვითელ ფოთლებს აწვიმს, —  
 გადამფრენი ფრინველების რხევით...  
 დრო მეფობს და ზამთრის ქარიც მოვა,  
 ჩამოაგდებს უკანასკნელ ფოთოლს.  
 მთის ხევებში უკვე ჩამოთოვა,  
 ჩემს ეზოშიც — მოთოვს, მოთოვს, მოთოვს...  
 ბავშვურ დღეებს, მომაგონებს მერე,  
 იქ, ეზოში დავდგამ თოვლის პაპას.  
 ძველს და ახალს შევუერთებ ფერებს,  
 გავაღვივებ ოცნებების ლამპარს,  
 მერე ისევ, გაზაფხული მოვა,  
 დრო დადგება ნაზ ყვავილთა თრთოლვის,  
 მერე ისევ მოვა  
 ბევრი, ბევრი...  
 თოვლი, თოვლი, თოვლი.




## მომიქალოვდი

მე ამ ქვეყანას სიყვარულის მომღერლად შევტჩი,  
თუ სიყვარულის არ გეშინია, — მომიახლოვდი...  
მე ზღვა ვარ წყნარად განაბული ქარიშხლის ფრთებით.  
თუ ქარიშხლისა არ გეშინია, — მომიახლოვდი...  
მე ცისქარი ვარ ავდრის მერე, — მომიახლოვდი...  
თუ არ გაშინებს მზე ცხოველი სხივების მფრქვევა, —  
მე სიმღერა ვარ უნაზესი — მომიახლოვდი...  
მოვაჯადოვე შენი სული ტრტობის ჰანგებით?!  
მე შენთვის მინდა სიყვარული, — მომიახლოვდი!

\* \* \*

მე წეროების გადაფრენას ვხვდები  
მოწყენით,  
თითქოს ვკარგავდე რაღაც ძვირფასს,  
რაღაც სანუკვარს,  
მძიმე ფიქრები მაღელვებენ მე  
განშორების,  
ალბათ მრავალი ვეღარ ნახავს თავის  
საბუდარს,  
მე წეროების გადაფრენას ვხვდები  
მოწყენით...  
და მეუფლება მოლოდინი  
კვლავდაბრუნების,  
ვლელავ, რად ვლელავ ასე ძლიერ,  
ვერ გამიგია,  
თითქოს მელიან ყრმობის ძველი  
ქუჩის უბნები,  
(ისინი ალბათ სიკვდილამდე ჩემთან ივლიან...)  
და მეუფლება მოლოდინი  
კვლავდაბრუნების.



# უზრუნველყოფა

## საკუთრივი

გოგონაშ ჩითის ლურჯი კაბის გულისპირი გაიხსნა და ციცქნა, მრგვალი სარკე ამოაცოცა. როცა ხელის გულზე დაიდო, სიხარულის ლიმილმა იფეთქა ლოყებზე და გული სიმით აუთრთოლდა...

გოგონა იჯდა და გატაცებით სარკეში იცქირებოდა... მოულოდნელად დედა შემოვიდა, — თითქოს ქურდობაზე მოუსწრესო, სახე აელეწა და სარკე გადამალა.

— პირდაპირ მაკვირვებს შენი საქციელი, ეთერ! — შენიშნა დედამ, — მეცადინეობ თუ სარკეში იყურები?

გოგომ შევბით ამოისუნთქა, როცა დედა გავიდა. მან სარკე ისევ ხელის გულზე დაიდო და სწრაფად გადმოაბრუნა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა შავულვაშამ მხიარულად გაუღიმა, მაშინ, ბიჭის სურათი ტუჩებთან მიიტანა და ჩურჩული დაუწყო.

გოგო უსარკოდ ერთ წუთსაც ვერ ძლებდა. მისი საიდუმლო კი არავინ იცოდა, — სარკის უკან ბიჭის სურათი ჰქონდა დაკრული.

გოგო მესამე კურსის სტუდენტი იყო, ვაჟს — მესამე წელი საბჭოთა ორმიის რიგებში უსრულდებოდა.

ერთ დილით, თუნგით ხელში გოგომ ბილიკი ჩაირბინა, შარაგზა გადაკვეთა და კაკლის ჩრდილში მორაქრაკე წყაროს მიაშურა.

შუა ზაფხული იყო და ღარზე წყალი მოწანწეარებდა.

გოგო წვეთებს დაჰყურებდა და გატაცებით ფიქრობდა.

უცებ შეწყობილი ფეხის ხმა მოესმა.

„ჯარისკაცები უნდა იყვნენ“ — გაიფიქრა და რატომლაც ესიამოვნა. არ შემცდარა, — ჯარისკაცები მწყობრად მიღიოდნენ შარაზე. წყაროს წყალს რომ დაუპირისპირდნენ, ლეიტენანტმა საათზე დაიხედა და ბრძანება გასცა:



— ათი წუთი შეისვენეთ! ზუსტად ოთხ საათზე იყავით მწყობრში! მწყობრი სწრაფად დაიშალა და ხალისიანმა ხმაურმა იქაურობა გა- მოაცოცხლა. ეთერი ჭაბუკებს მაღულად უცერდა და გულში ფარულ თრთოლვას გრძნობდა.

ახალგაზრდა ჭარისკაცები ხორხოცობდნენ და პაპიროსებს აბოლებ- დნენ. ერთი მათგანი წყაროსაკენ გამოემართა, წყაროსთან ქალიშვილის ხილვამ ჯერ დააბნია, ხოლო მერე თავაზიანად მიესალმა და როცა წყლით სავსე თუნგი დაინახა, ცეცხლმოყიდებული პაპიროსი სწრაფად გა- დააგდო.

— იმ სახლში ცხოვრობთ, ხომ? — ჰქითხა დაბნეულ ქალიშვილს და საჩვენებელი თითო გზის ზემოთ, გორგზე მდგომ სახლისაკენ გაიშვირა.

— დიახ. — გაუღიმა გოგომ, — საიდან იცით?

ჭარისკაცმა არაფერი უბასუხა, — დაავლო თუნგს ხელი და წინ წაუ- ძლვა.

— აბა, რად წუხდებით! — ბუტბუტებდა გოგო და ნუქრივით მისდე- ვდა. ჭარისკაცი ჩქარი ნაბიჯით მიღიოდა, გადაპკვეთა შარა, ბილიკი აირ- ბინა და წყლით სავსე თუნგი ეზოში დადო.

ვაუმა მსუბუქად ამოისუნოქა და წუთიც არ გაჩერებულა ისე დაეშვა თავშვე.

აღელვებულმა ქალიშვილმა მადლობის თქმაც ვერ მოასწრო... უცნო- ბი ჭარისკაცი მირბოდა და რატომლაც რაღაც უხაროდა...

ჭარისკაცები მწყობრში ჩადგნენ. გულის სილრმეში ჩაწვდა ეთერს მა- თი სიმღერა.

როცა ისინი დაკლაქნდლ შარას მიეფარნენ, ქალიშვილის ლაშაზ ტუ- ჩებს ხმამალლა დასცდა:

— ოჰ, რა შესანიშნავი ბიჭები იყვნენ!!!

ჭიბილან პაწაწინა სარეკ ისევ ამოილო, იქვე ბალახებში ჩაჯდა და ლი- მილით დააჩერდა.

— ჩემო კარგო, შენაც ასე დადიხარ მწყობრში, როგორც ისინი ხომ?

— თვალებით შეეკითხა.

ფოთლებმა გაიშრიალეს!

ჩეროში დამაღულმა ჩიტებმა უივილ-ხივილს უმატეს!

ეთერს ჯემალის ბარათი მოაგონდა, — „იცი როგორი ბიჭებია ჩემი მეგობრები? უკეთესს ვერც ინატრებს კაცი!!!“ .



## ღია სტრამელი

ღამე.

სარკმელზე წყარუნი წვიმის...  
 კარებთან სველი იანვრის ქარი.  
 ოთახში ფრთხილად შემოდის ძილი.  
 და უფრო ძლიერ იგრძნობა ქილი...  
 როცა სიჩუმე გეხება მხარზე,  
 როცა ტუჩებზე გვკვრება მინა,  
 როცა ქუჩაა ჩრდილებით საგსე,  
 როცა კედლებზე სურათებს სძინავთ. —  
 და შენ იხსენებ  
 იხსენებ მხოლოდ,  
 მხოლოდ იხსენებ,  
 სხვა, არაფერი...  
 და როგორც ხეებს პირველი თოვლი —  
 შეეფინება ბაგეს სახელი.  
 ვიგონებ, რასაც ხუმრობად ვთვლილი, —  
 ივლისის სიცხეს და მატარებელს.  
 დრო ასე მიდის...  
 დრო ასე მიდის...  
 დღეები ჩემგან მიგაქანებენ  
 და მზის კალთაში ატეხილი ტყე  
 მომჩერებია მწვანე თვალებით.  
 შენი სიშორე არის უსიტყვო,  
 როგორც ლოდინით საგსეა ველი  
 და მეყინება ხსოვნის ფესვები,  
 ბაქანზე ვდგავარ ცივი და სველი.  
 და სავსე არის განშორებებით,  
 შესვედრებისთვის გაწვდილი ხელი.

## ბიბი და ქორი

გათენებისას აფრინდა ქორი,  
 ჰაუ, ჰაუო, — შესძახა ბიჭმა;  
 მანძილი იყო საოცრად შორი  
 და ქარის ფრთებზე  
 აპრილი იწვა.  
 ყოჩივარდები მოპქონდა მორევს,  
 ცხელი მზისგული ესვენა ცაზე.  
 ჰაუ, ჰაუო, ეძახდა ქორებს —  
 გზა-გზა ჩამომსხდარ  
 დაპენტილ ცაცხვებს.  
 გამოენისას ფრთას შლიდა ქორი,  
 მინდვრის ყვავილებს სტაცებდა სიცილს  
 განთიადსა და გაზაფხულს შორის  
 ფეხისწვერებზე შემღერი ბიჭი.



## ამ მიწის, ამ მზის...

შე ყოველ დილით მუხლმოდრექილი,  
ვიხუტებ ბალახს ნამით მობანილს,  
და განთიაღზე ვგრძნობ ფუტკარივით,  
საამო ნექტარს სხივით მოტანილს.  
ძალონე მომცა ამ მიწამ, ამ მზემ,  
მუდამ მწყურია მათი დალოცვა,  
როგორც საყვარელ მშობელის თებზე,  
ისე მინდება ბალახის კოცნა.

\* \* \*

არ მავიწყდება,  
ჩუხჩუხა წყარო,  
სოფლის ტყის ბოლოს  
ვერცხლის წვეთებად  
ქვიდან რომ ცვივა.  
წყურვილის ძალაშ  
ხან ამაცეცხლა,  
ხან შემაცივა...  
რა დამავიწყებს  
პატარა გოგოს  
წყაროსთან ჰეშვით,  
რომ ისველებდა:  
ატმისფერ ლოყებს,  
შინდისფერ ტუჩებს,  
გულის ძარღვებში ნატვრამ  
იფეთქა,  
რა გამიყუჩებს?!





ბაქანი მღელვარებდა... ყრუდ ისმოდა ჩახშული გუგუნი... მატარებელს ზღვისპირელი ბიჭები ფრონტზე მიჰყავდა.

ელმასმა და მუსამ მშოოთვარე ბოლო ღამე საუბარში თეთრად გათენეს... ახლა ბაქანზე ერთმანეთს უაზროდ აჩერდებიან, სველ თვალებს ერთმანეთს უმალავენ...

მატარებლის გასვლას რამდგნიმე წუთი აქლია.

ელმასმა ბავშვი უბეში ჩაუკრავს, საკინებ ჩახსნია, თმები ჩამოშლია და თავშალი დაპყარევია. ქმრის გვერდით გაფითრებული დგას.

მუსას საფრონტო აბგა ფეხებთან დაუგდია და წიმდაუწუმ კარებისაკენ იცეირება, — ეტყობა ვიღაცას მოუთმენლად ელის.. ხშირად ცოლი-საკენ მოპარულ მზერას გააპარებს, — ეშინია თვალი არ ეგმლვრას ვაუკაცს.

ელმასი სიყვარულით გაჟყვა მას. იგი სხივის დანიშნული იყო. — ეს რა ჩაიდინაო, სირცევილი გვაჭამაო — ამბობდნენ მშობლები და ემდუროდნენ. მხოლოდ უმცროსი ბიძა ქალისა მოყვრობდა და მათი ხშირი სტუმარი იყო. მუსა ახლა სწორედ მემედს ელოდა, რათა წასვლის წინ ოჯახი მისთვის ჩაეგარებინა.

უცებ ელმასმა ბავშვი შეაჩენა და კარებისაკენ ვაიქცა. მუსა დაიბრა... მემედს მომდურავი სიმამრიც მოჰყვებოდა. ელმასი მამას მიეგება და ტირილი დაიწყო.

ბერიკაცმა თავზე აკოცა და სიძისაკენ წამოვიდა. მუსამ სიხარულის მოზღვავება იგრძნო, — აღარაფერს დაეძებდა, აწი იმედიანად დატოვებდა ცოლ-შვილს.

მოხუცი სათქმელს დაეძებდა, გამშრალ ტუჩებს ენით ისველებდა და თეთრი ბაშლულის კალთას თითებით სრესდა.

— იცოდე შვილო, მე ცოდვა-მაღლის კაცი ვარ, ნამუსისა და სიტყვის. ახლა შენ გახდი ჩემი სიძე, რა ვქნათ ძიავ, ჩვენ შორის მტყუანი აღარ მო-

იქითხება... შენ დუშმანს გულმკლავდი და რომ ჩამოხვალ, ღმერთის წყალობით, თქვენი წილი ქორწილი და დავლი-ზურნა შენახული მაჯენ; ყო-ჩალად იყავი, ოჯახი შე მებარებოდეს!..

ბერიქაცის სიტყვები ორთქლმავლის კივილმა დაპფარა.

მატარებელი შავად გაზინთულ ლიანდაგს ზანტად გაჰყვა...

მუსა მატარებლის სარკმლიდან ნისლში გახვეულ ადამიანთა ხელების ტყეს ხედავდა... ტყე ირხეოდა, ისე ბარბაცებდა, თითქოს საშინელი ქარი აწყდებოდა...

ბაქანზე გახევებული ადამიანები იდგნენ...

ელმასი ტირილით მისდევდა მატარებელს...

ამ სურათს მუსა ყოველთვის ხედავდა... თუმცა მერე სამშობლოს გან-საცდელმა სასუ არ ამყოფა, რა ცეცხლში, რა ყინვაში... ახლა კი მძიმედ დაჭრილი შორს უცნობი სოფლის ხევის კიდეში, გაღამწვარ ბალახებსა და სისხლიან მიწის გოროხებში ნახევრად ჩაფლული, ტკივილებისაგან იკრუნჩხებოდა და თვალთაგან ვერ იცილებდა ელმასის ატირებულ სახეს.

მუსა გრძნობას კარგავდა და როცა იგი უბრუნდებოდა, ესმოდა, — როვორ სტვენდა ქარი და ხედავდა როვორ ირხეოდნენ არყის ხის კენწეროები... სადღაც ნაკადულიც ჩხრიალებდა, ირგვლივ სიცოცხლე იყო...

დასძლევ, ახალგაზრდა ხარ! — უხილავი ძალა ამხნევებდა.

მუსამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და გამობობლდა... მწვანე ბალანებს წითელი ფერი დარჩათ...

მეობრი ისევ მიხოხავდა და ტოვებდა ერთად შექუჩულ სიკვდილს!.. არყის ფოთლებში სტვენდა ქარი!

სიცოცხლე გრძელდებოდა!...

რატომლაც უცებ ზურნის ხმა მოესმა, თითქოს სიმამრის ეზოში დაპირებულ ქორწილს უხდიდნენ.

მარილიანი ცრემლი დაეცა მეომარს ტუჩებზე...

ნუ გეშინია! — ამხნევებდა სიჭაბუქის უხილავი ძალა:

უცებ ნაზი ხელის შეხება იგრძნო.

თეთრხალათიანი ქალიშვილი დალანდა...

პატარა ჩექმებიანი გოგო, დიდი სიცოცხლისაკენ ეწეოდა მეომარს!

## ემ გეზაფხულზე

სკდება და სკდება,  
ხეზე კვირტები...  
განა ამაოდ დავუკვირდები?  
იქნებ გამიყოს  
სიცოცხლის ეშნი,  
იქნებ მაჩუქოს  
კვირტის სიმწვანე, —  
სიცოცხლის სუნთქვის  
ნარაღისობა,  
მისით ვიწამო.

\* \* \*

ქრის,  
ქრის,  
ქრის, —  
რა საოცრად ქრის!  
შეაწყვიტა ხეს,  
მიაქანებს ძირს, —  
ფოთოლს,  
ფოთოლს,  
ფოთოლს,  
ყრის!  
ყრის!  
ყრის!

\* \* \*

ვიცი შორსა ხარ, წინანდებურად,  
ფუჭი ლოდინი, მირაზავს კარებს...  
მაინც თვალები გამირბის  
გზისკენ, —  
რა ვუყო თვალებს?!

ბილიკები,  
ბილიკები,  
ბილიკები გრძელი.  
ცისარტყელამ გადაფინა  
სილამაზე მწველი.  
წავეტანე შვიდფერ-ფერას  
ერთს მაჩუქებს-მეთქი,  
წამოკრიბა ბილიკიდან,  
არ მაჩუქა ერთიც...  
გაიპარა მშვენიერი, —  
კორდის დამამშვენი!  
მომაძახა — გეყოფაო,  
ს ლამაზე შენი!

\* \* \*

ირმები, ირმები, ირმები,  
ირმები მოცვივდა გუნდად  
იმდენი, იმდენი, იმდენი  
იმდენი, რამდენიც მსურდა!  
ყვავილი, ყვავილი, ყვავილი,  
ყვავილი დავკრიფე სულ და...  
ანთებულ ალიონს მოვყევი, —  
ირმებიც, ყვავილიც მსურდა.



ჯამალ ხოზარია

# „შევი ლოკო“

## ტერატონი

რვა წლისა ვიყავი, როცა მამა ომში გაიწვიეს. დავრჩით სამნი — მე, დედა და ჩემი პატარა ძმა, რომელიც აკვანში იწვა. ჩეენ, როგორც მიღიონბით სხვას, ბრინჯით გაგვერდა თავი. შიმშილით რომ არ დავხოცილიყავით, დედა მეზობელ უბანში მცხოვრებ ვაჭრის ოჯახს ემსახურებოდა და გასამრჯელოდ სამი პეშვი ბრინჯი მოჰქმნდა.

მახსოვეს, როგორი სასოებით შესცემოდა დედა ბრინჯის თეთრ, ქათქათა მარცვლებს. ეს გასაკვირიც არ იყო. ბრინჯის მარცვლები იყო ჰური ჩვენი არსებობისა.

იმ დღესაც მე და ჩემი მეზობლის გოგონა კორწე ჩამომჯდარი დაბლა ქალაქს დავყურებდით, რომ უცირად ზუზუნი გაისმა... მე და ტაიკომ ერთდროულად შევხედეთ ცას და დავინახეთ თვითმფრინავი, რომელიც ქალაქისაკენ მიჰქროდა, მიუახლოვდა თუ არა, რაღაც მოწყდა და ქოლგასავით გაიშალა ჰაერში. რამდენიმე წამის შემდეგ საშინელმა თვალისმომკრელმა აღმა გაიყლვა და ჰაერი გრევინვებ შეაზანზარა... მისმა ტალღამ ბურთივით შევევისროლა მაღლა, გონს რომ მოვედი, დავინახე ქალაქში სახლები იწვოდნენ. უზარმაზარი ცადატყორცნილი კოცონები ლოკავლენ შენობებს...

— შეხე, რამოდენა სოკო! — ჭამიძახა ტაიკომ და ხელი ქალაქისაკენ გაიშვირა. ქალაქიდან ამდგარი უზარმაზარი კვამლი მართლაც შავ სოკოს ჩამოგავდა... იმ ადგილას, სადაც კვამლი ვერ აღწევდა, ცა კრიალი იყო და ლურჯ ცაზე ანათებდა მეორე მზე, — არაჩვეულებრივად ელვარე მზე...

შეშინებული ტაიკო ტირილით გაიქცა სახლისაკენ, მე ვედევნე, ჩვენს ეზოს რომ მივუახლოვდი, დავინახე დედა, რომელიც კივილით ქუჩაში მორბოდა, მას თმა ასწერდა, კაბის კალთაზე ცეცხლი ეკიდა. ხელში ცეც-

სლმოკიდებული აკვანი ეჭირა, დედა გარბოდა და ეძახდა მშველებს, მდგრადად ხარებდე ვეღარ მიაღწია, შუაგზაზე დაეცა და მოკვდა... ჩოცა შემთხვემაშე დამწვარ აკვანში დანახშირებული ძვლები დავინახე... გონი დავკარგე... მეტი არაფერი მახსოვს... თვალი რომ გავახილე ბნელოდა... წვიმდა...

წვიმის წვეთები შავი იყო... ოამის ბინდ-ბუნდში თვალი მოვკარი ადამიანებს, რომლებიც მდინარისაკენ მილასლასებდნენ და მეც იქეთვენ წავედი... ხიდის ჭვეშ შევაფარე თავი... დამწვარი ხორცის სუნი და ადამიანთა გოდება ძილშიაც ჩამყვა... ის იყო ირიყრაჟა კიდეც. განთიადის ციაგ შუქზე დახოცილ ადამიანთა გვამები გამოჩნდნენ... ისინი ეყარნენ ჭუჩის დასაწყისში, მდინარის ჭვიან ნაპირას, ხიდქვეშ, ყველგან კვნესოდნენ და სიკვდილს ნატრობდნენ... ვისაც ჯერ კიდევ ჰქონდა განძრევის თავი, მდინარისაკენ მიხინავდა. ზოგი ეცემოდა და იქვე კვდებოდა, ზოგიც აუტანელი წყურებილის მოკვლისას კვდებოდა და მერე მდინარის ტალღები ზანტაღ, მდორედ მიაქანებდნენ მათ გვამებს ზღვისაკენ.

ჭუჩის გასაყართან თეორხალათიასმა კაცებმა შემაჩერეს, ხელი ჩამჭიდეს და სადღაც წამიყვანეს. ისევ იწვოდნენ სახლები და ისევ ეყარა ნანგრევებში მკვდრები და ძვლები. მუზარადიანი მეხანძრები ცეცხლს აქრობლენ, — ნანგრევებიდან გვამები გამოჰქონდათ და ფუთებივით აწყობდნენ საბარევ მანქანაზე...

სახლი, სადაც მომიუგანეს, სავსე იყო ბაგშვებით; ისინი შეძრწუნებული იღვნენ შესასვლელში, დერეფნებში, ოთახებში... თითოეულ მათგანს სახეზე შიში და გაოგნება იღბეჭდოდა. თეორხალათიანებმა დერეფნაში დამტოვეს და წვევიდნენ.

ღამისარასთან ავიტუზე და ბაგშვებს შევტევ. ისინი ჩემი ტოლეპი იყვნენ — ჩემს ბეღში მყოფნი, — ვერასოდეს ვერ ისილავდნენ ვერც დედას. ვერც მამას, ვერც მშობლიურ სახლ-კარს და არასოდეს გაიცინებდნენ ლაღად, ბაგშვურად... ქალაქს გავხედე, ცა შავ საავდრო ღრუბლებს დაფიქრა... შემზარავად ჩხაოლნენ ყორნები... ეშვებოლნენ დაბლა და ნანგრევებში ჩაჩრილ გვამებს ეძებდნენ... თვალი მოვკარი ფანჯარასთან ჩასაფრებულ ყორანს, რომელსაც ყვითელი ნისკარტით ძვალი მიჰქონდა. იქნებ იგი ჩემი პატარა ძმის ძვალი იყო, რომელიც აკვანში ჩაიწვა.

თვალებზე ხელს ვითარებ და ვტირი... ცრემლები მისველებენ ხელის-შულებს და თითებს შორის მოყონავენ...

ჩემს ირგვლივ გმეფებულ მყუდროებას დერეფნის ბოლოდან მოვარდნილი ხარხარი არღვევს. ამ სამიოდე დღის წინათ ის ბიჭი ჭკვიანი, მხიარული და სიცოცხლით სავსე იყო, ახლა კი... ატუზულა კედელთან. შესაქერის ჭერს და ხარხარებს. მას ახლა უკვე აღარაფერი ახსოვს... მე კი — გონება შემრჩა და ტირილი მყლავს

გადიან წლები...

სამუდამოდ გავიხურე ბაგშვთა სახლის კარები...

დაკეტილობ დანგრეულ ქალაქში და სახლის ნანგრევებში ვათევ ღამეს. ხმას არ ვიღებ და ბევრს მუნჯი ვგონივარ, რა იციან, რომ ჩემი შძმუნჯე ღიდი სათქმელის უთქმელობითა გამოწვეული. მე უკვე აღარაუერი მაინტერესებს, ჩემს ირგვლივ წყვდიადია და მე მირაჟით ვცხოვრობ... მხოლოდ ერთილა მიკვირს: — რომ ცოცხალი ვარ!

ქალაქში ტურისტები მომრავლდნენ... მათ აქ ყველაფერი იტაცებთ. წაშდასწუმ ფოტოაპარატებს აჩხაუნებენ და სურათებს იღებენ, მაგრამ ყველაზე მეტი მნახველი მუზეუმსა ჰყავს. ამ მუზეუმშია დაღუპული ხიროსიმა... აქ არის ექსპონატები, რომლებიც ჩუმად ღაღადებენ ყველაფერზე: გვერდებშეჭყლეტილი ჩაიდანი, რადიომილები, კედლის სათი.

შენ ვერასოდეს იგრძნობ შენი პატრონის ხელს, ჩაიდან! შენ ვერასოდეს ამოილებ ხმას რადიომილებო! შენც სდუმხარ, კედლის სათო! შენი ისრები ზუსტად იმ დროს შეკყინვია, როცა შეწყდა შენი სუნთქვა, ხიროსიმა და ორასი ათასი კაცის მაჯისცემა. რვა საათსა და თხუთმეტ წუთს აღნიშნავენ შენი ისრები. — ესაა ტრაგედიის დასაწყისი.

ქალაქის განაპირას ვისვენებ, უკვე რი ახალია .. უწინ აქ სახლები იდგნენ და ცხოვრობდნენ აღამიანები...

მაღალი, ოდნავ წელში მოხრალი კაცი მომიახლოვდა და გვერდით ჩამოჭდა. შევხედე, საოცრად საზარელი სახე ჰქონდა. ჩაცვენილ ლოყებს სიღამწვრის კვალი აჩნდა, კარგიხანს იჯდა მღუმარედ, მერე ხალათის ჯიბიდან სიგარეტი „ხომარე“ ამოილო, და მკითხა:

— ეწევით?

შევხედე და შევძრწუნდი, — არცერთი კბილი არ ჰქონდა! უარის ნიშნად თავი გავაქნიე... ეწეოდა და ბოლში გახვეული ჩუმად ფიქრობდა.

ასე გავიცანი ხასიმოტო.... მერე ყოველდღე ვეცდებოდით ერთმანეთს, როცა გაიგო, რომ არ ვმუშაობდი, მასთან სტამბაში გამომიძებნა ადგილი. გულჩათხრობილი და უკარება დავრჩი, გაეურბოდი მხიარულებას.

ხასიმიტოს ერთხელ ვკითხე თუ რატომ არ ჰქონდა კბილები.

— რადიაციის ბრალია, ჩემი ღრძილები ვერ იმაგრებენ კბილებს, — განმიმარტა და მერე მომიყვა თავისი უბედური სიყვარულის ტრაგედია.

იგი თითქმის ბავშვი იყო. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა და დღენიადაგ ერთად ვიყავით, არაფერს არ ვუმალავდით ერთმანეთს, ფიქრი საერთო გვქონდა და ოცნებაც... როცა ბომბი აფეთქდა, მე მის საშველად გავიქეცი, რომ მივუახლოვდი ტანსაცმელზე ცეცხლი ეკიდა. გაოგნებული აწყდებოდა ყველაფერს, როცა დამინახა ჩემსკენ გამოიქცა და თვალწინ მოკვდა საშინელი სიკვდილით... ო, რომ იცოდე, როგორ განვიცდი ღლესაც... მე ყოველთვის მახსოვს იგი და მისი მოგონებებით ვცოცხლობ. მე ყოველთვის ვხედავ მას და ყოველ წუთში მასთან ვარ ფიქრითა და ოცნებით...

ხასიმოტოს სუსტი, გალეული მხრები უცახცებებს და ცრემლი უსვე-

ლებს დამწვარ სახეს... მე თვალს ვარიდებ, მაგრამ ვხედავ ჩემს სოდენი რომელიც აკნით ხელში გარბის...

თვალებზე ხელს ვიფარებ, არ მინდა დავინახო ეს საშინელი მირაჟი. მაინც ვხედავ — ჩემი ხელები თითქოს გამჭვირვალეა, ხილის ქვეშ მკვდრები ყრია, რომელთაც სისხლი სდით, ვხედავ ძვლებს... მესმის აფეთქების ხმა... ვხედავ ბავშვთა სახლს „ატომური ბავშვები“ და გარკვევით მესმის გაგიუბული ბავშვის ხარხარი... თვალებს ვახელ, ხასიმოტო ისევ ტირის, ვტირივარ მეც. მე ყველას მაგიერ ვტირი, დედის, ძმის, ტაიკის, იმ ორასი ათასი კაცის მაგიერ, რომელთა საფლავები არ შემორჩა ხიროსიმას, ვტირი იმათ, რომლებიც ახლა კვდებიან ატომურ ჰოსპიტლებში, ვტირი იმათ, რომელთაც სხეულში რაღიაცია გასჯდომიათ და სიკვდილს ელიან..

\* \* \*

ვაზაფხულდა — ბაღში ყვავილები გაიშალა, აყვავდა საკურა, ფოთლებით შეიმოსა ნეკერჩხალი და კონსაი. ქალაქის ნაკრძალში მხიარულად ყივიან ხოხები; ხოხობი დედას მაგონებს ყოველთვის, მაბსენდება ლეგენდა ხოხობზე: ცეცხლი შემოგზნებია ტრამალს, იგი თანდათანობით უახლოვდება ხოხის ღლაპების ბუდეს, ბარტყებმა ფრენა არ იციან და დედას ეკვრიან. ხოხობი ცდილობს ზურგზე შეისვას ისინი და ცეცხლს განარიდოს, მაგრამ ვერ ახერხებს და შვილებთან ერთად იწვება.

აი რატომ მაგონებს ხოხობი დედას!

გრამფირტიტების მაღაზიაში ერთი გოგონა გავიცანი... დავუახლოვდი და ერთმანეთი შეგვიყვარდა... სალამობით ჩევნ ერთად ვატარებდით დროს. ჩემს ცხოვრებას აზრი მიეცა, მაშ ყველაფერი არ დალუპულა! ყველას უკვირს ჩემი ასეთი შეცვლა, ხასიმოტოს ყველაფერს ვუხსნი... იგი შეცბუნებული მიცექის და კბილებში ცრის.

— შენ არ უნდა ითიქრო ოჯახზე!

— რატომ მე არა მაქვს ამის უფლება? — ბოლმა ყელში მაწვება. — როგორ არ ვიფიქრო? მე ხომ მიყვარს, ნუთუ სიყვარული არ შეიძლება?

შკრთალი საწყალობელი ლიმილი ეპარება სახეზე ხასიმოტოს.

— აბა ერთი ამათ შეხედე! — ამბობს და მოშორებით მოთამაშე ბავშვებზე მიმითითებს, რომლებსაც წვრილი კისრები, უზარმაზარი თავები და მიწევებული ყურები აქვთ.

როცა სანადა ჩემთანაა, ბედნიერი ვარ, ვადავწყვიტეთ ვიქორწინოთ მაშინ, როცა საკურები აყვავლებიან.

მაგრამ თურმე ჩემს ოცნებას დასცინოდა ბედი!..

ერთხელ, ხასიმოტოსთან ვიჭექი სკვერში და სანადას ველოდი.. უეროვ თვალთ დამიბნელდა, ხასიმოტომ ძლივს მიმიყვანა სახლში..

დღეს საშინლად მტკიოდა ლვიძლი, ტკრვილი აუტანელია და სიმწრისაგან  
ომებს ვიგლეჭდი, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიკვდალი მიახლოვდება...  
ეს საშინელებაა, სასიმოტოს ატომურ პოსპიტალში მივყავარ... ეს ჩემი  
უკანასკნელი გზაა...

\* \* \*

ლოგინში რადიაციული გამოსხივებით მოწამლული სხეული დევს —  
ეს მე ვა! ჩემი საწოლის წინ ტყვიის ამაღლებული დამცველი კადელია  
აღმართული. საწოლის თავზე გვიგერის მრიცხველი ზუზუნებს. იკვლევს  
თუ რამდენი ატომური ნაწილაკია ჩემს სხეულში.

...სანაღამ მაინც მიპოვნა, იგი ჩემს საწოლთან მუხლებზე ეცემა და  
ტირის... მისი ცრემლები მისველებენ გაშავებულ სახეს. არ შემიძლია  
ტირიღი, არც მისი დამშვიდება შემიძლია. მედდები ძლივს ამშვიდებენ  
მას და პალატიდან გაპყავთ.

ამის შემდეგ იგი ყოველდღე მნახულობს. როცა მას ვხედავ, უფრო ვი-  
ტანჯები... მისხამენ სისხლს, მაძლევენ ამერიკულ აბებს — არაფერი მშვე-  
ლის. თავიც მუწუკებითა მაქეს დაფარული, ქავილი მტანჯავს, მთელი მარ-  
ცხენა მხარე ელექტრონით დამუხტულივით მაქეს. მარცხენა თვალი გამუ-  
ლმებით მეცრემლება... ფეხები შავი ლაქებით იფარება, — აითოეული ლა-  
ქა საშინლად მტანჯავს...

ოთახში შემოდიან ადამიანები. ისინი ჩემშე ლაპარაკობენ, მეკითხე-  
ბიან, მესმის მათი, — პასუხის გაცემა არ შემიძლია...

„ამ ქვეყნად ყველაფერი კანონზომიერია, წინასწარ დასახული გზით  
მიდის. ცხოვრებაში შემთხვევითობა გამორჩიცულია. ღმერთმა ყველაფერი  
წინასწარ, ბრძნულად განსაზღვრა“, — სად გამიგონია ეს? გამასხენდა, —  
ამას ჰოსპიტლის მღვდელი მეუბნება, ეტყობა ზეპირად იცის „ლოტოსის  
სახარება“.

განა კანონზომიერია, რომ ვკვდები?

— მარადიული მხოლოდ ომერთია! ხოლო იდამიანი მოკვდავი, ამი-  
ტომაც მან თავის არსებობას არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს,  
იგი მანამდე, დაბადებამდე ხომ არ არსებობდა?

შეიძლება მღვდელი მართალი იყოს, შეიძლება არ მივანიჭო, მაგრამ  
რისთვის უნდა მოვკვდე? თუ კი დავიბადე, ხომ უნდა ვიარსებო? მისი სი-  
ტყვები ტყვიასავით მხვდება გულზე. ვგრძნობ თუ როგორ მოყონავს  
სისხლი ღრძილებიდან.

თვალები მეწვის. მინდა დავხუჭო, მაგრამ არ შემიძლია — ქუთუთოე-  
ბზე ტყავი მაქეს ამძვრალი.. მღვდელი დასახიჩრებულ ხელებს მეერდზე  
შიწყობს და ხმამაღლა ლოცულობს...

\* \* \*

სანადამ უკანასკნელი ამოსუნთქვისას მოუსწრო მას. მყერდზე დაემ-  
ხო და აქვითინდა. უკვე აღარ ზუზუნებდა გეიგერის მრიცხველი საწოლის  
თავზე. პალატაში გამეფებულ მყუდროებას მისი ქვითინი არღვევდა...

ვარეთ კი გაზაფხული იდგა, ჰოსპიტლის ბალში საკურები ყვავოდნენ,  
ზუზუნებონენ ფუტკრები... დიდხანს ქვითინებდა ქალი. პალატიდან რომ  
გაჰყავდათ, ექთანდა სქელტანიანი რვეული გაღასცა. სანადამ ოსიროს ხელი  
იცნო. რვეული გულში ჩაიკრა.

\* \* \*

ქალი კითხულობდა და ტიროდა... როცა დაასრულა, დიდხანს ფიქ-  
რობდა პირმოკულული, — ჩვენ მაშინ უნდა გვექორწინა, როცა საკურები  
აყვავდებოდნენ, ახლა გაზაფხულია და საკურები ამაოდ ყვავიან. ადგა, მი-  
სი რვეულის ყდაზე ფანჯრით დაწერა,

„ჩემო ძვირფასებო! უმორჩილესად გთხოვთ დამასაფლაოთ ოსი-  
რო საკარასთან ერთად“.

უკანასკნელად ნერვიულად მოათვალიერა ოთახი, სამზარეულოში გა-  
ვიდა. კარი მიიხურა და გაზის საკეტი გააღო...



### ნ პ ტ ვ რ ქ

ცქერას — დედის თვალებით,  
სწრაფვას — რომ არ დაცხრება,  
სურნელს — მწვანე ჭალების,  
ლტოლვას — ჩუმ გატაცებას,  
ლექსებს — ხალხთან მისულებს,  
სულში — მზეს და სინათლეს,  
მეტს არაფერს ვისურვებ,  
მეტს არაფერს ვინატრებ!

\* \* \*

მზის დისკო ზღვის გულზე ღაფლაჟებს;  
ტალღებში სხივების ბროლია,  
ქათქათა, ლივლივა ტალღაზე,  
წივის და ფარფატებს თოლია.  
მზის დისკომ ზღვის გულში ჩაყვინთა  
და სადღაც ოვზივით გაცურა,  
არავინ არა ჩანს ნაპირთან,  
წასულან...

\* \* \*

ცას ეუფლება განგება ფერთა,—  
შემკრთალ ტატნობზე ცისკარი ღვივის  
და სარკმელიდან ფიქრებთან ერთად,  
ლალი ციმციმით შემორბის სხივი.  
მაღლა ცახცახებს მოხრილი ჩრდილი  
მთვარის და... მთები ვარდისწყალს სვამენ.  
და ციაგს დილის,  
და ლტოლვას დილის,  
დამურასავით გაურბის ლამე.



## ამირან გერვაშვილი

### ბარათაშვილის პოეზია — ღიაღი მეგობრობის წინამოღვვები

ნიკოლოზ ბარათაშვილი — საქართველოს ეროვნული გენია . მისი „მერანი“ — დიდი პოეტის პოეზიის გვირგვინს წარმოადგენს.

ეს საკვირველი ლექსი განკურძოებით დგას არა მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილის, არამედ მთელი ქართული მრავალსაუკუნოვანი პოეზიის საგანძურში და იგი განსაკუთრებული ელვარებით ამშვენებს მსოფლიო პოეზიის შედევრებს.

„მერანი“ ნიკოლოზ ბარათაშვილის მცირერიცხოვან, მაგრამ პოეტურ ქმნილებათა სინთეზია. სხვა რომ არ დაეწერა, მარტო „მერანით“ დაიმკვიდრებდა ნიკოლოზ ბარათაშვილი საპატიო ადგილს მსოფლიო პოეზიის პარნასზე.

„მერანი“ საოცარი და შეუდარებელი ჰიმნია ადამიანის ტიტანური ბრძოლისა ბედისწერის წინააღმდეგ. იგი დიდებული, წარმტაცი და ვაჟა-ცური ჰიმნია პიროვნებისა და ბედისწერის ორთაბრძოლისა. იგი ადამიანის დაუმორჩილებელი სულისკვეთებისა და მოუღრეკელი ნებისყაფის მაღალპოტური სიმბოლოა.

დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ ფლოქვთა ოქარუნი დედამიწის ყველა კონტინენტზე გაისმის და მან მთელ მსოფლიოს ამცნო დიდებული ქართველი პოეტის უჭინობი გენიისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი.

თუ „მერანი“ ბარათაშვილის პოეზიის სინთეზს წარმოადგენს, მაშინ მისი შესანიშნავი პოემა „ბედი ქართლისა“ პოეტის მთელი შემოქმედების გასაღებია.

როგორც ცნობილია, პოემა უმთავრესად ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს. როცა მეფე ერეკლე ღალატით დამარცხდა სპარსელებთან ბრძოლაში, იძულებული გახდა თავისი სამშობლო გადაეცა რუსეთის მფარველობაში, რათა ქვეყანა გადაერჩინა მრავალრიცხოვა-

ნი მტრების თავდასხმებისაგან. მისი მრჩეველი სოლომონი საწინააღმდევული გო აზრისა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილის სიმპათიები კი კულტურულმონის მხარეზეა, იგი მანიც ამართლებს ერეკლეს გადაწყვეტილებას. ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი დროის იმ პირველ მოღვაწეთა-განია, რომლებიც საღად და რეალისტურად აფასებდნენ საქართველოს ბედის ამგვარად გადაწყვეტას.

რუსეთ-საქართველოს დაახლოებას ხანგრძლივი და დიდი ისტორია აქვს. მე-17-18 საუკუნეებში სულ უფრო მტკიცდებოდა და ვითარდებო-და ჯერ კიდევ დიდი წნიათ წამოწყებული რუსეთ-საქართველოს ურ-თიერთობა. ამ დროის მანძილზე რუსეთში იყვნენ თეიმურაზ პირველი, არჩილი, ირაკლი I, ბაქარი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II და სხვ.

მოსკოვის ახლოს, გვესვიატსკოვში შეიქმნა ქართული ემიგრაციის დიდი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, რომელიც დიდად უწყობდა ხელს რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას. ამ წრიდან გამოვიდნენ თვალსაჩინო პოეტები, მე-ცნიერები და მხედართმთავრები, რომლებიც აგებდნენ რუსეთ საქართველოს მეგობრობის მტკიცე ხიდს. საქართველოს დაახლოებამ რუსეთთან უზრუნველყო პროგრესული იდეების გავრცელება ქართველ ხალხში.

არჩილ მეფის თხოვნით პეტრე პირველმა განკარგულება გასცა გაე-ცათ სახსრები მოსკოვში პირველი ქართული სტამბის მოსაწყობად; ქარ-თული სტამბა მოსკოვში 1705 წელს დაარსდა. აქვე დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნები.

პეტრე პირველი დიდად აფასებდა ქართველ უფლისწულს ალექსანდ-რე ბაგრატიონს, რომელიც თან ახლდა მას ევროპაში მოგზაურობის დროს. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ პეტრე I-მა ალექსანდრეს მიაწ-იო რუსეთის არტილერიის რეორგანიზაცია და დანიშნა რუსეთის მთე-ლი სამხედრო მრეწველობისა და არტილერიის ხელმძღვანელად. ამასთან მას პირველს მიენიჭა რუსეთის გენერალ-ფელდცეხმაისტერის მაღალი სამხედრო წოდება; მოსკოვში დაწერა და იქვე გამოსცა სარატოვის ყო-ფილმა გენერალ-გუბერნატორმა ნ. ფანჩულიძემ თავისი შესანიშნავი ნა-შრომი „რუსეთის კავალერგარდის ისტორია“ ოთხ ტომად. აქ, მოსკოვსა და პეტერბურგში მოღვაწეობდა მხედართმთავარ პეტრე ბაგრატიონის ძმისწული პეტრე რომანის-ძე ბაგრატიონი, რომლის აღმოჩენებს ფერად მეტალურგიაში დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოსკოვსა და პეტერბურგში მოღვაწეობდა ერთ-ერთი პირველი ქარ-თველი ვოლტერიანელი დავით ბაგრატიონი. მოსკოვსა და პეტერბურგში გაატარა თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ქართველმა მწერალმა-განმანათლებელმა იოანე ბაგრატიონმა. მოსკოვში მოღვაწეობდა რუსეთის ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი პეტრე შალიკვი (შალიკაშვილი). 1813-1837 წლებში, ოცდაოთხი წლის მანძილზე პეტრე შალიკვი იყო გაზეთ „მოსკოვსკიე ვეღომოსტის“ რედაქტორი.

და ახლა, როცა დადინარ მოსკოვის ქუჩებში, გული სიამაყით გევსე ვა და გიხარია ქართველ კაცს, რომ აქ, ჩვენი დიდი ქვეყნის დედა ქადაგი — მთელი პროგრესული კაცობრიობის ცენტრში ასე ბევრი ძეგლია და-კაფშირებული ქართველი ხალხის საამაყო შვილების სახელთან.

...1962 წელს მოსკოვში გაიხსნა „ბოროდინოს ბრძოლის პანორამა“, რომელშიც ფართოდ არის ასახული რუსეთის მეორე ამინის მთავარსარ-დლის, ინფანტერიის გენერლის პეტრე ბაგრატიონის გმირული სამხედ-რო მოღვაწეობა.

„ბოროდინოს ბრძოლის პანორამას“ შენობის ფასადს ამშვენებს პა-ნო, რომელიც ასახეს პარტიზანებისა და სახალხო ლაშქრის ბრძოლის ეპიზოდებს. მარჯვნივ კი არის კუტუზოვის ბარელიეფი და დიდი პანო პე-ტრე ბაგრატიონის გამოსახულებით ბოროდინოს ბრძოლის ველზე.

მოსკოვის ახალ რაიონში (ფილიში) გაიხსნა მეტროპოლიტენის სად-გური — „ბაგრატიონოვსკაია“ და იმავე რაიონში ერთ-ერთ ქუჩას დაერ-ქვა ბაგრატიონის პროსპექტი.

მოსკოვის დონის მონასტერში განისვენებს გამოჩენილი მეცნიერისა და მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის — ვახუშტი ბა-გრატიონის ნეშტი.

მოსკოვში გაატარა თავისი უკანასკნელი დღეები დიდმა ქართველმა მწერალმა, ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ სულხან-საბა თრბელიანნა.

მოსკოვში ცხოვრობდა და აღტაცებაში მოჰყავდა მოსკოველი მაყურე-ბელი თავისი შესანიშნავი არტისტული ხელოვნებით XIX საუკუნის პი-რველი ნახევრის რუსული სცენის დიდოსტატს ა. სანდუნოვს (ზანდუ-ჭელს).

მცირე თეატრის ერთ-ერთი დედაბოძი და ოცდათი წლის განმავლო-ბაში მისი უცვლელი ხელმძღვანელი იყო დიდი არტისტი, რეჟისორი და დრამატურგი ალექსანდრე სუმბათოვ-ოუჟინი (სუმბათაშვილი).

მოსკოვის ვაგანკოვის სასაფლაოზე მარხია სამოქალაქო ომის ლეგე-ნდარული გმირი, დივიზიის მეთაური ვასილ კიკვიძე.

მოსკოვის კრემლის სასახლის გიორგის დარბაზის მარმარილოს სვე-ტებზე ოქროს ასოებით აწერია გიორგის ორდენის სრული კავალერების გვარი და მათ შორის ცოტა როდია ქართველი ხალხის შვილთა გვარე-ბიც...

...ლესნაიას ქუჩაზე, რომელიც „გრუზინსკი ვალის“ გაგრძელებაა, ახ-ლაც სპეციალურად დატოვებულია აბრა წარწერით: Օპтовая торговля кав-კასкими фруктами Каландадзе и Компания.

მ აბრისა და მაღაზიის საფარქვეშ იყო ცენტრი ქართველი რევოლუ-ციონერების შეიარაღებული რაზმებისა, რომლებიც ვაჟა-ფშავერად იბრძო-დნენ 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე. აქ ცხოვრობდა და მოღვა-

წეობდა არაერთი ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე.

მოსკოვში ამჟამად ცხოვრობენ და ნაყოფიერად მოღვაწეობენ შესანიშნავი ქართველი ადამიანები: ცნობილი მეცნიერი და გამოჩენილი სამხედრო სპეციალისტი, პროფესორი ირაკლი ჯორჯაძე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტი ვანო მურადელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ცნობილი მწერალი და კინოდრამატურგი გიორგი მდივანი, ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის სოლისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე, ცნობილი კინორეჟისორი „მიზრინავენ წეროების“ შემქმნელი მიხეილ კალატოზოვი (კალატოზიშვილი), მოსკოვის ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. თუ მანოვი (თუმანიშვილი), ახალგაზრდა კინორეჟისორები გია დანელია და მარლენ ხუციევი, პობულარული ლიტერატორი და მწერალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ირაკლი ანდრონიკოვი (ანდრონიკშვილი), სიცივის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დოქტორი შ. ქობულაშვილი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დ. გამრეკელი, ცნობილი ქირურგი გ. ლუდუშაური, პროფესორი ა. ჩხიფაძე, ჩვენი თანამემამულე საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის მთავარი დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი და სხვები, რომელთა სახელები ფართოდ არის ცნობილი მთელს ჩვენს ქვეყანაში.

1967 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა რუსთაველის ძეგლის გახსნა მოსკოვში. ამ დღეს გენიალური ქართველი პოეტის ძეგლთან თავი მოიყარეს მოსკოვში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა, მოძმეობების და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, რომლებმაც ძეგლის ირგვლივ ყვავილების და გვირგვინების მთავრობის აღმართეს.

მოსკოვმა ღიდი სიყვარულით აღნიშნა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას იუბილეები. ასეთივე დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი. ბარათაშვილი არის ქართველი ხალხის უჭირნობი გენის, მსოფლიო მნიშვნელობის სულიერი სამყაროს სიმღიდის მქონე ადამიანი, დიდი პოტენციისა და ინტელექტის ბრწყინვალე წარმომადგენელი.

დიახ, ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდი ქართველი პოეტია და მსოფლიო მნიშვნელობის პოეზიის შუქვარსკვლავი.



## პოეტის უკვლავების ნიშნაღ

დიდმა ქართველმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი შემოქმედებით თვითონ აიგო ხელთუქმნელი ძეგლი, მაგრამ მაინც სულ სხვა მგონის ხელთქმნილი ძეგლი, რომელიც ამკობს მის საფლავს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. როდის და როგორ აიგო იგი? ვინ იყვნენ მესვეურები ამ დიდი მამულიშვილური საქმისა? ვფიქრობთ ინტერესს მოკლებული არ იქნება განვიხილოთ მასალები ამ საკითხის ირგვლივ.

ჯერ კიდევ 1846 წლის 19 იანვარს, მგონის გარდაცვალების სამი თვის შემდეგ ლევან მელიქიშვილი სწერდა გრივოლ ორბელიანს, რომ ბარათაშვილის მეგობრებმა გადაწყვიტეს საკუთარი ხარჯით გამოცეცათ პოეტის ორიგინალური და თარგმნილი თხზულებანი, გაყიდული წიგნის შემთხვევის ნაშილით პოეტისათვის ძეგლი დაედგათ, ნაშილი კი მისი ოჯახისათვის გადაეცათ. ხუთ დღეში 17 კაცს გაულია 1.000 მანეთი ვერცხლით. გამოცემის ინიციატორთა სახელით ლ. მელიქიშვილი სთხოვდა გრ. ორბელიანს გაეკეთებინა ამ ძეგლის წარწერა.

ეს საქმე, როგორც ეტყობა იმ ხანებში წინ ვერ წასულა.

იონა მეუნარეიას მგონის თანამედროვეთაგან ჩაუწერია, რომ მათ თურმე შეგროვილი 1.000 მანეთი მელიტონ ბარათაშვილისათვის გადაუციათ. მელიტონს შვილის საფლავზე უბრალო ფიქალი დაუდგამს.

ბუნებრივია, მგონის მეგობრებს საქმის ასეთი დასასრული ვერ დააკმაყოფილებდათ. ისინი ბარათაშვილის ძეგლის ასაგებად ფულის შეგროვებას 1847 წელს კვლავ შეუდგნენ. გაზეთ „ივერიის“ 1893 წლის 22 ივნისის ნომერში მგონის თანამედროვის იაკინთე დიმიტრის-ძე ალექსიშვილმესხიშვილის ვაჟმა ნიკოლოზმა გამოაცვეყნა მამამისის არქივში აღმოჩენილი უაღრესად საინტერესო ხელწერილი:

— „1847 წელსა, ოქტომბრის ოცდასამ დღესა, მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერმან, მრვილე იაკინთე დიმიტრის-ძის ალექსივმესხივისაგან ოცდაათით თუმანი თეთრი ფული შეწევნილი სხვადასხვა პირთაგან გარდაცვალებულის ნიკოლოზ მელიტონის-ძის ბარათაშვილის პამიატწიერის აღსა-

შენებლად. პოდპოლკოვნიკი მაკარ ჯამბაურ-ორბელიანი“.

ამავე პერიოდში საქმესთან ახლოს მდგომი პირი ალექსანდრე ონიკოვი თუმანიშვილს უგზავნიდა 250 მანეთს ვერცხლით იაკინთე ალექსიშვილ-მესხიშვილისათვის გადასაცემად, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა დასაბეჭდად. ალექსანდრე ონიკოვს 460 მანეთი შეუკრება, მაგრამ მოულოდნელად გამგზავრება გადაუწყვეტია და 26 თუმანი ალექსანდრე თუმანიშვილის ვალი ამ ფულიდან აუღია.

აი, რას სწერდა ალექსანდრე ონიკოვი თუმანიშვილ:

„დღეს მე უნდა მივცე იაკინთეს 460 მანეთი ვერცხლით, თუმცა ფული მაქვს, მაგრამ შენ თვითონ იყი, რა აუცილებელია იგი გზაში და ამიტომ გთხოვ, უძვირფასესო ალექსანდრე, შენი 190 მანეთი და დედის 20 სულ 210 მანეთი, შენს თავზე აიღო და დანარჩენი 250 მანეთი, რომელსაც ამასთან გიგზავნი, მას გადასცე. შეიარე მასთან პალატაში, ან თხოვე შენთან მოვიდეს, ეს ფული შეკრებილია განსვენებულ ტატო ბარათოვის ლექსების დასაბეჭდად და მასთან უნდა ინახებოდეს. ვიცი, რომ აბლა ბანკროტი ხარ, მაგრამ დროითმენს და შენი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებამდე შეგიძლია დაიტოვო უფრო იმიტომ, რომ ნახევარი, კიდევ მეტიც, ვერ შეკრებილი არ არის და უნდა ვივრაუდოთ, რომ მოელი თანხის

შეგროვებამდე შეიძლება წელშეცვალა წალიც გავიდეს“.

ალექსანდრე თუმანიშვილს ამ ბარათის მეორე მხარეს მიუწერა: „ივინთე, ალექსანდრე ონიკოვისა მმართებს მე ოცდაერთი თუმანი და იმას მოუწერია ჩემთან ეს წიგნი და გამოუგზავნია ოცდასუთაო თუმანი, რომელსაც ამასთანვე ვიგზავნი. დანარჩენ ფულს მოვართმევ სექტემბერს, ვინაიდან დროითმენს, ამ წიგნის ძალით“.

ნიკოლოზ იაკინთეს-ძე ალექსანდრეს მესხიშვილის მიერ გამოქვეყნებული ეს დოკუმენტები გარევეულ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ როგორ გროვდებოდა პოეტის ძეგლის ასაგები და თხზულებათა გამოსაცემი ფული. სამწუხაროდ მაშინ ვერც ერთი საქმის წარმატებით დამთავრება უერმოხერხდა.

1893 წლის 25 აპრილს ქართველმა საზოგადოებამ ნ. ბარათაშვილის ნეშტი განხიდან თბილის ვადასვენა. იმ დღეებში კვლავ აღიძრა მგოსნის ძეგლის აგების საკითხი. ი. ივანოვის ლექსში „ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსცენების გაძმ“, რომელიც გაზეთ კვალის“ 1893 წლის მე-17 ნომერშია დაბეჭდილი, კვითხულობთ: „დააწერ დაგიდგამზ შენ მარადის საგონებელ ტეგლს“.

მაგრამ ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1905 წლის 9 ოქტომბერს მგოსნის გარდაცვალების 60 წლისთავზე. ქართველი საზოგადოება ემზადებოდა ეს თარიღი აღნიშნა, როგორც დიდი ეროვ-

ნული დღესასწაული. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ შექმნა კომისია, მოიწვია ქართული ოდაქციებისა და სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლები, მაგრამ ორგორც გაზეოთ „ცნობის ფურცელი“ იტყობინება (1905 წ. № 2928), გაერთიანებულ სხდომაზე გამორკვეულა, რომ მაშინდელ პირობებში მეტადძნელი იყო სახალხო დღესასწაულის გამართვა. როცა ხალხს შეკრების ნება არა აქვს, როცა სიტყვის თავისუფლება არ არის, როცა უბრალო თავყრილობა ხშირად სისხლისლვრით მთავრდება, პოეზიის დღესასწაულიც შეიძლება ტრაგედიად გადაიქცეს, უთქვამთ წარმომადგენლებს და თითქმის ერთხმად გადაუწყვეტიათ: განზრახული დღესასწაულის გამართვა სხვა, უფრო მოხერხებული დროისათვის გადაიდოს“. „დღეს კი, — განაგრძობდა „ცნობის ფურცელი“ — პოეტის ხსოვნას პატივსა ვცემთ ძეგლის კურთხევოთა და გახსნით. დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და შემდეგ მგოსნის საფლავზე—პანაშვილი. ძეგლი უკვე დადგმულია და საქმაოდ ლამაზიც გამოვიდა.

ძეგლს აგვირგვინებს ჭერჭერობით მარმრილოს ქნარი, რომელიც შემდეგში უნდა შეიცვალოს მერანის ქანდაკებით. ძეგლს, რომლის სურათსა და აღწერილობას შემდეგ მოვათავსებთ, ყველა მხრიდან წარწერები აქვს მგოსნის ლექსებიდან“.

„გაზეთ „ივერიის“ ცნობით შოეტის ძეგლი ალგეთის ქვესაგან დამზადდა. კვარცხლებებზე დგას სკეტი, რომლის თავზე ნაცრისფერი მარმარილოს ქნარია დამაგრებული. „ივერია“ წერს, რომ განზრახვა ჰქონიათ შემდეგში ქნარი მგოსნის ბიუსტით შეეცვალათ (1905 წ. № 185).

ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის ავტორი? გაზეთ „კვალის“ 1900 წლის მეთხუთმეტე ნომერში ვხვდებით მის გვარს,—მოქანდაკე ანჯელო ანდრიოლეტო, რომლის-თვისაც გარდა ბარათაშვილის ძეგლისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ისტორიკოს ბაქრაძისა და ფოტოგრაფ რონიშვილის ძეგლების დამზადებაც შეუკვეთიათ.

1905 წელს რუსულ ენაზე გამოსულ „ბარათაშვილის ტომში“ აღნიშნულია, რომ დიდი მგოსნის ძეგლი ვილოსა და რიჩის სახელოსნოში დამზადდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის დადგმა, რათქმა უნდა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საზრუნვი იყო. ამ საზოგადოების ფონდში შეჰქონდათ პოეტის ნიჭის თაყვანის მცემლებს მისი ძეგლის ასაგები ფული.

მოვეპოვება ცნობები, რომ ამ მიზნით საქმაოდ მნიშვნელოვანი თანხა გაულიათ ნიკოლოზ ერისთავს, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას, არსენ კალანდაძესა და

სხვებს. ზემოთ მოხსენებული „ბარათაშვილის ტომის“ მთელი შემოსავალიც, როგორც გამომცემლობა „კავკასიის მუნიციპალიტეტის“ სათავეში მდგომი ისტორიკოსი და უურნალისტი ბორის სპირიდონისძე ესაძე წერს, დიდი მგოსნის ქეგლის ხარჯების დასაფარავად ყოფილა განკუთვნილი, ძეგლი 425 მანეთი დამჯდარა და ეს ფული „კავკასიის მუნიციპალიტეტის“ რედაქციას თავის სახსრებიდან წინასწარ გადაუხდია.

ჯერ კიდევ 1905 წლის 4 სექტემბერს „ცნობის ფურცელი“ ორყობინებოდა, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გზგეობამ შექმნა ძეგლის გახსნის საორგანიზაციო კომისია, რომელშიც შევიდნენ ვ. მუსხელიშვილი, გ. ლასხიშვილი და კ. ჭაფარიძე.

ქეგლის გახსნის დღეს — 9 ოქტომბერს ცუდი ამინდი ყოფილა, მაგრამ ქართული კულტურის ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მაინც დიდაბოლი ხალხი დასწრებია. მათ შორის ყოფილან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და დრამატულ საზოგადოებათა გამგეობის წევრები, პრესის წარმომადგენლები, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის კომიტეტის შემაღენლობა, პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლები. ძეგლი ცოცხალი ყვავილებით შეუმჯიათ საბალონო სკოლის მოსწავლებს.

ქართული პერიოდული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ნიკოლოზ

ბარათაშვილის ძეგლის გახსნას უურნალ-გაზეთებში დატემატიკური სტატიები, რომლებიც მიეძღვნა დიდი მგოსნის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

განვეთ „ივერიის“ 1905 წლის ოქტომბრის ნომერში დაბეჭდა ცონბილი კრიტიკოსის — ივანე გომართელის სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. მასში აღნიშნულია, რომ ბარათაშვილის ლექსები ისტოგრად მოქმედებენ ჩვენს სულსა და გონიერაზე, თითქოს მათი ავტორი 900-იანი წლების დასაწყისში ცხოვრობდეს და წერდეს. ეს გარემოება იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდებული ნიჭია. ფილოსოფიური პრობლემები, რომლებსაც მგოსანი აღქრავს, ყველა დროის ყველა კულტურულ ხალხს აღელვებს.

„ცნობის ფურცელის“ 9 ოქტომბრის ნომერი თითქმის მთლიანად ნ. ბარათაშვილს მიეძღვნა. აქ დაბეჭდილი მასალებიდან აღსანიშნავია (სამსონ ფირცხალავას) სტატია „გარდაცვალებულთა, მაგრამ არ დასაფლავებულთა შესახებ, (ნ. ბარათაშვილის ძეგლის კურთხევის გამო)“. მასში ნათქვამია: „გვინდა მოვიგონოთ დღეს დიდებული პოეტი, რომლის მსავავი შეიძლება მეორე არ გვყოლია, რომელიც განხორციელებული თავისუფლებაა, არ იცის არავითარი დაბრკოლება და შეუჩერებლივ წინ მიისწრავების. იგი უკვდავი სახეა ყოველი მებრძოლი გმირისა, რომელიც ვერ შეურიგ-

დება მონობას და მუდაა ის ახ-  
სოვს, რომ გაპევეთოს ქარი, გაა-  
კოს წყალი, გადაიაროს კლდენი  
და ღრენი; დარწმუნებულია, რომ  
თვითონ თუ ვერ ელირსება ბედ-  
ნერებას, ცუდად მაინც არ ჩაივ-  
ლის მისი განწირული სულისკვე-  
თება და გზა უვალი, მისგან თე-  
ლილი მაინც დარჩება და მოქმედ  
მისას სიძნელე გზისა გაუადვილ-  
დება! მისთვის არ არსებობს  
არავათარი ბედნიერება, გარეშე  
თავისუფლებისა. იგი თითქოს წი-  
ნასწარმეტყველებს თავისი ქვეყ-  
ნის ბედს, მის მსგავსად ჯერ არა-  
ვის არ ჩაუხედია ჩვენს გულში...  
ნ. ბარათაშვილი ჩვენი შეუდარე-  
ბელი მოქალაქეა, იგი ყველასათ-  
ვის ქვირფასია, მგოსანია ადამია-  
ნისა და, როგორც ასეთი, ახლოა  
და საყვარელი ყოველი ადამიანი-  
სათვის!

აქვეა დაბეჭდილი ვ.-ვ.-ს წერი-  
ლი „ნიკოლოზ ბარათაშვილის  
დრო“, რომელშიც სწორად არის  
აღნიშვნული, რომ პესიმიზმს, უი-  
მედობას მგოსნის შემოქმედებაში  
სრულიადაც არ უჭირავს ასეთი  
დიდი ადგილი, როგორც ბევრს  
ჰგონია. ნიკოლოზ ბარათაშვილის  
რინიშვნელობა წერილის ვეტორის  
ჰეხედულებით, მდგომარეობს იძ-  
დროინდელი საზოგადოებრივი  
ცხოვრების ღრმა და საფუძვლიან  
კრიტიკაში.

„ცნობის ფურცლის“ იმავე ნო-  
მერში დაბეჭდილია ცნობილი ჭი-  
როველი ბედაგოგის და საზოგადო  
მოღვაწის შიო ჩიტაძის სტატია  
„მწერასანის მგოსანი“.

შიო ჩიტაძემ, 1905 წლის რევო-  
ლუციის აქტიურმა მონაწილეობა,  
ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქ-  
მედება რევოლუციის მიზნებს და-  
უკავშირა. პოეტი რევოლუციონე-  
რთა თანამგრძნობად და თანამოა-  
ზრედ წარმოგვიდგინა. ასე მიმარ-  
თავს ბარათაშვილს: „პოეტო, მო-  
ვუსმენთ შენს გმირულ მოწოდე-  
ბას და შენს მწუხარე აჩრდილს  
წავიმძღვარებთ წინ ბედნიერების  
მოსაპოვებლად. შენ ეძიებდი ბე-  
დნიერებას, სტიროდი მისთვის.  
ვერ გვპოვნა, სამარიდან დაგვლო-  
ცე შენი შვილები, რომელნიც უკ-  
ვი გამზადებულან ბედნიერების  
მოსაპოვებლად!“.

ასე ონიშნა ქართველმა ხალხმა  
თავისი დიდი ეროვნული მგოსნის  
ხსოვნა.

1938 წლის 15 ოქტომბერს ნი-  
კოლოზ ბარათაშვილის ნეშტი ღი-  
ღუბიდან მთაწმინდის პანთეონში  
გადაასვენეს და ძეგლიც იქ გადა-  
იტანეს.

აგერ უკვე სამოცდასამი წელია  
ამაყად დგას ეს ძეგლი პოეტის  
საფლავზე.

## ძლიერი პიროვნების სახე გარათაშვილის შემოქმედებაში

დრო, რომელშიც მიწდინარეობდა საოცრად ხანმოკლე სიცოცხლე „ჩვენი განმაღილებელი“ გენიოსი შემოქმედისა, ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე, დამძიმებული და მძაფრი პოლიტიკური ვნებათალელვის ხანა იყო.

მეცხრმეტე საუკუნის გარიურაჟიდან ევრაზიის გეოგრაფიულ და კულტურულ სამანზე მდგომი ჩვენი ქვეყანა ევროპიზაციის ფართო შარაგზაზე გავიდა. მაგრამ ეს არ იყო ყველასათვის ერთბაშად გასაგები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეტამორფოზა. კითხვამ: — რა წაიღო ძველმა და რა მოიტანა ახალმა.. — „შესძრა გონება და გული მაშინდელი ყმა-წვილკაცობისა“ (ილ. ჭავჭავაძე).

და ეპოქამ შვა გენიოსი, რომელსაც ბედად ორგუნა უშძიშესი ტვირთი — ორფეოსის ქნარითა და ფილოსოფოსის შორსგამწვდენი სიბრძნით გაერკვია თანამედროვეთათვის „მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი“ და პერსპექტივაში განეჭვრიტა ახალი საუკუნის რეალური შედეგები.

ნიკოლოზ ბარათაშვილი სავსებით მომზადებული და მომწიფებული შეხვდა დროს. მძაფრი, შიაგანი პოეტური, გენიოსის ანა-

ლიტიკური ალლოთი გაიაზრა წუთისოფლის რაობა და ყოველივე ამქვეყნიური ამაოება მას შეუთავსებლად არ ეჩვენა ადამიანის ცხოვრების მაღალ აზრთან. მის ერთ-ერთ საუკეთესო ებისტოლუში, (რომლის აღრესატი მაკვი თრბელიანი), ჭაბუკი პოეტი სამოცამლის მოუსყიდველი ბრძნი მსაჭულივით წერს: „მიჩვენე კაცი, რომ მაღლიერი იყოს ამ წუთისოფლისა“.

ამრიგად „ხმა იღუმალისა“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „სული ობოლის“ ავტორის პოეტური ხილვების სამყაროში თანდათან მწიფლება კონფლიქტი არსებული ყოფის პროზაულ სინამდვილესა და თვისისუფალი პიროვნების ამაღლებულ იდეალებს შორის. ეს კონფლიქტი, განზოგადებული ეპოქალური ტრაგედიის გაზრდებამდე, რომანტიკოსი პოეტის სულში ბატონდება, როვორც პირითადი მოტივი. — „ჩვენი არსებობის მიზნის მიუღწევლობამ, ადამიანთა სურვილების უსაზღვრებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული“ — წერდა ნ. ბარათაშვილი ზაქ. ორბელიანს.

პოეტი საშინლად განიცდის  
სულიერ მარტოობას. — „ვისაც  
საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება  
რა არის ამ საძაგლ ჭვეყანაში.  
რომ ჩემი რა იყოს, რომელიც შენ  
იცი დიდი ხანის ობლივი ვარ... ავ  
საგვე და ვრცელს სოფელში“.

მას ხშირად ჩაესმის „ჩემა იდუ-  
მალი“ — ეძიო „შეს მხვედრი  
შენი“. ამ დაძახილში მომავლის  
მქონე, მოაზროვნე საზოგადოება  
შეტყველებს პოეტის სუბიექტურ  
„მე“-ზი განსახოვნებული. აქედან  
გამომდინარე ლექსის ლირიკული  
გმირის სუბიექტურ ინტიმზე  
მძღავრი აქცენტირებით ბარათა-  
შველი აღრმავებს და სრულჰყოფს  
ძლიერი პიროვნების ერთყურ და  
ესთეტიკურ საზღვრებს. თუ რეაქ-  
ციით სულშეხუთულ ევროპას ბა-  
ირონის პოეზია უსახავდა ძლიერი  
პიროვნების იდეალს და ამნევებ-  
და ტირანიის წინააღმდეგ ბრძო-  
ლით, ნიკოლოზ ბარათაშვილის  
„მერანი“-ს მხედრი სახალხო  
გმირისა და მედროშის კრებად სა-  
ხემდევა ამაღლებული, მისთვის ძა-  
ლადაკარგულია ადრე დაწერილი  
ყველა საერო და საეკლესიო კა-  
ნონი, რადგან „მისი გაგებით —  
კანონი ზღუდავს ადამიანს, უკარ-  
გავს თავისთავადობას“ (მ. კაკაბა-  
ძე).

ლირიკული გმირის ამგვარ მხა-  
ტვრულ დეფინიციას რომანტი-  
კული პოეზიის კლასიკოსს თვით-  
ოთხ სინამდვილე უკარნახებდა,  
რომელსაც კარგად გამოხატავს  
ილია ჭავჭავაძის სიტყვები: —  
„ცხოვრების ტალღა მეტად ძლიე-

რია და ჩვეულებრივი კაცი მეტად  
სუსტი, რომ თან არ წაიყოლოს  
იმ ტალღამ. მარტო გენიოსის,  
ძლიერი პიროვნების მკერლი თუ  
გააპობს და შენუსრავს მას, თო-  
რებ სხვისოვის ძნელი საქმეა“.  
მანფრედისებური თავგანწირვის:  
— „შიში რა არის, მე არ ვიცი,,  
სასჯელად მიღევს სამარის კარაბ-  
დე არ ვიცოდე რას ნიშნავს გულ-  
ში თრთოლვა იმედის, სიყ-  
ვარულის ან სურვილისა“ —  
მოგვესმის „მერანის“ სტრიქონებ-  
იდან: „ეს შემიბრალებ დაქანცუ-  
ლობით თავგანწირულსა შენსა  
ხეღარსა“...

„რაა, მოვსორდე ჩემსა მამულსა,  
მოუკლდე სწორთა და მეგობარსა,  
ნულა ვიზილავ ჩემთა მშობელთა  
და ჩემსა სატრუოს, ტკბილმოუბარსა,  
საც დამიღამდეს, იქ გამოიყენდეს,  
იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო!  
მხოლოდ გარსკვლავთა, თანამავალთა,  
ვამცნ გულისა მე საიდუმლო“.

ეპოქის გმირის მიზანსწრაფვის,  
მისი ასეთი ამაღლებული სულიე-  
რი განწყობილების გამო სავსებით  
სამართლიანად წერს ფილოლო-  
გიურ მეცნიერებათა დოქტორი  
ნ. ნეუბოკოვეგა: „საქართველოს  
თავისუფლებისმოყვარე ლირიკა  
მდიდარია, მაგრამ „მერანი“ ერ-  
თია“. ძლიერი პიროვნების იდეა-  
ლი რომანტიკული პოეზიის ძირი-  
თაღი ქვაკუთხედია“.

პროგრესული რომანტიზმის  
კლასიკოსისათვის უცხოა თავის-  
თავში ჩაკეტილი, პასიური ნების-  
ყოფა. ბარათაშვილმა დიდი სილ-  
რე და განი მისცა ძლიერი პირო-  
ვნების მხატვრულ განსახოვნებას.

მთელი მისი შემოქმედება ერთი  
სრულქმნილი გალერეაა, რომლის  
სიღრმიდან შემოგვცერის ძლიე-  
რი და თავისუფლებისათვის თავ-  
განწირულის სულისკვეთებით  
შთავონებულ პიროვნებათა სა-  
ხეები, რომლებიც ჩვენს შთაბეჭ-  
დილებაში ცოცხლდებიან არა მა-  
რტო შავ ბედთან შერკინებისას  
(„ხეა იდუმალი“, „მერანი“, „სუ-  
ლო ბოროტო“), ან წუთისოფლის  
რაობაზე დაფიქრებისას („ფიქრნი  
მტკვრის პირას“), არამედ „ბედი  
ქართლისას“ თითოეული მონო-  
ლოგიდან და მეტადრე ნაპოლეო-  
ნისადმი მიძღვნილი სტრიქონები-  
დან.

ნაპოლეონი ნიკოლოზ ბარათა-  
შვილის გრძნობად - ინტელექ-  
ტუალურ სამყაროში იირეკლა,  
როგორც ახალი ეპოქის ადამიანი:  
„უამი ჩემია და უამისა ნე ვარ იმე-  
დი“ — ამბობს ლექსის გმირი.  
ძნელად თუ იპოვით მსოფლიო  
რომანტიკულ პოეზიაში ძლიერი  
პიროვნების ასეთ მონუმენტურ  
სახეს. პოეტი თითქოს ერთგვარ  
სულიერ შეებას პოულობს, რო-  
ცა ნაპოლეონის არაჩვეულებრივ  
შინაგან სიძლიერეზე ლაპარაკობს.

„მაგრამ მე გვამში სული ვეღარ  
მომთავსებია,  
მითხავს გვირვენისა დიდებისას

მე თვითონ ბედია“.

„ამ სტრიქონებში გამოიხატა  
თვით ეპოქის სულიერ სტრაფვათა  
მაქსიმალიზმი, რომანტიკული პი-  
რებოლიზაცია პიროვნების რო-  
ლისა ისტორიულ პროცესში და,  
ბოლოს, თვით პოეტის შინაგანი  
ბუნება“ (შალვა აფხაზე).

თუ უფრო ღრმად დავუკვირდე-  
ბით, ლექსში ნათლად მოჩანს სამართლის  
ხე მოაზროვნე პოეტისა, რომელიც  
ოცნებობს რესპუბლიკური საქარ-  
თველოს იდეალურ მეთაურზე,  
რომელშიც შეერთებული იქნებო-  
და ერეკლე მეფის სახელმწიფოე-  
ბრივი სიბრძნე, სოლომონ მასაუ-  
ლის დემოკრატიზმი და ნაპოლე-  
ონის ნებისყოფა.

„ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი  
ვერ ვცნათ ჩვენ მისი.

თვითონ სიკვდილიც მას უცბროდ  
აღმოგვიჩინებს.

დამტრალი ცეცხლი და ზღვის  
ლელვა წარმოგვიდგინებს  
მისს ცეცხლსა და სულსა და ზღვა  
გულსა განსაკვირვებელს!

ამ ლექსში პერსპექტივის  
გრძნობა უფრო მეტია, ვიდრე წა-  
რსულის განცდა. მისი იდეოლო-  
გიური პოზიციები უფრო ნათე-  
ლია, ვიდრე საკუთრივ ძლიერი  
პიროვნების ისტორიულ დამსახუ-  
რებათა მხატვრული ფიქსაცია.

ბარათაშვილის შემოქმედებაში  
საგანგებოდ უნდა ალინიშნოს  
ძლიერი პიროვნების მქონე ქალთა  
მხატვრული სახეები. პოეტის  
იდეალია პატიოსანი, სულით მშვე-  
ნიერი („თვით უკვდავება მშვენი-  
ერსა სულში მდგომარებს“), მტკი-  
ცე ნებისყოფისა და დამოუკიდე-  
ბელი აზროვნების მატარებელი  
ქალი — მანდილოსანი. („ქეთე-  
ვან!“, „ღამე ყაბახზედ“, „ბედი ქა-  
რთლისა“). ქეთევანმა თვითმქვ-  
ლელობით უცასუხა საზოგადოე-  
ბის სიკაცეს, მარაჟაცის გულ-  
გრილობას. იგი თავის ტრაგედიით

ქალისადმი რაინდული, მოქალა-  
ქეობრივი დამოკიდებულებით,  
ურთიერთ გაგებასა და პატივის-  
ცემას ამძაფრებს „შეყვარებული  
ვაჟის შთაბეჭდილებაში.

„ღამე ყაბაბაზედ“ გაკიცხულია  
ქალვაჟთა სატრფიალო ურთიერ-  
თობაში ვაჟის პირუმტყიცობა. ნა-  
ცნობი ქალიშვილი ბრალს დებს  
პოეტს (იგულისხმება საზოგადოდ  
ვაჟები): „ახლა მოდაა, ვინც ვის  
იცნობს, ივიწყებს ისევ“. ამ სტრი-  
ქონებიდან ისმის მკაცრი გაფრთ-  
ხილება: გაუფრთხილდით ქალის  
ლირუსებას, თავმოყვარებას.

ქართველი ქალის ისტორიული  
ტიპი, — რომელშიც ამაღლებუ-  
ლია დედისა და პატრიოტი მოქა-  
ლაქის ყველა ძვირფასი თვისება,  
ბარათაშვილმა უკვდავყო პოემა-  
ში „ბედი ქართლისა“.

სოფიო უფრო ძლიერია, ვიდრე  
ჩრდილოეთის სუსტიანი ქარი, ვი-  
დრე მცხუნვარება სამხერეთული  
უდაბნოსი. იგი საიმედო ბურჯალ  
თავიდგას ერს და ერის მომავალზე  
გვდექმერობისას მისოვის უცხოა ყო-  
ველგვარი კომპრომისი. „ჰოი,  
დედანო, მარად ნეტარნო, კურთ-  
ხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარ-  
ნო“ — მიმართავს მას აღტაცებით  
პოეტი ლირიკულ ინტერმეცოში.

1841 წელს ნ. ბარათაშვილმა  
თარგმნა იოპან ლაიზევიცის ტრა-  
გიდია „იულიუს ტარანტელი“.  
პოეტი მოხიბლა ლაიზევიცის გმი-  
რთა სულის სიძლიერებმ.

იმი „იყო ადამიანი, ეს ნიშნავს —  
ლიმოქმედონ“. ამბობს გვიდო. იუ-  
ლიუსი ბობოქრობს: „განა აღამი-

ანის მოდგმის ბედნიერებისათვის  
აუცილებლად საჭიროა ისეთი სა-  
ზოგადოება, სადაც არავინ არა  
თავისუფალი, სადაც ყველანი ერ-  
თიმეორის მონები არიან?“.

მაგრამ ლაიზევიცის ამ ტრაგე-  
დიაში ცეცილია ნიგრეტის სახე  
მაინც ყველაზე კოლორიტულია.  
ცეცილიასათვის სავსებით მიუღე-  
ბელია თანასწორობას მოკლებუ-  
ლი, მამაკაცის დესპოტურ უპირა-  
ტესობაზე დაფუძნებული ქალვა-  
ჟის შეუღლება: „მე დავიბადე თა-  
ვისუფალ ადამიანად და მსურს.  
თავისუფალ ადამიანად მოვკვდე-  
მე ვერ ავიტან აზრს — ვიყო მა-  
მაკაცის მხევალი. სიტყვაში „გათ-  
ხოვება“ — ბორკილების უღარუნი  
მესმის და საქორწინო გვირგვინი  
განწირული მსხვერპლის სამკაუ-  
ლად მეჩვენება“.

ცეცილიას სახე ერთგვარად ავ-  
სებს მთარგმნელის წარმოდგენას  
იდეალური, ძლიერი პიროვნების  
მქონე ქალის სახეზე, რომელიც  
როგორც აღვნიშნეთ, ორი წლით  
ადრე, 1839 წელს გამოაქანდაკა  
თავის განთქმულ პოემაში „ბედი  
ქართლისა“.

პიროვნების მაღალმოქალაქეო-  
ბრივი ლირუსების, ცხოვრებაში  
მისი ადამიანური მოწოდებისა და  
დანიშნულების ეთიკურ-ესთოტი-  
კური გადაწყვეტის ნიმუშს წაინც  
„ფიქრი მტკვრის პირას“ წარმო-  
ადგენს, რომელიც თაობიდან თაო-  
ბებს გადაეცემა.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვევიან  
— შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდეცა მივდიოთ მას,  
გვესმას მშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი  
მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის  
არა იზრუნვოს“.

ჭეშმარიტად, სულის რაღაც სპა-  
რატანული სიძლიერე და მთლიანო-  
ბა, გაუტეხელი ნებისყოფა და  
შინაგანი სიღიადე ჩანს ამ სტრი-  
ქონების ავტორის შემოქმედებასა  
და პიროვნებაში (აკად. გ. ჭიბლა-  
ძე).

ამრიგად, სულით ძლიერი რო-  
მანტიკული გმირის მხატვრული  
სახის გააზრებისას ბარათაშვილმა  
ესთეტიკური აზროვნება თავისი  
ეპოქის მოთხოვნათა სინაღლეზე  
აიყვანა. ძლიერი ვწებებისა და ინ-

ტელექტის პიროვნების იფასურული  
გამოსახატავად ჩვენი პოეტი აფშენდოւ  
ალოდ ცნობილ ისტორიულ პი-  
რებს მიმართავს. მისთვის უცხოა  
გხოლოდ მითოლოგიური გმირე-  
ბითა და ბიბლიური სახეებით, მი-  
სტიკითა და მოჩვენებებით გატა-  
ცება. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ  
დაბეჭითებით მიგვითითებს გენია-  
ლური რონანტიკოსი პოეტის შე-  
მოქმედებაში რეალიზმის ელემე-  
ნტების არაჩვეულებრივ სიჭარბე-  
ზე, რის კვალობაზეც, ბუნებრი-  
ვია, იზრდება თითოეული სახის  
როგორც იდეურ-ესთეტიკური,  
ისე შემეცნებითი ლირებულება.



# გარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია

ბარათაშვილის საწოლვაწეო ას-  
პარეზზე გამოსცლა მეტად მნიშვ-  
ნელოვან მოვლენას დაემთხვა. იმ  
ღროვასთვის მტერთაგან მრავალ-  
გზის ანაოხები საქართველო უკ-  
ვე ერთორმწმუნე რუსეთის მფარ-  
ველობის ქვეშ იმყოფებოდა. ქარ-  
თველმა ჟალხმა ოდნავ შვებით ამ-  
ოისუნთქა.—კულტურულად აღო-  
რძინდა და პოლიტიკურად მომქ-  
ლავრდა. მაგრამ ქართველი თავად-  
აზნაურობა ერთგვარად იმედგაც-  
რუებული აღმოჩნდა: მეფის ხე-  
ლისუფლებამ არ შეუსრულა მთე-  
ლი რიგი დაპირებები. სახელმწი-  
ფო სათავეში მეფის მოხელეები  
მოექცნენ, დაიწყო რუსიფიკაცია  
და ქართული ენის განვითარება.  
საშიროების წინაშე დადგა. ერ-  
თის მხრივ, პროგრესი—რუს ხა-  
ლხთან დამევობრება და მომავლის  
ნათელი იდეები ისახებოდა; მეო-  
რეს მხრივ, რეგრესი, სასტიკი რუ-  
სეცია და ეროვნული ტრაგედია  
ტყვიისფერ ღრუბლად ეფინებო-  
და საზოგადოებრივ ატმოსფეროს.

ასეთი წინააღმდეგობით აღსაგესე  
ეპოქაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა  
ახლებურად აღიქვა მოვლენები.  
მას არ შეეძლო ალექსანდრე ჭავ-  
ჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის  
მსგავსად ქველი ლიტერატურული

ტრადიციების დატკეპნილი გზით  
ევლო. ახალმა სიომ, ახლებურმა  
ვითარებამ მძაფრი მგზნებარებით  
აყულერა მცოსნის ჩანგი და ახალი  
ღვთაებრივი სული შთაბერა პოე-  
ტის მუზის. ყოველივე ეს გენიოს  
პოეტს ორიგინალური სამყაროსა-  
კენ ეზიდებოდა. ინდივიდუალური  
სტილის შემუშავებაში ნიკოლოზ  
ბარათაშვილს დიდი სამსახური გა-  
უწია რუსეთისა და დასავლეთ ევ-  
როპის ლიტერატურასთან განუწ-  
ყვეტელმა კავშირმა. მაგრამ ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილს, როგორც ყვე-  
ლა ჭეშმარიტ პოეტს, ფესვები  
მშობლიური ლიტერატურის წია-  
ღში ჰქონდა და ეროვნული ლი-  
ტერატურული ტრადიციები ასაზ-  
რდოებდა.

ამას აღასტურებს დიდი პოეტის  
პირადი წერილები, სადაც აქა-იქ  
გამოყენებული აქვს ქართველ მწე-  
რალთა გამონათქვამი. გრ. ორბე-  
ლიანისადმი მიწერილ ერთ-ერთ  
წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი  
იყენებს ბრძნული აზრებით დატ-  
ვირთულ ფრაზას . სულხან-საბა  
ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუი-  
დან“.

„საყვარელო ძმაო გრიგოლ! სი-  
ზარმაცეში ანუ უნდობლობაში ნუ  
ჩამომართევთ ამდენსანს წიგნის

მოუწერლობას. — დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი: შენ, ჭიანჭველავ, რა საქმე გაქვსო? კიდეც ამისათვის არა მცალია, რომ ჭიანჭველა ვარ: ყოველთვის ჩემზედ მეტი და დღიდი უნდა ავიკიდო“. (ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1954, გვ. 108).

ნ. ბარათაშვილის მშფოთვარე სული ვერ აღწევს მიზანს, პოეტი ვერ პოულობს ნაციაყუდელს ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მაგრამ დილოსოფიური გააზრებით დაასკვნის:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულსკვეთბა, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება; და ჩემ შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს, და შეუბოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“  
„(მერანი)“

ეს მრავლისმეტყველი ოპტიმისტური გზებით ანთებული სტროფი დიდების შარავნდედით მოსავს პოეტის სახელს.

თანამედროვე ფილოლოგიურ მეცნიერებაში გავრცელებულია აზრი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ენა უფრო ოქაულია, ვიდრე დავით გურამიშვილისა და ბესიკისა. ჩენ არაფერს ვიტყვით გრამატიკული წყობისა და ენობრივი კანონების შესახებ, მართლაც შეიძლება ამ მიმართებით ნ. ბარათაშვილი იყენებდეს ახალთან ერთად ძველ ენობრივ კონსტრუქციებს. ეხება რა ნ. ბარათაშვილის ენის საკითხებს აკადემიკოსი აკ.

შანიძე დასტენს: „ბარათაშვილი სიტყვების შერჩევის დროსაც ძველს მარაგში იცირება და იქიდან ამოაქვს თავისთვის საჭირო მასალა. ასეთი მისი მობრუნება წარსულისაკენ იმდროინდელ პირობებში უნდა ვეძიოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბარათაშვილს არჩილ-ვახტანგ - საბა - გურამიშვილისაგან ანტონის ცრუ კლასიკური ენა ჰყოფს, ანტონისა, რომელმაც XVIII საუკუნისათვის საკმაოდ გადახალისებული ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარება და სასაუბრო ენასთან დაახლოების ტენდენცია ძლიერ შეაფერება.“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, 1939, გვ. 160).

მართალია, ბარათაშვილი იყენებს რა ქართული ლიტერატურული საუნგილან ძველ, არქაულ სიტყვებსა და გამოთქმებს. მისი ლექსიკა საგრძნობლად არის დავალებული შოთა რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის, დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის პოეზიით, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ გენიოსი პოეტი არ იღებს ძველი პოეზიიდან ყოველგვარ სიტყვას. იგი ქართული ლიტერატურული საუნგილან კრეფს მარგალიტებს, რომელთა უმრავლესობა არა მარტო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ დღესაც გამოიყენება როგორც კეთილხმოვანი სინონიმები, რომლებიც მრავალფეროვნებს, ქართულ ლექსიკას.

ამრიგად ეროვნული სულით გა-

მსჭვალული გენიოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი აგრძელებს ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციებს, ავითარებს მას და ძველი ლექსიკის უბადლო გამოყენებით ქმნის ახალ ორიგინალურ სტილს, რომელიც ენერგიულად ანგრევს ძველს, წარმავალს, დრომოქმულს, და დასაბამს აძლევს ახალს, პროგრესულს.

6. ბარათაშვილი კარგად იცნობდა ძველი ქართული ლიტერატურის კორიფეებს, საჭირო შემთხვევებში მათ მხატვრულ ნაწარმოებებს იყენებდა.

ისე როგორც ყველა პროგრესულად მოაზროვნე რომანტიკოსი მწერალი, ბარათაშვილიც დაინტერესებულია ცხოვრების რაობით. რისთვის იბადება ადამიანი? რა ამოძრავებს მას? რა არის საჭირო, რომ ცხოვრება მიმზიდველი გახდეს. ის ის საჭირბორო საკითხები, რაც კარდინალურ გადაწყვეტას მოითხოვს. ყველა რომანტიკოსი პოეტი მიუხედავად მსოფლმხედველობის ერთიანობისა, თავისებურად, ეროვნული ტრადიციებიდან გამომდინარე განსხვავებული იერით აშუქებს პრობლემებს და ინდივიდუალური ასპექტით წარმოადგენს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში ჰქონის „მსოფლიო სევდის სული“, დემონივით რომ შეჭრილა პოეტის არსებაში, და ერთიანად დაუბრია იგი, მაგრამ დიდ პოეტს

იდეები დასავლეთ ევროპის ლოტერატურიდან კი არ წამოუღია, არამედ საკუთარ ლიტერატურულ ტრადიციებში, ეროვნული ცხოვრების წიაღში უპოვია მისი გასაღები და მასზე დაყრდნობით შეუქმნია პოეზია, რომელითაც ეზიარა „მსოფლიო სევდას“.

აღსანიშნავია, რომ ცხოვრების ბედუქულმართობაზე გამოწვეული სევდა-მწუხარება ყოველთვის აწარებდა ქართველ მწერლებს.

მოუწესრიგებელი ცხოვრება მუდამ აკვენესებდა თეიმურაზ პირველს. განაწამები მეფე-პოეტი ზოგჯერ ლრმა პესიმიზმით იმსჭვალებოდა. სოფლის ავ-კარგზე წუხდა არჩილ მეფე. სევდიან ხმაზე მღეროდნენ დიდი დავით გურამიშვილი და ბესარიონ გაბაშვილი, თეიმურაზ მეორე და მამუკა ბარათაშვილი, ალორძინების ეპოქის ყველა დიდი თუ პატარა პოეტი. სევდის დაუყვებელი გრძნობა დაუფლებია შოთა რუსთაველის გმირებს. „ვეფხისტყაოსანში შუქჩრდილებად ენაცვლებიან ურთიერთს უკიდურესი მწუხარება და დაუყვებელი ოპტიმიზმი. მათ შორის ბრძოლა მთავარ ლეიტმოტივად მიჰყვება ნაწარმოების შინაარსს და შოთა რუსთაველის უკვდავ პოეზიას ეხმაურება. მხოლოდ ბარათაშვილის გენია მიწვდა რუსთაველური ოპტიმიზმის ცხოველმყოფელ ძალას. იგი საზოგადოებას პესიმიზმისა და უმოქმედობისაკენ

კი არ უბიძგებს, არამედ ადამიანებს ცხოვრებაში დარჩენასა და ბოროტ ძალასთან უსაზღვრო ჭიდილს ავალებს.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან —  
შვილი სოფლისა,  
უნდა კიდევა მიესდიოთ მას, გვესმას  
მშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი  
მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის  
არა იზრუნვოს!“

(„ფიქტი მტკვრის პირს“)

დიდი პოეტი ტრაგიკულად განა-

ცდის რა ცხოვრების მოუწესრიგებლის „შავი ყორანი“, „ბოროტი სული“ დემონიზით და ბუდებულა მის არსებაში და მოსვენებას არ აძლევს მგონის აწეშილ ფიქტებს. ბარათაშვილი მოქმედია, მოუსვენარი, უკეთესი მერმისის მაძიებელი, უბადლო მებრძოლი. „მერანზე“ ამხედრებული, სევდა-ვარამით გულანათრთოლი პოეტი არ ემონება ცხოვრების ულმობელ კანონებს და დაუკებლად მიიწევს წინ — პროგრესისაკენ.

# ბარათაშვილის გათუმაში დაგეჭდილი

## ნაწარმოებები

ენიალური ქართველი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსისი 1852 წლიდან იძექდება. უურნალ „ცისკარში“ (1852 წ. № 4 გვ. 9-13) ცნობილმა ქართველმა პოეტმა და დრამატურგმა გიორგი ერისთავმა გამოქვეყნა უდროოდ ვარდაცვლილი დიდი თანამედროვის ოთხი ლექსი „ბულბული ვარდზე“, „ჩემი ლოცვა“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „სულო ბოროტო“ და ბოლოს მათ დაურთო საკუთარი ლექსიც სათაურით „თ. ნიკოლოზ მელიტონის-ძის ბარათაშვილის გარდაცვალებაზე“ (გვ. 13).

1858 წელს კვლავ განახლდა უურნალ „ცისკარში“ ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებების ბეჭდვა. № 2 და № 9-ში გამოქვეყნდა პოეტი „ბედი ქართლისა“ და სამი ახლი ლექსი. 1860-1863 წ. მა- ვი უურნალის ფურცლებზე პეტრე უმიქაშვილმა გამოქვეყნა ნ. ბარათაშვილის 19 ლექსი. 1863 წელს დიდმა ილიამ „საქართველოს მომბეჭი“ დაბეჭდა ნ. ბარათაშვილის ორი ლექსი. 1864 წელს კი კირილე ლორთქიფანიერ ერთმა პირველთაგანმა გამოქვეყნა ლიტერატურულ კრებულში „ჩონგური“ დიდი პოეტის ნაწარმოები. 1872-1873 წლებში უურნალ

„კრებულში“ კვლავ იძეჭდება ნ. ბარათაშვილის ოთხი ლექსი. ამავე დროს ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებების გარდა, გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, პეტრე უმიკაშვილის და სხვების ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი წერილები და ლექსები.

6. ბარათაშვილის წარწერების ცალკე კრებულის გამოცემაზე ზრუნვა აღრევე დაიწყეს, მაგრამ მაშინვე ვერ მოხერხდა. 1875 წლის 17 დეკემბერს „დროებაში“ (№ 143) გამოჩნდა ცნობა დიდი პოეტის თხზულებების ცალკე გამოცემის შესახებ და მართლაც 1876 წელს თბილისში, ექვთიმე ხელაძის სტამბაში, დაბეჭდილა წიგნი სათაურით: „ლექსი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან“. რომელშიც დაბეჭდილი იყო პოეტის 30 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისაზე“.

6. ბარათაშვილის ლექსების კრებულები გამოდის 1879, 1886, 1890, 1895, 1904, 1905, 1910, (ორჯერ), 1911, 1916 (ორჯერ), 1922 და სხვა წლებში, რომელთა უმეტესი გამოცემები დაბეჭდილია თბილისში.

განსაკუთრებული აღნიშვნის

ლირსია, რომ თბილისის სტამბების გარდა პირველად, 1906 წელს პოეტის ნაწარმოებების მექანიკური გამოცემა დაიბეჭდა ქ. ბათუმში (გამოცემა № 3, ი. ბ. მინიკინის სტამბა), რომელშიც მოთავსებულია 36 ლექსი და წიგნს დართული აქვს გამომცემლის № 3. ჟულის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია“ (გვ. 1-46). აქვეა დაბეჭდილი ნ. ნიკოლაძის, ხომლელის, გ. თუმანიშვილის, კიტა აბაშიძის, 3. ნ. განნარიძის და სხვათა აზრი ნ. ბარათაშვილზე და მის პოეზიაზე.

1911 წელს ბათუმში დაიბეჭდა 6. ბარათაშვილის ისტორიული პოემა „ბედი ქართლისა“ (ალ. ჟელიძე გამოცემა № 3, სტამბა ვ. ჩანტლაძისა და ნ. ხვინგიასი); ამ გამოცემასაც დართული აქვს გამომცემლის წერილი სათაურით „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელშიც ვრცლად არის მოცემული პოეტის ბიოგრაფია და შემოქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმში ში დაბეჭდილი 6. ბარათაშვილის ნაწარმოებების გამოცემები იაფუასიანი იყო, პირველს 20 კაბიკის და მეორეს 3 კაბიკის ლირებულება ჰქონდა, რაც ყველასათვის ხელისაწვდომი იყო.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ 1900-იან წლებში სწორედ ბათუმში, ლოტბარმა გ. საყვარელიძემ დაწერა საგუნდო სიმღერა „მერანი“, რომელსაც წარმატებით ასრულებდა მისივე გუნდი (მნათობი, 1948 წ. № 5. გვ. 159).

ამრიგად, ის ფაქტი, რომ აჭარაში რევოლუციამდე ორჯერ დაისტამბა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოები, ასევე ისიც, რომ პირველად აჭარლებმა ამოიმღერეს ქართული პოეზიის წყაროსთვალი „მერანი“, მიუთითებს, რომ აჭარის ხალხი ადრე ვე ყოფილა დაინტერესებული დიდი რომანტიკოსის შემოქმედებით.

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## და სახალხო განათლება აჭარაში

აჭარა შორეულ წარსულში საქართველოს ერთ-ერთი უაღრესად კულტურული და განათლებული კუთხე იყო. ამაზე მეტყველებს ჩვენს დრო-მდე მოღწეული ძველი მატერიალური კულტურის მრავალი შესანიშნავი ძეგლი, რომლებმაც გაუძლეს რა უამთა სიავეს, შეინარჩუნეს ეროვნული ფორმა და სული.

საგულისხმოა, რომ ამ კუთხის სახელოვანი შვილები ჯერ კიდევ მე-11 მე-12 საუკუნეებში უმშვენებლენ მხარს საქვეყნოდ ცნობილ სწავლულებსა და მეცნიერებს, მაგრამ მე-16 საუკუნის დასასრულს აჭარა მიიტაცა რა თურქეთმა, მოსწყვიტა იგი დედასა მშობლო საქართველოს და სამ საუკუნეზე მეტ ხანს ამყოფა მონობის მძიმე უღელქვეშ.

თურქთა ბატონობას სახალხო მეურნეობის ნერევაც მოჰყვა.

აჭარის მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს, თავგამოდებით იცავდა ტრადიციულ ქრისტიანულ სარწმუნოებას და ტკბილ მშობლიურ ქართულ ენას, მაგრამ უთანასწორო ბრძოლამ თავისი გაიტანა.

აჭარის მშრომელებს არც გამუსლიმანების შემდეგ შეუწყვეტიათ ბრძოლა სულთანის რეუიმის წინააღმდეგ. მათ ყოველთვის ამოძრავებდათ დედა-საქართველოსთან შეერთების ძლიერი ეროვნული გრძნობა.

თურქების ბატონობის პერიოდში სახალხო განათლება და კულტურა აჭარაში საშინალად დაკინდა. მთელს მხარეში არც ერთი სამოქალაქო სკოლა არ იყო. „მთელი განათლების სისტემა“ მიზნად ისახავდა მხოლოდ მაკმაღიანური რელიგიური განათლების გავრცელებას. ამ მიზნით შექმნილი იყო სასულიერო სკოლების — მედრესეთა საკაოდ ფართო ქსელი.

ამრიგად, აჭარაში გამეფდა სიბნელე და უვიცობა, უნდა აღინიშნოს, რომ თურქ-დამპყრობთა ბატონობის სამასი წლის მანძილზე აჭარაში წერა-კითხების მცოდნეც იშვიათად მოიპოვებოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია 1875 წელს ერთ-ერთი ქობულეთელის პასუხი გაზ. „დროების“ კორესპონდენტის შეკითხვაზე: „რა ახალი ამბავია თქვენშიო?“ — აღნიშნულ კითხვაზე ქობულეთელი შემდეგ პასუხს აძლევს: „რავა ჩივი ძიავ, ქობულეთს რა ამბავი იქნება? გაზეთი არ არის, არც ვინმე რამეს კითხულობს, არც სწავლობს და არც სწერს, თქვენ, ქართველებს გაზითიც გაქვთ და წერაკითხვაც კი იცით და ჩვენდა ყველაფერი დეილია, ძიავ,

თქვენ გაზეთის საშუალებით ახალ მმგებს გებულობთ და ჩვენ კარტინგი ვიშვეთ ერთი ქართული გაზეთი, ხოლო მისი წამკითხველი ვერ ვახეთ ზოგიერთმა ქალმა კი იცის ქართული კითხვა. ბოლოს გავიგეთ, რომ სოფელ საძებაში ყოფილია ქართულის წამკითხველი: გულაი კაიკაცივილა და ფასიაშვილი. რომლებმაც წაგვიკითხეს გაზეთი".

"მესხეთის ისტორიაში, — წერდა ი. გოგებაშვილი, — ორი ხანა განიახევა: პირველ ხანას შეადგენენ ის ხანგრძლივი საუკუნენი, რომელთა განმავლობაში იგი საქართველოს ეკუთვნოდა. მეორე ხანას შეადგენს დროისმალეთის მფლობელობისა. ამ ორ ხანას შუა თითქმის ისეთივე განსხვავებაა, როგორც დღესა და ღამეს შუა, სამოთხესა და ჯოჯოხეთს შუა".

დიდი ქართველი პედაგოგის ეს სიტყვები უთუოდ აჭარის წარსულს ეხება. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის არმიის გამორჩევების შედეგად აჭარა კვლავ დაუბრუნდა დედა-სამშობლოს.

მეფის მთავრობამ აჭარაშიც გახსნა რამდენიმე სკოლა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სკოლების უმრავლესობა აჭარის დარიბ მშრომელთავის მიუწვდომელი იყო. სკოლებში სწავლება ქართველი ბაგშვებისათვის უცნობ რუსულ ენაზე სწარმოებდა. მართალია იმ დროს ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწენი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, დ. კლიაშვილი, ს. მესხი, გ. ჭიჭინაძე და სხვები, აგრეთვე აჭარის მკვიდრი პატრიოტები მამა-შვილი გულო და უსუფ კაიკაციშვილები, სელიმ, შერიფ და თემურბეგ ხიმშიაშვილები, რეჯებ ნიუარაძე, აბდულ და იუნს წულუკიძეები, ხასან თხილაიშვილი, მემედ, ჰაიდარ და ხუსეინ აბაშიძეები და სხვები დაუღალავად ზრუნავდნენ აჭარის მშრომელთა ეროვნული გათვაითნობირებისა და კულტურული დაწინაურებისათვის, მაგრამ მათი უანგარო შრომა ამ დიდ საქმეს მხოლოდ ნაწილობრივ შველოდა.

ნამდგილი თავისუფლება, განათლებისა და კულტურის აღორძინება აჭარაში განხორციელდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში — 1921 წლის 18 მარტიდან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში აჭარაში შეიქმნა სრულიად ახალი — საბჭოთა სახალხო განათლების სისტემა, განხორციელდა კომუნისტური პარტიის საპროგრამო მოთხოვნა, — ქალვაჟთა ერთად, უფასო და საყოველთაო სწავლების შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების მთავარ სახრუნავს აჭარაში კულტურული რევოლუციის განხორციელება წარმოადგენდა, რომელიც მალე წარმატებით გადაიჭრა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასკოლო ქსელის გაფართოებას; — როგორც კულტურული რევოლუციის განხორციელების მთავარ საშუალებას.

სკოლების ქსელის გაფართოებამ მოითხოვა მასწავლებელთა საქმარიანობის კადრები. ასეთი კი აჭარას ძალზე მცირე რაოდენობით ჰყა-

ვდა. მასწავლებელთა კადრების მომზადების მიზნით 1923 წელს მასწავლებლების ბათუმში გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელმაც 1926 წელს პირველად გამოუშვა ახალგაზრდა კადრები. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში არ იყო არც ერთი ადგილობრივი მასწავლებელი, დღეისათვის მათი რიცხვი 2.300 აღემატება.

1930 წელს ბათუმში გაიხსნა აჭარელ ქალთა პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელმაც თავისი არსებობის 11 წლის მანძილზე რესპუბლიკის დაწყებით სკოლებს მოუმზადა 138 ქალი მასწავლებელი. აჭარელ მასწავლებელ ქალთა მომზადების საქმეში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე ლენინის სახელობის პედაგოგიურმა ტექნიკუმმა. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებული ქალიშვილები მუთხებერ სემათ და თალიე ვარშანიძეები, პადიე კომახიძე, პურიე მეავანაძე, ხატიჯე და ფერიძე ნიუარაძეები, ბესირე ხარაზი, ქვესერ თხილაიშვილი, ფადიკო ჩიგავაძე, გულიკო კაიკაციშვილი და სხვები საბჭოთა აჭარის მკვიდრ ინტელიგენტ ქალთა პირველ რაზმის შეადგენდნენ. მათ თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული წინსვლის დიდ საქმეში.

1921 წლიდე აჭარაში უმაღლესი განათლებით იყო მხოლოდ სამი აჭარელი და ისიც შეძლებულთა წრიდან. ამჟამად კი აჭარას მრავალი აღგილობრივი მშრომელი ჰყავს უმაღლესი განათლებით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გვერდით აჭარაში შექმნილია მთელი რიგი ტექნიკუმებისა და სპეციალური სასწავლებლების ფართო ქსელი, სადაც მზადდება კვალიფიციური კადრები.

ბათუმში შექმნილია და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, აგრეთვე სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებათა საქმაოდ ფართო ქსელი.

დღეისათვის აჭარაში ათამდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა.

აჭარაში ჭეშმარიტი კულტურული რეკოლუციის განხორციელების შედეგია აჭარელი ქალის ფართო ასპარეზზე გმოსვლა.

ამჟამად ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მომავალ პედაგოგთა სწავლა-აღზრდის დიდ საქმეს ემსახურება 96 პროფესორ-მასწავლებელი, ამათგან 52 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია. მათ შორის არიან თვით მშობლიური ინსტიტუტის აღზრდილები, ყოფილი სტუდენტები, მაგალითად რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე ღოცენტი მ. ფარტენაძე, დაწყებითი განათლების პედაგოგიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე მ/კ. მერი ცინცაძე, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი მ/კ. არსენ ჩავლეიშვილი, დოცენტები ს. ნიუარაძე, ა. ართილავა, ა. სურგულაძე, ა. ბერაძე, გ. რუსევიშვილი, ბორჩხაძე, ქემხაძე და სხვ. ამ წარმატებებში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მეტიც, — საბჭოთა აჭარაში სახალხო განათლების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინება ორგანულად უკავშირდება.

თბილისის უნივერსიტეტს, მის მრავალრიცხოვან მეცნიერ-მუშაკთა კულექტივს.

უნივერსიტეტმა დიდი როლი შეასრულა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში. უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს საკანდიდატო დისერტაციები დაიცვეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებმა: მ. სტამბოლიშვილმა, ს. ქუთათელაძემ, ნადიმ და შოთა ნიუარაძეებმა, ხ. ხალვაშვილი, ჯ. მესხიძემ, პ. ცეცვიტარიამ, ი. ნაკაძემ, ალ. ჩავლეიშვილმა, ნ. დუმბაძემ და სხვ.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ აჭარას თბილისის უნივერსიტეტმა მოუწადა უმაღლესი განათლების მქონე ადგილობრივი კადრების პირველი რაზმი, კერძოდ, განათლების ფრონტის მუშაკები: ხ. ნაკაძე, ჯ. ნოღაიძელი, იურისტი ი. ცივაძე, ეკონომისტები ხუსკინ შაქარიშვილი და სულეიმან კაიკაციშვილი, უნივერსიტეტის აგრონომიულ და სამეცნიერო ფაკულტეტებზე, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტის წიაღიანან წარმოშობილ სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო ინსტიტუტებში აღიზარდენ აგრონომები ილიას მეგრელიძე, იბრაიმ მუანაძე და ბელრიე აბაშიძე, ექიმები: ნევრესტან შაშიკაშვილი (ამჟამად პროფესორი, თბილისის ექიმთა დახმარების ინსტიტუტის კათედრის გამგე), მამია კომახიძე (პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე), მურად გუნთაშვილი, ლალიბ ბეჟანიძე, მინირე აბაშიძე, სალობ აბაშიძე, აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. დიასამიძე, იურისტები ჯ. ბაჯელიძე (რესპუბლიკის პროკურორი), გიორგი გოგიტიძე (საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი), ისტორიკოსები ხ. ახვლედიანი (სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი), ასლან ინაიშვილი (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი) და სხვები.

ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 44 კურსდამთავრებული, ესენია: ი. ნაკაძე (პრორექტორი), დეკანები ს. დადუნაიშვილი და გ. ხუსუნაიშვილი, კათედრათა გამგე-ები — ლოცენტები ნადიმ და შოთა ნიუარაძეები, ხ. ხალვაში, ჯ. მესხიძე, ლექტორები — ლოცენტები ნ. ჯიბუტი, ს. ქუთათელაძე, გრ. ჯიგიშვილი, ნ. საბაშვილი, ჯ. ბერიძე, ქ. ალასანია, ა. გობრონიძე, ვ. ჯორბენაძე და სხვ. ხოლო აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს სისტემაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 140-მდე კურსდამთავრებული მუშაობს. ეს ყველა ერთად უზარმაზარი ძალაა, რომელიც წინ სწევს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეს.

მეჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის კალთაში აღორძინებულ საქართველოს სხვა სასწავლებლებში, რომელიც უნივერსიტეტის სისხლი და ხორცია, — მეცნიერებას ეუფლება მზიური აჭარის ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი. დღეს ისინი საზოგადოების სრულუფლებია-

ნი წევრები არიან, ბევრმა მათგანმა შრომითი გმირობით გაითქვა სახელური ბევრ მათგანს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება აუქტემინა-ნიჭებული, ხოლო ასობით ქალი და გილდოებულია საბჭოთა კავშირის ორ-დენებითა და მედლებით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით აჭარა უმოკლეს ისტორიულ დროში აყვავდა და მოწინავე ავტონომიურ რესპუბლიკად გადაიქცა.

განათლების დარგში საბჭოთა აჭარის მშრომელთა უდიდესი მონაბო-ვარია უმაღლესი სასწავლებელი — შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც 1935 წელს დაარსდა. ეს იყო პირველი უმაღლესი სასწავლებელი აჭარაში, რომელსაც მამობრივი დახმარების მზრუნველი ხელი გამოუწოდა ჩვენი ერის მშვენებამ და სია-მაყემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. მისმა სახელგანთქ-მულმა მეცნიერებმა და ლექტორ-მასწავლებლებმა თვითანთი ცოდნა და ნიჭი არ დაიშურეს, — გვერდში ამოუდგნენ ინსტიტუტის მასწავ-ლებელთა ადგილობრივ კადრებს და დაეხმარენ სასწავლო-აღმზრდელობით და სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში. ამა-თგან განსაკუთრებული მაღლიერების გრძნობით უნდა აღინი-შნოს ამჟამად მხცოვანი მეცნიერი პროფესორი ალექსანდრე ჯავახიშვილი, პროფესორები კოტე ბაქრაძე, გიორგი კოკოჩაშვილი, ერმალო ბურჭულა-ძე, ანგია ბოჭორიშვილი, ალექსანდრე ნოღაიძელი, აწ განსვენებული სა-ხელოვანი მეცნიერი და პედაგოგი პროფესორი გიორგი თავიშვილი, პროფესორი ვეუკოლ ბერიძე და სხვები. შემოქმედებით პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ სხვადასხვა დროს ბათუმის პედაგო-გიურ ინსტიტუტში აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილი მეცნიერები, პროფესორები გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, სიმონ ყაუხებიშვილი, დიმიტრი გადევანიშვილი, იასე ცინცაძე, გიორგი წერეთელი, დიმიტრი მგელაძე, რაუდენ ხუციშვილი, გი-ორგი ჯავახიშვილი, პანტელემონ ბერაძე, კონსტანტინე კაპანელი, სერგი კაკაძე, ალექსანდრე მაყაშვილი, შოთა ძიძიგური, გიგო ბაქრაძე, ლევან ებანოიძე და სხვ.

ენერგიულად მუშაობს აჭარის პედაგოგიური საზოგადოება. მასწავ-ლებელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებაში. იგი მიზნად ისახავს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღმზრდისა და სწავლა-განათლების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანებს. ამ საზოგადოებას კი ფრიად საქმიან დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, დიდი მეცნიერი და საზოგა-და მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათე-დრის გამგე პროფესორი დავით ლორთქიფანიძე.


პედაგოგიური საზოგადოება დიდ გულისხმიერებას იჩენს აგრეთვე

აჭარის ასს რესპუბლიკის ახალგაზრდა მუშაკების მიმართ, რომლებიც მათ შეუძლიან ზაღებიან საკანდიდატო მინიმუმის ჩასაბარებლად მეცნიერებათა კანდიდატისა, თუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. გაშასადამე, უნივერსიტეტი ამ გზითაც არის დაკავშირებული აჭარის კულტურული მშენებლობის დიდ საქმესთან.

თბილისის უნივერსიტეტი კვლავაც ჩვეულ დახმარებას იჩენს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მიმართ. ჩვენს სტუდენტ ახალგაზრდობას მაღალ მეცნიერულ ლექციებს უკითხებს უნივერსიტეტის ორი სახელმოვანი მეცნიერი, აჭარის მკვიდრი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ალექსანდრე ნოლაიდელი და ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი პროფესორი გელა ბანძელაძე.

სახელმოვანი იუბილესათვის ფართოდ გაჩაღებული მზადების დღებში აჭარის ასს რესპუბლიკის დედაქალაქში უნივერსიტეტიდან ჩამოვიდნენ თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები, რომლებმაც თავიანთი გულითადი საუბრებით და ორმაშინაარსიანი მოხსენებებით ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივისა და ქალაქის ინტელიგენციის უსაზღვრო სიყვარული და ყურადღება დაიმსახურეს.

დე, მუდამ წინ უძლოდეს ქართული კულტურისა და მეცნიერების შეუფერხებელ წინსვლას ჩვენი ოქროს იუბილარი — ეროვნული კულტურის დიდი მოამაგე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.



## ვურცლები აჭარის კომკავშირის ორგანიზაციის ისტორიიდან

კომკავშირული ორგანიზაციები საქართველოში, ისე როგორც რუსეთში წარმოიშვნენ მუშა და გლეხი ახალგაზრდობის პირველი კავშირებისაგან, რომელთა შექმნა დაიწყო თებერვლის ბურუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმიანობა და ტუშათა მასობრივი დემონსტრაციების უდიდესი რევოლუციური გაფლენა, 1902 წლიდან შეინიშნება, რომელმაც დიდი ზემოქმედება მოახდინა ახალგაზრდობაზე.

ბირველ ხანებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ მოსწავლეები, რომლებიც აღშეფოთებული იყვნენ სასწავლებელში გამეფებული მკაცრი რეჟიმის გამო. მოსწავლეთა დიდი ნაწილის რევოლუციურ განწყობილებაზე აშკარად ლაპარაკობს 1905 წლის იანვრის ბოლოს ვაჟთა გიმნაზიის კედლებში მომხდარი ამბები. გომნაზიელმა მ. ზაქარიაძემ სააქტო აუდიტორიაში დახია და ნაკურებად აქცია მეფის პორტრეტი. უფროსკლასელებმა დამსხვრიებ მინები და ქუჩაში გამოვიდნენ შეძახილებით — „გაუმარჯოს თავისუფლებას!“

მოსწავლე ახალგაზრდები კიდევ უფრო გააქტიურდნენ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ისინი მოითხოვდნენ — კრების მართვას, რეაქციონერი პედაგოგების დათხოვნას, შეძლებულთა შვილებზე გავრცელებული სხვადასხვა შეღავათების გაუქმებას, ყველა მოსწავლისადმი სამართლიან მოპყრობასა და სწავლა-აღზრდის სისტემის ძირფესვიანად გარდაქმნას.

ახალგაზრდობაში რევოლუციურმა მოძრაობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ბოლშევკიური პარტიის მეექვსე ყრილობაში საგანგებოდ განიხილა საკითხი „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ“. ყრილობამ მუშაახალგაზრდობის კლასობრივი სოციალისტური ორგანიზაციების შექმნა ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ჯეროვანი ყურადღება მიექციათ.

ხელმძღვანელობდნენ რა პატიის მეექვსე ყრილობის მითითებით 1917 წლის ზაფხულში ბათუმის ბოლშევკიური ჯუფის ბიუროს გადაწყვეტილებით გამოიყო რევოლუციური ახალგაზრდობის ორგანიზაციის შექმნის „საინიცია-

ტივო ჯგუფი". ამ ჯგუფის წევრები — კირილე ბერძენიშვილი, ლუკა ჩანტლაძე, მიხეილ ანასტასიადი და სხვები ფართოდ ავრცელებდნენ მშრომელებს შორის პროკლამაციებსა და ბოლშევიკურ გაზეთებს.

ბათუმის „საინიციატივო ჯგუფს“ დიდი ბიძგი მისცა 1917 წლის 3 სექტემბერს თბილისში მოწვეულმა „ახალგაზრდა სოციალისტურინტერნაციონალისტთა ორგანიზაციის“, „სპარტაკის“ პირველმა კრებამ“ რომელმაც შექმნა ახალგაზრდა სოციალისტთა „სპარტაკის“ ახალი ორგანიზაცია და მიიღო დადგენილება რევოლუციურ ახალგაზრდობაში სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ფართოდ გაშლისა და „სპარტაკის“ ორგანიზაციებში მათი ჩაბმის შესხებ.

„სპარტაკის“ თბილისის ორგანიზაციებმა დიდი გავლენა მოახდინეს საქართველოს სხვა ქალაქების, მაზრების, რაიონების რევოლუციურ ახალგაზრდობაზე.

სპარტაკელთა მოძრაობამ საქართველოში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

„სპარტაკის“ შექმნის ბათუმის საინიციატივო ჯგუფმა პირველად მუშაობა გააჩარა სასწავლებელში. სპარტაკელები მოსწავლეთა საერთო საქალაქო უზრნალ „პერვალის“ ფურცლებზე გაბედულად ამხელდნენ მოსწავლეთა ნაწილის

მერყეობასა და უიმელო განწყობილებას და მოუწოდებლენენ ახალგაზრდებს აქტიურად ებრძოლათ ბედნიერი მომავლისათვის. მკაცრი საკუპაციო რეჟიმის მიუხედავად, არალეგალურ პირობებში ბათუმის ბოლშევიკებთან ერთად, ისინი დიდ მუშაობას ეწეოდნენ მუშა - ახალგაზრდობას შორის. „სპარტაკელები“ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გაფიცვებში. 1919 წლის პრილში „ბატუმსკი ვესტის“ დაწურვის გამო მოწყობილ საპროტესტო გაფიცვის დროს პ. აგევვი და ს. ალანია ბოლშევიკურ პროკლამაციებს ავრცელებდნენ ბათუმის მუშა-ახალგაზრდობაში. ამრიგად მომწიფედა პირობები ახალგაზრდათა რევოლუციური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის კავშირების პირველმა ყრილობამ, რომელიც მოსკოვში 1918 წლის 29 ოქტომბერს გაიმართა.

ამ ისტორიული პერიოდიდან ყალიბდება „სპარტაკის“ ორგანიზაციები საქართველოს სხვადასხვა კუთხებში. „სპარტაკის“ ბათუმის ორგანიზაციის პირველი თავშეყრა 1919 წლის ზაფხულში მოხდა. ამის თაობაზე გაზეთი „ტრუდოვოი ბატუმი“ წერს. — „იმ მომენტში, როცა მკაცრი სასჭელის შიშით შეკრება ყოვლად შეუძლებელი იყო, პროლეტართა წრიდან გამოსულმა შვიდმა ინტელიგენტმა კონსპირაციულად, დი-

ლით მოიყარა თავი ციხის უკან, ზღვის ნაპირზე. ინგლისელი ჯაშუშის ეჭვი რომ გაეფანტათ მთელმა ჯგუფმა ტანთ გაიხდა“. ზღვისპირად შეკრებილმა ახალგაზრდების ჯგუფმა, პარტიულ კომიტეტთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე აირჩია კომიტეტი. კომკავშირის ბათუმის კომიტეტის თავმჯდომარედ ბოლშევიკი პეტრე აგევვი იქნა არჩეული“.

კომკავშირის ბათუმის კომიტეტის წევრები და აქტივისტები: პ. აგევვი, მ. ანასტასიადი, ს. ალანია, ვ. ჩერქეზოვი, პ. ნაუმოვი, კ. გეგეშვილი, კ. ბერძენიშვილი და სხვები ამ კავშირის ირგვლივ იკრებდნენ რა ახალგაზრდობას, ასრულებდნენ პარტიული კომიტეტის ყველა დავალებას.

1921 წლის იანვარში საქართველოს კომკავშირის ბათუმის ორგანიზაციამ აღნიშნა გერმანიის კომპარტიის დამაარსებლების კარლ ლიბკენეხტისა და როზა ლუქსემბურგის ვერაგული მკვლელობის წლისთვი. კომკავშირელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე 1921 წლის საპირველმაისო დემონსტრაციაში, რომელსაც დიდი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ბათუმიდან ინგლისელების გაძევებას და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დაყარებას. მიტინგზე ორატორთა შორის კომკავშირის ჭარბომადგენლის სიმონ ალანიას ხმაც გაისმა. დემონსტრაციაში მუშა-ახალგაზრდების გაძევებას

რდობასთან ერთად მოსწავლეებზე მაც მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის აღმოჩენის დროზენგვი იყო — „გაუმარჯოს თავისუფალ სკოლას პროლეტარულ სახელმწიფოში!“.

აღსანიშნავია, რომ ბოლშევიკები საგრძნობლად უშლიდნენ ხელს ყირიმის ნახევარკუნძულზე მოქალათებულ ვრანგელის არმიას. 1921 წლის ივნისში ბათუმის კომკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის პეტრე აგევვის მონაწილეობით აფეთქებულ იქნა ტანკერი „სვეტი“, რომელსაც საწვავიმასალა მიჰქონდა ვრანგელის არმიისათვის. პეტრე აგევვის ეს პატრიოტული საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. იგი იძულებული შეიქნა 1921 წლის ზაფხულში დაეტოვებინა ბათუმი.

ბათუმის ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა 1921 წლის მეორე ნახევრიდან, კერძოდ, საქართველოს კომკავშირის ორგანიზატორის — ბორის ძელაძის ბათუმში ჩამოსვლის შემდეგ. ბათუმში იგი დაუკავშირდა მიხეილ ანასტასიადს, რომლის საშუალებითაც გაეცნო კომკავშირის ბათუმის არალეგალური კომიტეტის სხვა წევრებსაც და ბათუმშელ ამხანაგებს განუმარტა იატაკევეშეთის პირობებში კომკავშირული მუშაობის საკითხები, ყურადღება გამახვილა ახალგაზრდა მუშაობის გაღრმავების აუცილებლობაზე. საქართველოს კომკავში-

რას ცენტრალური კომიტეტის მითითების თანახმად კომკავშირის ბათუმის კომიტეტი შეუდგა ქალაქში კომკავშირული უჯრედების წევემხასა და გაერთიანებას. თავდაპირეელად შეიქმნა პირველი და მეორე საქალაქო კომკავშირული უჯრედები, რომლებშიც ახალგაზრდა მუშებთან ერთად შედიოდნენ მოსამსახურეები და მოსწავლეები. შემდეგ კი შეიქმნა ბარცხანის კომკავშირული უჯრედი, რომლებშიაც ძირითადად მუშა-ახალგაზრდობა გაერთიანდა.

კომკავშირის ბათუმის კომიტეტის მოქმედების სფერო თანდათან სცილდება ქალაქის ფარგლებს და ყურადღებას აქცევს სოფლის ახალგაზრდობასაც. კომკავშირული უჯრედები იქმნება ციხისძირსა და მახნიჯაურშიაც.

1920 წლის შემოდგომისათვის აჭარის კომკავშირის აქტივისტთა რიცხვი 100 კაცამდე აღწევდა.

ამავე წლის სექტემბერში შედგა აჭარის კომკავშირული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილი იყო ქალაქისა და სოფლის შვიდი კომკავშირული უჯრედი. კომკავშირის აჭარის ორგანიზაციის როლი იმდენად გაიზარდა, რომ კომკავშირის ბათუმის კომიტეტის წევრი შიხეილ ანასტასიადი ბათუმის არალეგალური ბოლშევიკური კომი-

ტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს.

1921 წლის დასაწყისი ახალგრევილუციური აღმავლობით პრინიშნა საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყება, რომელიც წარმატებით დაგვირგინდა. 1921 წლის 25 თებერვალს სერგო ორგონიკიძე ლენინისა და სტალინისადმი გავზავნილ დეპეშაში წერდა: — „თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

მენტევიკ მმართველთა უკანასკნელი თავშესაფარი ბათუმი გახდა. მაგრამ მათ აქაც ვერ მოიკიდეს ფეხი. 17 მარტს ქ. ბათუმში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, ხოლო 18 მარტს დილიდანვე გაჩაღდა ბრძოლები, რომლებშიაც კომუნისტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ კომკავშირელებიც.

აჭარა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ზეიმობდა, მშრომელებთან ერთად ზეიმობდა აჭარის ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი — კომკავშირიც, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის მებრძოლი თანშემწე იყო.

## ස ත බ ක ජ ර න එ

ශ. ඩබරාතාශවෙළඳී — දේදා ජාරිතලිසා	
(නැතුපෙනු යෝමිලාං) . . . . .	6
ග. ග්‍රැන්ඩ්‍රැංස්‍යාලියාලී — බාරාතාශවෙළඳී සාජ්‍ය-	
ලාංගාරාන (ලුද්සා, තාර්ඩ්‍රිනා ඩ. ජාක්කාණා- රඩා) . . . . .	9
සිතුප්පා ඇපාටු ප්‍රේර්ඝතලිසා . . . . .	10
ආ. ගිජිත්‍රැංස්‍යාලී — ගැන්හා-දේජුමිස් සාම්ඛ්‍ය- රා. (ලුද්සා) . . . . .	12
ඇ. ණුච්ච්ඩ — ගාඩිඟුදුව් ජුරින් සාම්ඛ්‍ය- ලාං (ලුද්සා) . . . . .	13
ඈ. මාලුප්‍රියිලියා — මිතාජ්‍රිනිලිස් දිංලා	
(ලුද්සා) . . . . .	14
ඉ. කැලුවෙළඳී — තේමාට, දිංඟඩුජුලා! (ලුද්- ස්සා) . . . . .	15
උ. ගිරුද්ධාවෙළඳී — සාතාර්! (ලුද්සා) . . . . .	16
එ. ප්‍රධානියා — දා ව්‍යා ප්‍රවාලි . . . . .	18
තධිලියිස් සාශ්‍රේෂ්වර්ඝු ජ්‍යිතියා ප්‍රාග්- ම්‍යා ප්‍රාග්‍රැන්ඩ්‍රැංස්‍යාලී	
ර. පිහිඹා — මාර්තුන මූත්‍රාන්ත්‍රාවිනි (නැ- රුවුවා) . . . . .	21
ලුද්ඩීනුරා කුම්ජාව්‍යිලිස් 50 ප්‍රාග්‍රැන්ඩ්‍රැංස්‍යාලී	
එ. සයිභ්‍රිත්‍රැංස්‍යාලී — දිංඟ දැංගුම්ඩුරි	
දා සාධ්‍යානා ඇංජිනේරිස් අත්‍යාලුග්‍රිඛ්‍රදා- න්දා . . . . .	27
ම ම ම ම ම ම ම	
ශ. පිශ්චාවෙළඳී — ප්‍රාජ්‍යාතිකාවී බාරා- තා (මිත්‍රැන්ඩා) . . . . .	32
ළ. ඩිජ්‍යාංස්‍යාලී — ලුද්ස්බ්‍රාධී . . . . .	36
ඇ. ග්‍රැන්ඩ්‍රැංස්‍යාලී — ලුද්ස්බ්‍රාධී . . . . .	38
ඈ. ජ්‍යෙෂ්ඨංස්‍යාලී — ම්‍යා දා ගුළුම්මිසානී	
(මිත්‍රැන්ඩා) . . . . .	40
ඉ. ජුඩ්ප්‍රියිලියා — මේකානිස්, මික්මින් නිජී තා- රඩා! (ලුද්සා) . . . . .	42
ඊ. දුන්ඩ්‍රැංස්‍යාලී — ජුරින් තුර්ජාමේත්‍රි ප්‍රාග්- ම්‍යා ප්‍රාග්‍රැන්ඩ්‍රැංස්‍යාලී (මිත්‍රැන්ඩා)	44

ශ. පිඡිජ්‍යාලීයාලී — ලුද්ස්බ්‍රාධී . . . . .	46
ළ. ගිජිත්‍රැංස්‍යාලී — ලුද්ස්බ්‍රාධී . . . . .	48
ඇ. ගුම්ඩ්‍රැංස්‍යාලී — මුහුණාංස සාර්කු (මිත්- රැන්ඩා) . . . . .	49
ඈ. ගිජිත්‍රැංස්‍යාලී — ලුද්ස්බ්‍රාධී . . . . .	51
ඉ. අභ්‍යන්තර — ලුද්ස්බ්‍රාධී . . . . .	53
උ. අසංඛ්‍යාලී — සියුම්ප්‍රේලු ගුරුජ්‍රැංස්‍යා	
(මිත්‍රැන්ඩා) . . . . .	54
ඌ. ජුලුවෙළඳී — ලුද්ස්බ්‍රාධී . . . . .	56
ඍ. බුළුවෙළඳී — ජායි සුජුන් ගුරුජ්‍රැංස්‍යා	
(මිත්‍රැන්ඩා) . . . . .	58
ඎ. ප්‍රධානියාලී — ලුද්ස්බ්‍රාධී . . . . .	64
ක්‍රිත්‍යා දා ප්‍රංශඩ්ලියුස්ත්‍රියා	
ඏ. ජුව්‍යාංස්‍යාලී — බාරාතාශවෙළඳී මෙය- ්‍යා දා දිංඟ මුහුද්‍රැන්ඩා සින්ඡම්‍රැං- ංස්‍යාලී . . . . .	65
ඐ. මුවුඩ්‍රැංස්‍යාලී — පාරුත්‍රිස මුවුඩ්‍රැංස්‍යාලී	
ගිජ්‍යාලී . . . . .	69
එ. ගිජ්‍යාලීවෙළඳී — දැංගුර්‍ය ප්‍රාග්- ම්‍යාස්‍යාලී සාක්‍ර බාරාතාශවෙළඳී ජුරින්මැංස්- ෂ්‍යාලී . . . . .	74
ඒ. නාජ්‍යාලීවෙළඳී — දැංගුර්‍ය ප්‍රාග්- ම්‍යාස්‍යාලී සාක්‍ර බාරාතාශවෙළඳී ජුරින්මැංස්- ෂ්‍යාලී . . . . .	79
ඔ. නාජ්‍යාලීවෙළඳී — බාරාතාශවෙළඳී දා	
ක්‍රිං්‍යාලී දැංගුර්‍ය ප්‍රාග්‍රැන්ඩ්‍රැං- ස්‍යාලී . . . . .	83
ඕ. ගාජ්‍යාලීවෙළඳී — තධිලියිස් සාක්‍රුම්ජ්- ෂ්‍යාලී ජුරින්මැංස්‍යාලී දා සාක්‍රුම්ජ්- ෂ්‍යාලී ඇංජිනේරුවා . . . . .	85
ඖ. පාත්‍රංශාලී — ප්‍රූර්ජුදුව් ඇංජිනේරුවා	
කුම්ජාව්‍යිලිස් මිත්‍රැන්ඩ්‍රැංස්‍යාලී සිත්‍රැන්- ිංඩා . . . . .	91

6

6

### რედაქტორი ნანა გვარიშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ხ. აზვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი), პ. ლორია,

ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასტეჭდად 11.XI. 68 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო

5 თაბახი, შეკვეთის № 5806 ეგ 00627, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 1800.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის  
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

ა შ ა რ ი ს შ უ რ ნ ა ლ - გ ა ზ ე თ ე ბ ი ს გ ა მ რ მ ც ე მ ლ თ ბ ა



000  
00000 40 000.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ  
*„Литература и Аджарап“*  
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76118